ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 22 თებერვალი, 2013 №44 (6045) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“ +
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
22 თებერვლიდან
პირველი ტომი
ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი
მეორე ტომი
ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




ინფორმაციისთვის დარეკეთ
294-02-55

# კობა დავითაშვილი: „აპრილში ნაციონალები გადატრიალებას გეგმავენ“



გვ.3



რატომ გამოჰყავს მერაბიშვილს 19 აპრილს ხალხი ქუჩაში

## სააკაშვილი პარლამენტში გამოსვლას ითხოვს

გვ.3



## რა ჩვენება მისცა ოქრუაშვილმა ბუტა რობაქიძის საქმეზე

გვ. 4



## საქართველოში გუბერნატორის ინსტიტუტი უქმდება

გვ. 5



გვ.5

## ნიკოლოზ მჭავანაძე: „ბუტა რობაქიძის საქმეზე წარმოდგენილი ვიდეომასალა გაყალბებულია!“



## ფანჯიკიძეს მერაბიშვილზე ელიმება

გვ. 2



## გივი თარგამაძეზე ძებნა ინტერპოლით გამოცხადდება

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს გივი თარგამაძეს მოსკოვის ბასმანის რაიონულმა სასამართლომ რამდენიმე წუთის წინ აღმკვეთ ღონისძიებად დაუსწრებლად წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

თარგამაძისათვის პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა მიმართა.

რუსული მედიის ცნობით, სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული მიმართვის შედეგად კომიტეტი თარგამაძეზე ძებნის გამოცხადების ოფიციალურ მოთხოვნას ინტერპოლს გადაუგზავნის.

რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა გივი თარგამაძეს მასობრივი არეულობის ორგანიზებისა და დაფინანსების ბრალდება რამდენიმე კვირის წინ წაუყენა.

ბრალის წაყენებას კი წინ რუსული არხების მიერ გავრცელებული ჩანაწერები უძღოდა, სადაც გივი თარგამაძესთან ერთად რუსეთის მემარცხენე ფრონტის ლიდერი სერგეი უდალცოვიც ფიგურირებს.

ნიუსპრესი

„ახალი თაობა“
+
მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები
ტომი 1
ამერიკული ზღაპრები
6 ლარი




9 771987 938006

**2** „ნიკორას“ სოსისი კოლიბაქტერიებით დაბინძურებული აღმოჩნდა

**6** ამნისტიის კანონით, საპატიმროები კიდევ 89 მსჯავრდებულმა დატოვა

**4** საბაჟო გამშვებ პუნქტებზე არადეკლარირებული ოქრო დააკავეს

**4** მაია ნიკოლეიშვილი: „სააკაშვილის ხელისუფლებამ მორალურად გამანადგურა!“

# ნანა დევდარიანი: „პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნა არ აწყობს“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ყოფილ სახალხო დამცველ ნანა დევდარიანთან

*— ქალბატონო ნანა, მოვისმინეთ ყველამ პარლამენტის თავმჯდომარისგან, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით შეთანხმება არ შედგა. გავიგეთ ისიც, თუ რამხელა მადა ჰქონიათ ნაციონალებს. კულუარულად გავრცელდა ინფორმაციები, რომ ნაციონალები ამ ყველაფერთან ერთად სააკაშვილის, მერაბიშვილის და უგულავას ხელშეუხებლობას ითხოვდნენო...*

— ეგენი თავიდანვე მაგას ითხოვდნენ. მაგათი ძირითადი ინტერესი ეგ არის, რომ ყველას ყველა დანაშაული ჩამოეწეროს. მეტი არაფერი ინტერესი არა აქვთ. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ევროინტეგრაციის კონსტიტუციაში ჩაწერაზე იყვნენ მომართულები, ახლა მაინც ყველა ხომ დარწმუნდა. ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს ნამდვილად ასე იქნებოდა და თავიდანვე იქნებოდა მოთხოვნა, რომ ჩვენ ხელი არ უნდა გვახლოთ. მე მეტსაც გეტყვით, როცა ამბობენ, რომ ქვედა რგოლს არავინ არ შეეხოს და არავის პასუხი არ მოსთხოვონ, ეს იმიტომ არის, რომ ქვედა რგოლში შემსრულებელს თუ არავინ არ დაკითხავს და დევნა არ იქნება მასზე კონკრეტულ დანაშაულობებთან დაკავშირებით, ზემოთა რგოლზე ვინ მისცემს ჩვენებას? სწორედ ამიტომ კეთდება, დამკვეთი უნდა დაასახელოს შემსრულებელმა ხომ ასეა? დანაშაულის ბრძანების გამცემზე უნდა მიუთითოს იმან, ვინც ეს ბრძანება მიიღო. თუ სამმართველოს უფროსის ქვემოთ არავის არაფერს არ ჰკითხავენ და ყველას გამოუცხადებენ იმუნიტეტს, მაშინ რა გამოვა აქედან?! ეს არის მხოლოდ იქით მიმართული, რომ არც ერთ დანაშაულზე პასუხი არ მოეთხოვოთ.

*— აქედან გამომდინარე გამოდის, რომ შეთანხმება ვერ შედგება?*

— არა, ამ პირობებზე ახალი მთავრობა თუ წავა, ეს არის სრული დისკრედიტაცია მისი. ეს არ შეიძლება არ ესმოდეთ მათ. ადამიანებმა იმიტომ მისცეს ხმა ქართულ ოცნებას, რომ ისინი ელოდებოდნენ, რომ სამართლიანობა აღდგებოდა და დამნაშავე დაისჯება. თუ ყველაფერი ისევ ისე დარჩება და ესენი 40%-იანი სტატუსით მივლენ შემდეგ საპარლამენტო არჩევნებამდე, აქედან კარგი არაფერი გამოვა.

*— საკმაოდ ბევრ დათმობაზე მიდიოდა ახალი ხელისუფლება, მაგრამ ნაციონალების მადა დაუკმაყოფილებელი აღმოჩნდა...*

— არა, ესენი ითხოვენ სრულ ხელშეუხებლობას და დღესაც ისე იქცევიან, თითქოს ესენი არიან მმართველი პარტია და ამ შემთხვევაში ახალ მთავრობას მართებს მეტი სიმტკიცე და ცოტა უფრო მეტად ხისტი პოლიტიკის გატარება მათ მიმართ.



*— ქალბატონო ნანა, ისე გამოდის, რომ სულ თავის მართლების პოზიციაშია ახალი ხელისუფლება და თანაც ძალიან მოიკოჭლებენ პიარის კუთხით...*

— პიარს ჩვენთან ხმარობენ მარტო უარყოფითი დატვირთვით. პიარი არ არის ტყუილები, პიარი ნიშნავს საზოგადოებასთან ურთიერთობას. საზოგადოებასთან ურთიერთობა ყოველთვის საჭიროა, მათ შორის მაშინაც მაგალითად დაზღვევა როდის ამუშავდება, ადამიანს როდის შეეძლება სახელმწიფოს დაფინანსებით იმკურნალოს, ან ოპერაცია გაიკეთოს და ასე შემდეგ. აი, ამაშიც კი არა აქვთ საკმარისი კომუნიკაცია საზოგადოებასთან. სააკაშვილი დღედაღამ ყვიროდა იმაზე რაც არ ჰქონდა გაკეთებული და ესენი რასაც აკეთებენ, ის ინფორმაციაც ვერ მიაქვთ საზოგადოებამდე. როგორ არის იცით? პოლიტიკურ დღის წესრიგს უდგენს ნაციონალური მოძრაობა. გამოვარდებიან წამოწევენ რაღაც საკითხს, რომელიც ერთი კონკრეტული ამომრჩევლისთვის არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს და მხოლოდ ნაციონალების ინტერესშია. მერე ყველა ეს არხი, მათი არხებიც და მათ შორის გუშინდელი ოპოზიციური არხები, ყველა ამ დღის წესრიგით მუშაობს.

*— ალბათ, დამეთანხმებით, რომ ნაციონალები კარგად ახერხებენ შეცვალონ პოლიტიკური ვითარება, საზოგადოებაზე ზეგავლენა მოახდინონ, მათ აქვთ იმის ბერკეტები, რომ პოლიტიკური ამინდი შექმნან ქვეყანაში?*

— ბერკეტებიც აქვთ, რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი მაუწყებელი და რუსთავი 2 მაგათ ხელშია, მაგრამ ამას გარდა აქვთ კიდევ ძალიან კარგად შემუშავებული ტაქტიკა როგორ უნდა მოიქცნენ ამ ვითარებაში. ახალი მთავრობა მოპასუხის რეჟიმშია მუდმივად, პასუხს სცემს თითქოს და პასუხს კი არ უნდა სცემდეს, ინიციატივა და დღის წესრიგი მისი უნდა იყოს, ახალი მთავრობის.

*— რატომ არ გამოსდით ეს?*

— ვერ გეტყვით. მარტო კობა დავითაშვილის მაგალითი არის ძალიან თვალსაჩინო. მაშინ, როცა დამნაშავეებს კბილებით იცავს ნაციონალური მოძრაობა, უსუფაშვილმა და ხიდაშელმა კობა დავითაშვილი გააკრიტიკეს და სახლში დარჩესო ურჩიეს. ეს არ არის გუნდური საქციელი. მერე კი შეიცვალა ვითარება, მაგრამ აქამდე არ უნდა მიიყვანო საქმე და მტერი არ უნდა აცინო. კობა დავითაშვილს სულ რომ ჩაქუჩი ჩაერტყა სერგო რატიანისთვის, მე არც ეს გამიკვირდებოდა, ისეთები გამოატარეს ნაციონალებმა კობას. ისეთ დღეში ჰყავდათ. მე არ ვამართლებ ძალადობას, მაგრამ შენი გუნდის წარმომადგენელი არ უნდა აკრიტიკო, როცა უზნეო ადამიანები გყავს გვერდით. პირველი ძალადობა მით უმეტეს რატიანისგან მოდიოდა. მაინცდამაინც თეა სიჭინავასთვის სახეში ხომ არ უნდა გაერტყა არა, ჭიქა დაუფშვნა ცხვირწინ, საერთოდ თვალში რომ მოხვედროდა, მხედველობას დაკარგავდა და გამოვიდა, რომ კობაა დამნაშავე. როცა ჩხუბია და როცა დაპირისპირებაა, არც ერთი მხარე ბოლომდე მართალი არ არის, მაგრამ არსად არ წერია ეგეთი რაღაც, რომ შენ შენი კოალიციის წევრის მიმართ გამოთქვა კრიტიკა და რატიანზე არაფერი არ თქვა.

*— რატომ ხდება ასე, გუნდში არ არის ერთსულოვნება?*

— ერთსულოვნება ყველა საკითხში არც ერთ გუნდში არ არის ხოლმე. ყველგან ხდება ეს, რომ ვიღაცას განსხვავებული აზრი აქვს. აქ ერთსულოვნების პრობლემა არ არის, აქ პრობლემაა იმაში, რომ ნაწილი კოალიციაში ძალიან გაერთო ამ კოაბიტაციით. კოაბიტაცია კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ შენ რაღაცები აპატიო. ვიღაცამ თქვა ამას წინათ, პოლიცია, როგორც ჩანს, კარგად მუშაობს, რადგან ხალხი ყოველდღე არ ურტყამს ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებსო. კი ბატონო, შენ ძალადობის საფუძველი არ უნდა შექმნა და ძალადობა არ უნდა წაახალისო, მაგრამ არავის არ დაუვალებია შენთვის, რომ გაამართლო გუშინდელი დამნაშავეები. თანაარსებობა იმას არ ნიშნავს, რომ დამნაშავე არ უნდა დაისაჯოს. ამ სიტყვას ნაციონალები განმარტავენ, როგორც თვითონ აწყობთ, ისე. დღეს ჩვენ ვთანაარსებობთ ბაჩო ახალაიასთანაც, მაგრამ ის ციხეშია და ჩვენ — გარეთ. თანავარსებობთ, ხომ არ ვკლავთ, არა?! არც ძალადობას არ ვახორციელებთ მის მიმართ, არც მის უფლებებს არ ვარღვევთ...

*— პირიქით, ქალბატონო ნანა, ხომ ნახეთ, როგორი ტაში და ოვაციები გვიჩვენეს მის სასამართლო პროცესზე...*

— ეს ყველაფერი კარგად ორგანიზებულია. ეს ხალხი დღე და ღამე ფიქრობს იმაზე, რომ აი, ხვალ არის ბაჩო ახალაის პროცესი, წინა დღეს კი არ დაიწყეს მომზადება, დაიწყეს გაცილებით უფრო ადრე. მობილიზაცია გამოაცხადეს მომხრეების. იქ ყველამ ზუსტად იცოდა, როდის რა უნდა გაეკეთებინა, როდის ტაში დაეკრა და როდის რაღაცა დაეძახებინა ბაჩოსთვის. ეს ყველაფერი არის ორგანიზებული და ასევე ორგანიზებული უნდა იყოს ახალი მთავრობა. სანდრო გვირგვლიანის პროცესი რომ პატარა ოთახში ჩაატარეს და ვერავინ ვერ შევიდა იმ პროცესზე, ეს ხომ ყველას გვახსოვს. ახლა აქ, ამ უზარმაზარ დარბაზში შეყარეს პრაქტიკულად ყველა ბაჩო ახალაიას მომხრე. ამის განჭვრეტა რთული არ იყო, რომ იქ ოვაციებს და სკანდირებას მოაწყობდა ეგ ხალხი. ყველაფერს უნდა ცოტა მეტი დაფიქრება. აქ მარტო იმაში კი არ არის საქმე, რომ სასამართლოები ისევ ნაციონალების კონტროლის ქვეშ არის, ამასაც აქვს თავის მექანიზმები. ყველა უბანზე უნდა მუშაობდნენ ადამიანები. როცა მუშაობ, შედეგი დგება ხოლმე.

*— საკმაოდ გაიწელა სამართლიანობის აღდგენის პროცესიო, ხშირად ისმის საზოგადოების მხრიდან საყვედურები და ალბათ სადღაც მაინც მართლები არიან... თქვენ როგორ ფიქრობთ?*

— მართლები არიან, მაგრამ მე ჯერ შარშან ვამბობდი იგივე შენს ინტერვიუში და სხვაგანაც მითქვამს, რომ ჩვენ გვაქვს უმძიმესი ერთი წელი წინ, 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ. გამძლეობა, მოთმინება, აი, ეს გვმართებდა ამ ერთი წლის განმავლობაში, ჩვენ ამისთვის მზად უნდა ვყოფილიყავით და ხალხიც უნდა იყოს მზად, რომ მყისიერად არაფერი არ შეიცვლება. პრეზიდენტი რჩება ოქტომბრამდე, ეს ნათელია. რჩება სასამართლოებში მოუგვარებელი ეს საკითხი, რომ დღესდღეობით სასამართლო არის არათავისუფალი და მართვადია. აგერ სულ ახლახან აღმოჩნდა, რომ მოსამართლეებად ჰყავთ უმაღლესი იურიდიული განათლების გარეშე პირები, ხომ? ეს ერთი წელიწადი ოქტომბრამდე, ჩვენ არ უნდა ველოდოთ რაღაც მყისიერ შედეგებს, მზად უნდა ვიყოთ ამისთვის. ჩვენი ამომრჩეველი თითქოს სპრინტისთვის იყო მზად და ჩვენ მზად უნდა ვიყოთ მარათონისთვის. ეს არის ერთწლიანი მარათონი, რომლისგანაც უკვე რამდენიმე თვე გავიდა. ყველაფრის გაკეთება შეიძლება, მაგრამ მე ისევ ვიმეორებ, რომ ახალი მთავრობა, ახალი პარლამენტი, მუდმივ კომუნიკაციაში უნდა იყოს საზოგადოებასთან და მე კი არ უნდა ვხსნიდე ამას, ისინი უნდა უხსნიდნენ საზოგადოებას, რომ არის ობიექტური მიზეზები, რომლის გამოც სერიოზული შედეგები შეიძლება იყოს მიღწეული მარტო სოციალურ სფეროში. ამიტომ როცა ვერ ახერხებ ამ ეტაპზე ბოლომდე სამართლიანობის აღდგენას, უნდა გადახვიდე ამ საკითხებზე. იგივე ტარიფების საკითხი, იგივე სამედიცინო მომსახურების საკითხი, იგივე განათლების საკითხი, იგივე დასაქმების საკითხი. მე მაგალითად, ისევე როგორც მთელ საზოგადოებას, ძალიან მაღიზიანებს ის, რომ თურმე ნაციონალები ვინც არიან სამსახურებში, უნდა დატოვონ. რატომ უნდა დატოვონ, ყველა გაყარეს, 40 წლის ზევით რომ მოვიდნენ. მე არ ვამბობ, რომ ასაკობრივი ან პოლიტიკური თვალსაზრისით, მაგრამ უამრავი უვიცი კადრი ჰყავთ შეყრილი სამსახურებში. ყველგან ჩაატარონ ატესტაცია, შეკრიბონ დამოუკიდებელი კომისიები და ვნახოთ ერთი, რა იციან და რატომ არიან იმ სამსახურებში. სულ არ მაინტერესებს მე მათი პოლიტიკური შეხედულება, მე მაინტერესებს ის, რომ უვიცი გოგო-ბიჭები შეყარეს. კი, ამ ცხრა წელიწადში ასაკი მოემატათ, მაგრამ ცოდნა არ მომატებიათ. ყველგან ჩაატარონ ატესტაციები და სამუშაო ადგილი დაიკავოს იმან, ვისაც კვალიფიკაცია აქვს, ცოდნაც და გამოცდილებაც.

*— საუბარია, რომ რაც უფრო მოახლოვდება სააკაშვილის წასვლის დრო, ნაციონალები მით უფრო გაამწვავებენ ვითარებას და ბევრ პროვოკაციას მოაწყობენო. ეს რამდენად საშიშია ქვეყნისთვის?*

— ამის საშიშროება არის, მაგრამ ასე გადაჭარბებულადაც ვერ შევაფასებ ამას, იმიტომ, რომ რა შეუძლია გააკეთოს სააკაშვილმა? შეიძლება აპრილში დაითხოვოს პარლამენტი ხომ? მე მაინც არ მგონია, რომ ამ სისულელეს გააკეთებს.

## „ნიკორას“ სოსისი კოლიბაქტერიებით დაბინძურებული აღმოჩნდა

ორგანიზაცია „საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი“ ვებ-გვერდ „მომხმარებელი.გე“ — ს ინფორმაციით, სარეალიზაციო ქსელში გატანილი „ნიკორას“ რძიანი სოსისი კოლიბაქტერიებით დაბინძურებული აღმოჩნდა.

ორგანიზაციას, პროდუქციის ხარისხის შემოწმების თხოვნით მომხმარებელმა მიმართა.

დაბინძურებული სოსისი მოსკოვის პროსპექტზე მდებარე „ნიკორას“ საფირმო მაღაზიაში იქნა აღმოჩენილი.

ორგანიზაციამ, აღნიშნულ მაღაზიაში სოსისი შეიძინა და ლაბორატორიაში შესამოწმებლად გადააგზავნა, ხოლო ლაბორატორიიდან მიღებული პასუხის მიხედვით, სოსისი კოლიბაქტერიებით დაბინძურებული აღმოჩნდა.

ფაქტთან დაკავშირებით, გარდა მეწარმისა, სურსათის ეროვნულ სააგენტოსაც ეცნობება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, „ნიუსპრესმა“ კომენტარის მოპოვება კომპანია „ნიკორაში“ სცადა, თუმცა, დაპირების მიუხედავად, კომპანიის წარმომადგენლებს კომენტარი არ გაუკეთებიათ.

ნიუსპრესი

## ირაკლი ალასანია ალექსანდრე ვერშბოუს შეხვდა



საქართველოს თავდაცვის მინისტრის ნატოს შტაბ-ბინაში ვიზიტის ფარგლებში, ირაკლი ალასანიამ, ნატოს გენერალური მდივნის მოადგილესთან ალექსანდრე ვერშბოუსთან გამართა შეხვედრა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა თავდაცვის უწყებაში მიმდინარე რეფორმები განიხილეს. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ნატოს გენერალური მდივნის მოადგილეს საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარების ხანგრძლივვადიანი გეგმა გააცნო. შეხვედრისას ირაკლი ალასანიამ და ალექსანდრე ვერშბოუმ ავღანეთში საქართველოს როლზეც ისაუბრეს.

პრესსამსახურის ინფორმაციითვე, ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარებითაც დაინტერესდა. ალასანიამ მას მმართველი გუნდის ინიციატივები და უმრავლესობასა და უმცირესობას შორის მიმდინარე მოლაპარაკებები გააცნო.

„ნატოს გენერალური მდივნის მოადგილესთან შეხვედრაზე საუბარი შეეხო იმ რეფორმებს, რომელიც დავიწყეთ თავდაცვის უწყებაში და რომელიც წარმატებით მიმდინარეობს. ასევე, გავაცანით სამინისტროს ხედვა და ჩვენი შეიარაღებული ძალების რეფორმის მრავალწლიანი გეგმა. განვიხილეთ ჩვენი მისია ავღანეთში, თუ რა სახით შეიძლება შეიტანოს თავისი წვლილი საქართველომ პოსტ-აისაფის პერიოდში, როგორც ავღანეთის, ასევე გლობალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ვისაუბრეთ ასევე, საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაზეც. მე გავაცანი ბატონ ვერშბოუს უმრავლესობასა და უმცირესობას შორის მოლაპარაკების მიმდინარეობის პროცესი. ვისაუბრეთ იმ შეთავაზებაზე, რომელიც უმრავლესობამ გააკეთა. ნატოს ხელმძღვანელობა სწორედ ამ ინიციატივების განხორციელებას ელოდება. პოლიტიკური სტაბილურობის კიდევ ერთი დამადასტურებელია ის, რომ ქვეყანა სწორი გზით ვითარდება. აქედან გამომდინარე, გადაწყდა, რომ ჩრდილო-ატლანტიკური საბჭო საქართველოს უახლოეს თვეებში ეწვევა“ — განაცხადა ირაკლი ალასანიამ შეხვედრის დასრულების შემდეგ.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# კობა დავითაშვილი: „აპრილში ნაციონალები გადატრიალებას გეგმავენ“

## რატომ გამოჰყავს მერაბიშვილს 19 აპრილს ხალხი ქუჩაში

შორენა მარსაგიშვილი

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ნაციონალებმა არაერთხელ დაგვიბარეს, იმაზე ადრე მოვალთ ხელისუფლებაში, ვიდრე გგონიათო. ნაცმოძი ოცნებააყოლილ ხალხს რამდენჯერმე დაემუქრა აპრილის მოსვლით. პრეზიდენტს სწორედ ამ თვეში ეძლევა პარლამენტის დათხოვნის შესაძლებლობა.

დაითხოვს თუ არა პრეზიდენტი პარლამენტს, ძნელი სათქმელია. სააკაშვილისგან ყველაფერია მოსალოდნელი. გუშინ მხოლოდ ის გახდა ცნობილი, რომ ნაციონალები აპრილში მართლა რაღაცას გეგმავენ.

გუშინ დილიდან გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვანო მერაბიშვილი საგანგებო ბრიფინგს მართავდა. თავიდან ითქვა, რომ ნაციონალების საპრეზიდენტო კანდიდატს დაასახელებდნენ. 2 დღის წინ მერაბიშვილმა აღნიშნა, რომ მალე ნაციონალებს ერთი კაცი შეუერთდება, რომელიც მათი გულისთვის თავის პარტიას დატოვებდა. ხალხი ელოდა, რომ ვანო გუშინ იმ ერთ კაცს დაასახელებდა.



ნაციონალების გენერალურმა მდივანმა სულ სხვა ინფორმაციით გაახარა ერი.

19 აპრილს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ რუსთაველის გამზირზე, ძველი პარლამენტის წინ დიდი მიტინგის ჩატარების ინიციატივით გამოდის.

– მე მინდა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სახელით სპეციალური განცხადება გავაკეთო. საქართველო ისტორიულად ძალიან ხშირად დგებოდა გზაჯვარედინზე. ჩვენს უახლეს ისტორიაში საქართველო განსაცდელის წინაშე რამდენჯერმე დამდგარა და ქვეყანას ხშირად უწევდა არჩევანის გაკეთება. სამწუხაროდ, საქართველო დღესაც არჩევანის წინაშე დგას. დღევანდელი ხელისუფლების ბუნდოვანი და არამკაფიო პოზიცია საქართველოს მომავალზე, ქვეყნის ორიენტაციაზე, ჩვენ გვაძლევს საფუძველს, რომ კიდევ ერთხელ ქართველი ხალხი შევიკრიბოთ და მთავრობას ვუთხრათ, რომ ჩვენი მომავალი ევროპული გზა არის და ჩვენი მომავალი არ არის უკან, რუსეთთან დაბრუნება. სწორედ ამიტომ 19 აპრილს, 16:00 საათზე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გამოდის ინიციატივით, რომ რუსთაველის გამზირზე ძველი პარლამენტის წინ დიდი მიტინგი ჩატარდეს. მე მინდა, მოვიწვიო ყველა პატრიოტი საქართველოსი, მიუხედავად იმისა, ვინ რომელ პარტიაშია, რათა დღევანდელ ხელისუფლებას და დღევანდელ მთავრობას დავანახვოთ, რომ საქართველოში არის ძალიან ბევრი პატრიოტი, ვისთვისაც ჩვენი და ჩვენი შვილების მომავალი სულ ერთი არ არის. საქართველოში ძალიან ბევრი ადამიანია, რომელსაც არ უნდა, რომ საქართველო ძველ დროში დაბრუნდეს. იმ დროში, სადაც არც ჩვენი უფლებები იყო, სადაც არ იყო დემოკრატია, სადაც არ იყო თავისუფლება. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენს შვილებს ჰქონდეს გარანტირებული დემოკრატია, თავისუფლება, საქართველო მონობაში არ იყოს და ქვეყანა მტრების გავლენის ქვეშ არ იყოს, ამიტომ კიდევ ერთხელ მე ვიწყებ და ჩემი მეგობრები ვიწყებთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ყველა რეგიონში ჩასვლას, თბილისის თითოეულ ქუჩაზე, ყველა უბანში ადამიანებთან შეხვედრას, მათ მოსმენას და მათ მოწვევას, რათა დღევანდელ ხელისუფლებას დავანახვოთ, რომ ქართველი ხალხის ნება არის ურყევი და ჩვენი მომავალი არის დასავლეთისკენ და არა რუსეთისკენ, – განაცხადა მერაბიშვილმა.

ამ განცხადებას ერში დიდი ალიაქოთი მოჰყვა. არანაციონალურად განწყობილი ხალხი თვლის, რომ ნაციონალები რაღაცას გეგმავენ.

დეპუტატი კობა დავითაშვილი მიიჩნევს, რომ აპრილში ნაციონალები სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავენ.

– სასოწარკვეთილი ნაციონალური მოძრაობა ხავსს ებღაუჭება და ეს მათი მხრიდან ღია გადასვლაა კონფრონტაციაზე. ეს არის პირდაპირი მუქარა და დამთხვევა... 19 აპრილი უკავშირდება სწორედ საკონსტიტუციო ვადებს. მათ მიერ (საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით) შეთანხმების ხელის არმოწერა და ჩაშლა, მათი რიტორიკა და ყველა ქმედება მიმართულია ამ ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობისკენ. ძალიან ამომწურავ და ადეკვატურ პასუხს მიიღებს ნაციონალური მოძრაობა ქართველი ერისაგან. სცადონ... ვნახოთ, ვის რა გამოუვა, – განაცხადა დავითაშვილმა.

მისი კოლეგა, დეპუტატი თინა ხიდაშელი ნაციონალური მოძრაობის მიერ საპროტესტო აქციის დაანონსებას კონფრონტაციის გაგრძელების მცდელობად მიიჩნევს. . – ამ აქციის გამოცხადება არის სრულიად ნათელი და ცალსახა ნაბიჯი, მიმართული იმ კონფრონტაციის კიდევ უფრო გაღრმავებისკენ, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ გეგმავს, ხან გამოსდის, ან გეგმავს და არ გამოსდის. ესაა 8 თებერვლის გაგრძელება, – განუცხადა ხიდაშელმა ჟურნალისტებს.

მისივე განმარტებით, ხელისუფლების პასუხისმგებლობაა, რომ აქციის მშვიდობიანი ჩატარება უზრუნველყოს.

– ძალიან სამწუხაროა, რომ გვყავს ოპოზიცია, რომელსაც ერთადერთი ამოცანა აქვს – მუდმივად კონფრონტაციულ რეჟიმში აცხოვროს ქვეყანა, მაგრამ ეს არ არის მათი პასუხისმგებლობა, ეს ხელისუფლების პასუხისმგებლობაა და ჩვენ უზრუნველვყოფთ, აქცია იყოს მშვიდობიანი და მშვიდობიან დემონსტრაციას არავითარი პრობლემა არ შეექმნას, – აღნიშნა ხიდაშელმა.

ყოფილი დეპუტატი გია თორთლაძე ფიქრობს, რომ საქართველოში დასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის მხარდასაჭერი აქციის ჩატარების აუცილებლობა დგას. მან „მედიანიუსს“ ნაცმოძრაობის მიერ 19 აპრილისთვის დაანონსებული აქციის კომენტირებისას განუცხადა, რომ ახალი ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ეს მთავრობა რუსეთთან შეთანხმებით არის ხელისუფლებაში მოსული.

ექსდეპუტატის თქმით, რომელიც თავისი ალპინისტური მიღწევებითაც არის ცნობილი, იგი 19 აპრილს, სავარაუდოდ, ჰიმალაის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალზე იქნება, სადაც დროშის: „საქართველო ოკუპანტების გარეშე“ ატანას აპირებს, ამიტომ ამ აქციაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. თუმცა, თუ 19 აპრილს თბილისში იქნება, იგი ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართულ აქციაზე აუცილებლად მივა, მიუხედავად იმისა, თუ ვინაა დემონსტრაციის ინიციატორი.

– მე ყოველთვის ვიზიარებდი საქართველოს პროდასავლურ კურსს და აზრს ვერავინ შემაცვლევინებს, ვერც ერთი პარტია და ვერც ეს ხელისუფლება. ასეთი ლოზუნგით აქციის ჩატარების საჭიროება ნამდვილად დგას, იმიტომ რომ ძალიან ბევრი რაღაცა ახალი ხელისუფლების პოლიტიკურ ორიენტაციაში მინიმუმ უცნაურად მეჩვენება... მაგალითად, უცნაურია, როცა ლაპარაკი მიდის ოკუპაციის მუზეუმის გაუქმებაზე. უცნაურია, როცა ოკუპაციის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანაზე იწყება საუბარი, ამასთან, საპარლამენტო უმრავლესობის შემოთავაზებაში, 14-პუნქტიან კონცეფციაში გაწერილია, რომ საქართველო არ უნდა იყოს რუსეთსა და დასავლეთს შორის უკმაყოფილოების საგანი; ითქვა, რომ ჩვენ უნდა ვაღიაროთ აფხაზური „პასპორტები“ და პაატა ზაქარეიშვილმა თქვა, რომ ჩვენ ისინი მხარეებად უნდა ვაღიაროთ, როცა კონფლიქტის რეალური მხარე რუსეთია. ამას დავამატოთ სტალინის ძეგლების აღდგენა და ხელისუფლების განმარტება, რომ ეს კერძო პირების ინიციატივა იყო... კერძო პირმა თბილისში ჰიტლერის ძეგლის აღმართვა რომ მოინდომოს, ამის უფლება უნდა მივცეთ?! შეგახსენებთ, რომ არსებობს კანონი, რომლის ავტორიც მე ვიყავი: საქართველოს თავისუფლების ქარტია, იქ პირდაპირ წერია, რომ იკრძალება სტალინის ძეგლების აღდგენა. მოკლედ, ძალიან ბევრი რამ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ამ ხელისუფლებას პროდასავლური კურსი არ აინტერესებს, – განაცხადა თორთლაძემ.



საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ აღებული საგარეო-პოლიტიკური ორიენტირი დემოკრატიული პარტიის გარდა, ედპ-შიც აეჭვებთ. როგორც „მედიანიუსს“ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ბაჩუკი ქარდავამ განუცხადა, მან, მცდელობის მიუხედავად, საბოლოოდ მაინც ვერ გაარკვია, თუ როგორია ახალი ხელისუფლების მიერ არჩეული პოლიტიკური კურსი.

– ედპ-ს პოზიცია ასეთია: ჩვენ საბოლოოდ მაინც ვერ მოვახერხეთ გაგვერკვია, როგორი ორიენტირი აქვთ. თუნდაც იმ 14-პუნქტიან კონცეფციაში, რომელიც პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძემ გამოაქვეყნა, პირველ პუნქტში წერია ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის შესახებ და შემდეგ სხვა პუნქტში ლამის ნეიტრალიტეტზეა საუბარი... უშუალოდ ეს სიტყვა გამოყენებული არ არის, მაგრამ წერია, რომ დასავლეთსა და რუსეთს შორის საქართველო საჯილდაო ქვა არ უნდა იყოს. მე პირიქით ვფიქრობ, თუ საქართველოს საკითხი რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობის პროცესში დღის წესრიგიდან მოიხსნება, მაშინ ეს ნიშნავს იმ ნეიტრალიტეტს, რომელიც საქართველოს 1919 წელს ჰქონდა და რომელსაც ოკუპაცია მოჰყვა. დეოკუპაციამდე არანაირი დიპლომატიური ურთიერთობებისა და რკინიგზის აღდგენა არ უნდა მოხდეს. ეს არის ჩვენი დამოკიდებულება რუსეთთან მიმართებით... მხოლოდ და მხოლოდ მაქსიმალური წინსვლა ევროატლანტიკური სივრცისკენ, – განუცხადა ქარდავამ „მედიანიუსს“.

რაც შეეხება იმას, მიიღებს თუ არა ედპ მონაწილეობას 19 აპრილისთვის დაგეგმილ აქციაში, ქარდავამ „მედიანიუსს“ უთხრა, რომ ზოგადად ნაცმოძრაობის მიერ აქციების დაწყების პროცესი მისთვის სასაცილოა. ქარდავას თქმით, იგი ზემოხსენებული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის ვანო მერაბიშვილის დღევანდელ განცხადებას არ გასცნობია და, შესაბამისად, ვერც ამ კითხვაზე გასცემს პასუხს.

პოლიტიკური პარტია „საქართველოს გზა“ ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის განცხადებას 19 აპრილს დაგეგმილ მიტინგთან დაკავშირებით პროვოკაციად აფასებს.

– ეს არის მორიგი პროვოკაცია. საქართველო არჩევანის წინაშე დგას არა დღეს, არამედ იდგა პირველ ოქტომბერს და ქვეყანამ ზუსტად მაშინ აირჩია საკუთარი განვითარების გზა, რომელიც ევროპასა და ნატოზე გადის, ხოლო ამ კურსის ურყევობა ახალი ხელისუფლების მრავალჯერადი განცხადებებითაც დასტურდება. ჩვენი ქვეყნის ევროპული მიმართულება არა მხოლოდ რომელიმე მთავრობის, არამედ ქართველი ერის მყარი არჩევანია.

გვინდა, საზოგადოებას მივმართოთ, კარგად გააცნობიერონ, რომ ვანო მერაბიშვილის, მიხეილ სააკაშვილისა და სხვა რევანშისტების ერთადერთი მიზანი ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირებაა.

როგორც იქნა, ქვეყანა დგება ნორმალური განვითარების გზაზე და დღეს თითოეული ჩვენგანის პირდაპირი მოვალეობაა, ზუსტად განვსაზღვროთ ქვეყნის წინაშე მდგარი საფრთხეები. ჩვენ არ გვჯერა ვანო მერაბიშვილის პატრიოტობის და არც იმის, რომ მათ ქვეყნის გადარჩენა სურთ. თუ მათ ეს სურვილი ჰქონდათ, ამას იმ 9 წლის მანძილზე გააკეთებდნენ, რაც ხელისუფლებაში იყვნენ, – ნათქვამია პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

აქციის გამართვის უფლება ყველას აქვს, მათ შორის ნაციონალურ მოძრაობასაც. როგორც გვამცნეს, აქციას ძველი პარლამენტის წინ მოაწყობენ. უკაცრავად და ახალი პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია რატომ დაიწუნეს? თავად არ იძახდნენ, ქუთაისს განვითარება სჭირდება და ამიტომ გადაგვაქვს პარლამენტიო. ერთი კარგი აქცია აწყენდა ვითომ ქუთაისს? სხვა თუ არაფერი, იქაური „მესემიჩკეები“ პროდუქციას გაასაღებდნენ.

# სააკაშვილი პარლამენტში გამოსვლას ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი



მიხეილ სააკაშვილს ერთი თვის და 2 დღის წინ გაუვიდა საპრეზიდენტო ვადა. ამის მიუხედავად, ის თავის სკამს არ ელევა და არც ახალი ხელისუფლება აძალებს, გადადექიო. მეოცნებეებს არც მილიონზე მეტი ხელმოწერისთვის გაუწევიათ ანგარიში. არადა, მილიონი საქართველოს მოქალაქე ითხოვს მის წასვლას. ექსპერტების ნაწილი ამბობს, რომ ვიდრე სააკაშვილი პრეზიდენტის სკამზე ზის ქვეყანას სიმშვიდე არ ეღირსება. ამაში მეოცნებეებიც რწმუნდებიან, მაგრამ გადაყენებას მაინც არ უპირებენ.

თებერვლის 6 რიცხვში პრეზიდენტი პარლამენტის წინაშე სიტყვით უნდა გამოსულიყო. მერე დაიბარა, ექვსი რიცხვი რაღაც არ მომწონს და მოდი, 8 თებერვალს გამოვალ ჩემ მიერ აშენებულ პარლამენტშიო. თავიდან ოცნება თანახმა იყო. მერე, ვერ გეტყვით, რა ბზიკმა უკბინა და უარი თქვეს.

უარის ოფიციალური მიზეზი საკონსტიტუციო ცვლილებები გახლავთ. ოცნება ითხოვდა, რომ ნაცმოძს დაეჭირა მხარი იმ ცვლილებებისთვის, რომელიც პრეზიდენტის უფლებებს ზღუდავს. ამ ცვლილებებით სააკაშვილი პარლამენტის ნებართვის გარეშე ვეღარ შეძლებს მთავრობის დანიშვნას.

მეოცნებეთა მტკიცებით, მათ საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის საკმარისი ხმები აქვთ. ბუნებრივია, იბადება კითხვა, თუ ეს ასეა, რაღას ეხვეწებიან ნაციონალებს. განმარტება ასეთია: გვინდა, მათაც მიიღონ ცვლილებებში მონაწილეობაო. ამ განმარტების არავის სჯერა.

ასე იყო თუ ისე, 8 თებერვალს სააკაშვილს პარლამენტში მისვლის უფლება არ მისცეს. პრეზიდენტი ასეთ რამეებს მიჩვეული არ არის. ძველ დროში მას ამას ვინ აკადრებდა, მაგრამ მოვიდა ბიძინა და ყველაფერი თავდაყირა დადგა.

სააკაშვილმა გადაწყვიტა, 8 თებერვალს მაინც მიემართა ხალხისთვის. ამტკიცებს, ის ტექსტი წავიკითხე, რაც პარლამენტის წინაშე გამოსვლისას უნდა წამეკითხაო. ამ ტექსტის წაკითხვამდე საჯარო ბიბლიოთეკასთან დიდი ცემა-ტყეპა მოხდა. ყოფილმა პოლიტპატიმრებმა ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორია გადაკეტეს და სააკაშვილს დაელოდნენ. ის იქ აღარ მოსულა. რაც 8 თებერვალს მოხდა, ყველამ კარგად იცით და აღარ გაგახსენებთ.

ამ ინციდენტის მიუხედავად, სააკაშვილს გული მაინც პარლამენტისკენ მიუწევს. გუშინ მან პარლამენტს მიმართვა გაუგზავნა. პრეზიდენტი სიტყვით გამოსვლას ითხოვს.

სააკაშვილი ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს ღია წერილით მიმართავს და მას კონსტიტუციით გათვალისწინებული პრეზიდენტის ყოველწლიური მოსმენის თარიღის დანიშვნას სთხოვს.

– მოგეხსენებათ, საქართველოს კონსტიტუცია ქვეყნის უზენაესი კანონია, რომლის დაცვა საქართველოს თითოეული მოქალაქის, მათ შორის, უწინარესად, ქვეყნის ხელმძღვანელი პირების უმთავრესი ვალდებულებაა.

ამიტომ, ჩვენი მოთხოვნაა, დაცულ იქნეს საქართველოს კონსტიტუცია რომელიც, ერთი მხრივ, ქვეყნის პირველ პირს ავალდებულებს, პარლამენტის ტრიბუნიდან მიმართოს საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებსა და საზოგადოებას; მეორე მხრივ, კონსტიტუცია ავალდებულებს პარლამენტს, მოუსმინოს საქართველოს პრეზიდენტს.

მიგვაჩნია, რომ კონსტიტუციის ამ ნორმის დაცვით ცოტა ხნის წინ შექმნილ ბევრ გართულებას ავიცილებდით თავიდან.

საქართველოს პრეზიდენტი არის კონსტიტუციის დაცვის გარანტი, მისი აღსრულების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა კი საქართველოს პარლამენტსაც ეკისრება.

აქვე შეგახსენებთ, საქართველოს პარლამენტში არაერთხელ გაკეთდა განცხადება იმის თაობაზე, რომ აღნიშნული მოსმენა უახლოეს მომავალში უნდა შემდგარიყო.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, მოგმართავთ თხოვნით, უზრუნველყოთ საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის დაცვა და დანიშნოთ საქართველოს პრეზიდენტის ყოველწლიური ანგარიშის მოსმენის თარიღი.

ჩვენი მხრივ, ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს პარლამენტი დაიცავს ქვეყნის ძირითად კანონს და, როგორც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებს, ისე ჩვენს ხალხს მიეცემა საშუალება, მოისმინოს საქართველოს პრეზიდენტის მოხსენება ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, – ნათქვამია მიხეილ სააკაშვილის ღია წერილში.

პრეზიდენტის წერილს მეოცნებეები მალევე გამოეხმაურნენ. ოცნებაში ჯერ არ იციან, მოისმენს თუ არა პარლამენტი მიხეილ სააკაშვილის ყოველწლიურ ანგარიშს და როდისთვის დათქვამს პრეზიდენტის მიღების თარიღს. ამასთან დაკავშირებით ერთმნიშვნელოვანი პასუხი და გადაწყვეტილება მმართველ გუნდში ჯერ არ არსებობს.

უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა ეკა ბესელიამ განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უნდა იმსჯელოს პირველ ყოვლისა პარლამენტის ბიურომ და სწორედ ბიურომ უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. დეპუტატებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ პარლამენტს პრეზიდენტის მოსმენაზე უარი არც თავის დროზე უთქვამთ.

მისი თქმით, იმ დროისათვის სააკაშვილის მოსმენაზე უარის თქმა არ ნიშნავდა იმას, რომ მას საერთოდ არ მოუსმენს პარლამენტი.

ანალოგიურ კომენტარს აკეთებს პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძეც.

– თავიდანვე ითქვა, რომ პრეზიდენტის პარლამენტში მოსვლისა და მისი ანგარიშით გამოსვლის თვალსაზრისით არანაირი პრობლემა არ იქნებოდა. ჩვენი მხრიდან საუბარი იყო მხოლოდ იმაზე, რომ დაეფიქსირებინა პრეზიდენტს პოზიცია განსახილველად წარმოდგენილ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით. თუკი ის პარლამენტს სცემს პატივს, მან უნდა განმარტოს, თუ რატომ აქვს ასეთი გადაჭარბებული კონსტიტუციური უფლებამოსილება, რომ როდესაც მოესურვება, დაითხოვოს პარლამენტი, ერთპიროვნულად დაითხოვოს მთავრობა და შექმნას მთავრობა, – განუცხადა ჟურნალისტებს მანანა კობახიძემ.

ვნახოთ, როდისთვის გადაწყვეტენ პრეზიდენტის მოსმენას მეოცნებეები. პრეზიდენტის გამოსვლა არც მათთვის იქნება სასიამოვნო და არც პრეზიდენტს ეამება მათი კრიტიკული გამოსვლები.

# მაია ნიკოლეიშვილი: „სააკაშვილის ხელისუფლებამ მორალურად გამანადგურა!“

## „6 წელია, დანაშაულის განცდით ვცხოვრობ“

თამარ ნინიძე

2006 წლის 4 მაისს სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით თორმეტი ადამიანი გაასამართლეს. მხოლოდ მეცამეტემ, მაია ნიკოლეიშვილმა მისცა აღიარებითი ჩვენება, რომლის გამოც ის ექვსი წელი დანაშაულის და სინანულის გრძნობით სახლში იჯდა. დღეს მაია ნიკოლეიშვილი სკანდალურ განცხადებას აკეთებს, რომ ხელისუფლებას ბევრად უფრო დიდი საქმე ჰქონდა ჩაფიქრებული იმ თორმეტი ადამიანის მიმართ, ბევრად მძიმე და ამაზრზენი, ამის მტკიცებულებები, როგორც ნიკოლეიშვილი ამბობს, მას გააჩნია და მალე ეს საქმეც გახდება საჯარო საზოგადოებისთვის. „ახალი თაობა“ მაია ნიკოლეიშვილს ესაუბრა.

*— თვლით თუ არა თავს პოლიტპატიმრად?*

— აქ მთელი რიგი სირთულეები იყო. მე მომიწია იმის აღიარება, რაც არ ყოფილა, მე ჩემი სირთულე გავიარე, ამიტომ არ მიფიქრია იმაზე, ვარ თუ არა პოლიტპატიმარი. ის, რომ ეს საქმე თავიდან ბოლომდე პოლიტიკური მოტივებით იყო შეთითხნილი, ამაში ორი აზრი არ არსებობს. პირველად თქვენთან ვამბობ, აქ უნდა ყოფილიყო ბევრად უფრო დიდი საქმე, ჩვენი საქმე კი იყო იმ დიდი საქმის მხოლოდ ფრაგმენტი. ამაში დარწმუნებული ვარ, ამის მტკიცებულებები მაქვს და სწორად გამიგეთ, თქვენი ნდობა მაქვს, მაგრამ ახლა არ მინდა უფრო მეტი დავაკონკრეტო, მე სააკაშვილის ხელისუფლებას დავუმტკიცებ, რომ მას ბევრად დიდი უსინდისობა უნდოდა ამ ჯგუფის მიმართ განეხორციელებინა, ვიდრე განახორციელა. ამის დასამტკიცებლად დრო დამჭირდება. მე ვაპირებ იმ დიდი საქმის შესახებ პირველად სამართალდამცავებისთვის თქმას, დარწმუნებული ვარ მერე უკვე ეს საქმე გაიხსნება და საჯარო გახდება. მე ექვსი წლის მანძილზე ვისწავლე დუმილი და მოთმინება, ამიტომ ახლაც მოვითმენ კიდევ გარკვეულ დროს. მე დავამტკიცებ, რომ ეს იყო ამ ჯგუფის მიმართ პოლიტიკური დევნა, ეს იყო განსხვავებული აზრის დევნა. რატომ წავედი აღიარებაზე, ამასაც თავისი მოტივაცია ჰქონდა, ამაზე თავისუფლად შემიძლია ახლა საუბარი, აქ ორი მომენტი იყო, პირველი ის, რომ მე ვარ ექსპერტი, რომელიც სააკაშვილს საკმაოდ დიდ პრობლემებს ვუქმნიდი, მე ჩემი ბუნებით დღესაც ვარ და ვრჩები „ენჯეოსნიკი“, მე მქონდა განსხვავებული აზრი, ის ადამიანები, რომლებიც ამ საქმეში იყვნენ, პოლიტიკოსები არიან, მე უპარტიო ვარ, ჩემი განსხვავებული აზრის და მათი განსხვავებული პოლიტიკური მოსაზრებების გამო მოხდა ეს ყველაფერი. ჩემი აღიარებით მე დამაპირისპირეს დანარჩენ თორმეტ ადამიანთან, რომელთაგან ნახევარს არც ვიცნობდი და დღესაც არ ვიცნობ, მეორეც, ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი როგორც მინიმუმ ექვსი წლით შეჩერდა. ვინაიდან ის დიდი საქმე არ გამოვიდა და დარწმუნებული ვარ, რომ არ გამოვიდა, ეს იყო სამაგალითო დასჯა სხვების დასაშინებლად. მე ჩემი დანაშაულის გრძნობით ვიჯექი ექვსი წელი ჩუმად და როგორც ექსპერტი კასტრირებული ვიყავი. მე რომ ციხეში ვმჯდარიყავი, შეიძლება იმ საერთაშორისო ორგანიზაციებს, მაგალითად, „ემნისტ ინტერნეიშენელს“ და „ჰუმან რაით ვოჩს“, შეიძლება კითხვები გასჩენოდათ, იმიტომ, რომ ეს კითხვები არ გაჩენილიყო, ამიტომ სჭირდებოდათ მაინცდამაინც ჩემი აღიარიებითი ჩვენება. ეს იყო ჩემი ორმაგი დასჯა.

***— 2006 წლის 4 მაისს მოხდა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა შეიარაღებული გზით თუ არა?***

— არა, ეს იყო აბსოლუტური აბსურდი, მე პოლიტიკურ პარტიაში არ ვყოფილვარ და პოლიტიკასთან შეხება არ მქონია, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელს მიმაჩნია, რომ ძალიან ცოტას ვაკეთებდით, ვიდრე სააკაშვილის რეჟიმის დროს იყო საჭირო, ბევრად ხისტი უნდა ყოფილიყო მუშაობა, ვიდრე იყო. ხალხს აქვს აჯანყების უფლება, ახლა ვამბობ ამას, მაგრამ აქამდე ძალიან შორს იყო. ამ თორმეტ ბრალდებულთან ერთად მეცამეტე ბრალდებული მე ვარ, მოწმე მე არ ვარ. ჩემთან საპროცესო გარიგება არავის გაუფორმებია, მე მომცეს პირობითი, ჩვეულებრივი ბრალდებული ვიყავი. იმ თორმეტი ადამიანიდან მე ვიცნობდი მაია თოფურიას, გურამ პაპუკაშვილს, თემურ ჟორჟოლიანს, რევაზ ბულიას, ზაზა დავითაიას ერთხელ შევხვდი, მან მე ინტერვიუ ჩამომართვა. მეტი არც არავის ვიცნობდი. ანტისოროსი საზოგადოებრივი ორგანიზაცია იყო, ამ ქოლგის ქვეშ იყო გაერთიანებული რამდენიმე ორგანიზაცია.

*— თქვენ მათ შეხვედრებში მონაწილეობდით?*

— არასოდეს არ ვმონაწილეობდი პარტიულ შეხვედრებში. ერთადერთხელ მომიწია პარტიის წევრებთან შეხვედრა, როგორც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს. ჩიორა თაქთაქიშვილის ცხვირის საპირწონედ მინდა დავდო ის ფოტო და დოკუმენტური მასალა, როგორ ხდებოდა განსხვავებული აზრის დევნა, დანაშაული, რომელიც ჩაიდინა სააკაშვილის ხელისუფლებამ, დადასტურებულია ექსპერტიზებით, მე მაქვს ავტომობილების ნომერები, ვინც არბევდა თბილისში მიმავალ ადამიანებს მიტინგზე აზრის გამოსათქმელად, კი საშინელებაა, ქალის მიმართ ძალადობა და უხეშობა, მაგრამ როცა ამ საქმეზე ასეთ საერთაშორისო რეზონანსს შექმნი, რა, სხვები ადამიანები არ იყვნენ? პარტია „სამართლიანობის“ წევრებთან მე სხვა ურთიერთობა არ მქონია. ანტისოროსი მოითხოვდა, ასეთი ლოზუნგები ჰქონდა: შეწყდეს განსხვავებული აზრის დევნა! დოქსოპულოებო, არქიფოებო, არავიძეებო, ყვარყვარეებო — დაეხსენით საქართველოს! შეწყდეს შეთქმულება ქართული სახელწიფოებრიობის წინააღდმეგ! შეწყდეს ქართველი ხალხის უფლებების დარღვევა, მოსახლეობის გენოციდი! ჩვენ მოვითხოვთ სიცოცხლის უფლებას! ვთვლი, რომ ეს ლოზუნგები დღესაც ძალიან აქტუალურია, ჯერ კიდევ სააკაშვილის რეჟიმი არსად წასულა. იმ ადამიანებმა ჩემზე მეტი და დიდი წვალება გამოიარეს ციხეებში.

***— თქვენ გაინტერესებდათ იგორ გიორგაძის და მოსკოვში მყოფი სხვა ქართველების პოზიციები და შეხედულებები, ამ მიზნით ჩახვედით მოსკოვში. ეს იყო სულ თქვენი შეხვედრა გიორგაძესთან?***

— არა, ჩვენ მერეც ბევრჯერ შევხვდით, ანტისოროსი თანადამფუძნებელი იგორ გიორგაძე იყო. ნებით თუ უნებლიეთ მე ჩართული ვიყავი ამ პროცესებში. რატომ იყო პირველი შეხვედრა ჩემთვის საინტერესო? მანამდე მე ვიყავი ორგანიზაციაში „წინ საქართველოსთვის“ ცოტა ხნით, იქ გამოიკვეთა ჩემი ინტერესი რუსული ვექტორის მიმართ. საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც აქვს ძალიან მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობა, ორი ზეკავშირის შექმნის მიჯნაზე ვდგავართ. ერთი უფრო სამხრეთული მიმართულების არის, თურქეთიდან ჩინეთისკენ მიდის ყველა ეს ინტერესი, მეორე რუსეთის ინტერესი, რომ შეიქმნას ევრაზიული კავშირი. ეს ორი კონკურენტი პროექტია.

*— ერთს დასავლეთი ახორციელებდა, მეორეს რუსეთი?*

— არა, სააკაშვილის მიერ ეს პროექტი არ იშიფრებოდა, მაგრამ დასავლეთი ჰქვია ყველაფერს, რაც დასავლეთით არის, საქართველო ჩაჯდა ამ პროექტში იმიტომ იყო ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა, იმიტომ იყო, რომ ევროპაში თურქეთით უნდა მივსულიყავით, ეს იყო რუსეთის დაკნინების პროექტი. ჩვენ ვნახეთ, რომ აჭარის თურქეთიზაცია დაიწყო და მიმდინარეობდა ძალიან აქტიურად, ჩრდილოეთ კავკასია, რომელშიც ჩვენ ძალიან ვაქტიურობდით სააკაშვილის პერიოდში, ამ პროექტის ინტერესს წარმოადგენდა. რუსეთის საწინააღმდეგოდ სერიოზული ბერკეტი იქნებოდა, პუტინმა თავის პრეზიდენტობის პირველივე ხანს განაცხადა, ევრაზიული კავშირის შესახებ, ორივე პროექტი ევრაზიული კავშირია, ოღონდ რუსეთი მიდიოდა თავისი უზარმაზარი ტერიტორიითა და ჩინეთის ჩათვლით. აქ დსთ-ზე და საბჭოთა კავშირის აღდგენაზე საუბარიც ზედმეტია, მე მიმაჩნდა, რომ ცალსახად, რომელიმე პროექტის წევრობა საქართველოსთვის იქნებოდა დამღუპველი. ყველა ინტერვიუში ვამბობდი, რომ საქართველო ამით კიდევ დაკარგავდა ტერიტორიებს და გაიხლიჩებოდა, ეს იყო ჩემი, როგორც ერთი „ენჯეოშნიკის“ პოლიტიკური ხედვა. საქართველომ უნდა ჩამოაყალიბოს მრავალპოლუსიანი საგარეო კურსი, ითანამშრომლოს ერთთანაც და მეორესთანაც. ეს რომ გაკეთდეს, უნდა იყვნენ ადამიანები, რომლებიც განსხვავებულად ხედავენ საგარეო პოლიტიკას. არც პროთურქული და არც პროამერიკული ვექტორის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ამავე დროს მიმაჩნია, რომ რუსეთთან აწეწილი ურთიერთობა საქართველოსთვის დამღუპველია. რუსეთში ცხოვრობენ ქართველები, რომლებსაც უყვართ სამშობლო, ამიტომ მე მაინტერესებდა იგორ გიორგაძესთან, ლევან ვასაძესთან, ალექსანდრე ჭაჭიასთან შეხვედრა. გიორგაძის იდეა იყო ანტოსოროსი სოროსი ჩემთვის ნიშნავს ქვეყნის მართვას გარედან. მიმაჩნია, რომ ეს დაუშვებელია. ჩრდილოეთის ევრაზიული კავშირი ნაწილობრივ შექმნილია და ეს არ არის არც დსთ და არც საბჭოთა კავშირი. ამ კავშირს მიემატნენ საფრანგეთი და გერმანია. ამერიკა ჩვენამდე შორია არ მიმაჩნია, რომ ამერიკის კოლონიად უნდა იქცეს საქართველო, ჩვენი მომავალი ევროპაშია.

***— თუ გქონიათ ამნისტიის შემდეგ გამოსულ ამ ადამიანებთან ურთიერთობა, ვინც 2006 წლის 4 მაისის ე.წ. შეთქმულებაში იყვნენ მსჯავრდებულები?***

— მათთან არ მქონია არანაირი ურთიერთობა, არც არანაირი განმარტება არ მიმიცია მათთვის, მე როცა აღიარებითი ჩვენება მივეცი, კი არ შევცდი, არამედ ეს იყო ჩემი ტრაგედია, ეს იყო ჩემი როგორც ადამიანის, როგორც პროფესიონალის დანგრევა. ის განცდა ბრალეულობისა, რომლითაც ექვსი წელი ვიცხოვრე, ეს იყო კატასტროფა. ციხეში ყოფნა ფიზიკურად ბევრად უფრო რთულია, მაგრამ მე ყველაფერ უბედურებასთან ერთად სახელმწიფო გადატრიალება ვაღიარე.

***— არის არგუმენტი, რომ მაია ნიკოლეიშვილმა ვერ გაძლო ციხის ოთხ კედელში, მას ემუქრებოდნენ შვილით, მაგრამ არის ასევე არგუმენტი, რომ ასე თემურ ჟორჟოლიანსაც ჰყავს ცხრა შვილი და მისგანაც შეიძლებოდა აღიარებითი ჩვენების მიღება. რატომ იყო აქცენტი თქვენზედ გაკეთებული?***

— იქ არ იყო აღიარების მოთხოვნა, ჩემთან იმუშავა „მასტერამ“, იგივე გია დგებუაძემ, თუ ეს ამ ადამიანს მუშაობაში ეთვლება, მე ვიცოდი ამ ადამიანების მასშტაბები, თუ სადამდე შეეძლოთ მისვლა, ჩვენ შორის საუბარში მთავარზე მთავარი იყო შვილი, მაგრამ იყო უამრავი საფრთხე, რომელსაც ვერ გავუძელი, იყო ზეწოლა, რომელმაც მე აბსოლუტურად დამშალა. ეს არის მეთოდიკა, რომელსაც მშვენივრად იყენებდა სააკაშვილის ხელისუფლება, სახლში დამჯდარი მაია ნიკოლეიშვილი არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენდა. მაშინ, როცა ციხეში ყოფნისას მე ვიქნებოდი საფრხთე. მაინცდამაინც ჩემზე იმიტომ იყო ზეწოლა, რომ ჟვანიას ფაქტორი იყო უდიდესი, ხელისუფლებას ჩაუვარდა კოვზი ნაცარში, როცა იმავე საღამოს მე გამოვედი და ვთქვი, რომ ჟვანია იმ პირობებში არ იყო გარდაცვლილი. იყო უამრავი სხვა საქმე, რომლის გამოც მათ ყოველდღიურად ვუპირისპირდებოდი, როგორც ექსპერტი. ყველაფერს ფოტო და სხვა დოკუმენტური მასალებით ვდებდი, ვაქვეყნებდი, ჩემი შვილები არაფრით სჯობიან სხვის შვილებს, შეიძლება უარესებიც არიან, ჩემზე იყო ზეწოლა, თანაც არა ფიზიკური, არამედ ძლიერი ფსიქოლოგიური ზეწოლა.

***— როცა თქვენ გადაწყვიტეთ, სარჩელი შეგეტანათ პროკურატურაში, რომ გაიძულეს აღიარებითი ჩვენების მიცემა, ეს ემსახურება იმ მიზანს, რომ თქვენი რეაბილიტაცია მოხდეს საზოგადოების და იმ თორმეტი ადამიანის თვალში?***

— არა, მე მინდა ამოვიღო პირველ რიგში დანაშაულის განცდა, რომელიც მქონდა იმ ექვსი წლის მანძილზე, პროფესიონალურად დავიწყე ფსიქოლოგიის შესწავლა იმიტომ, რომ გავიგო, რატომ ვერ გავუძელი და რატომ მოხდა ჩემი დაპირისპირება იმ ადამიანებთან. სასამართლზე მე დავადასტურე, რომ იყო შეიარაღებული შეთქმულება, პირველად რომ ბრალი დამდეს, ის უარვყავი, რადგან ეს სიგიჟე იყო და ეს უარი ოფიციალუარდ არსებობს საქმეში. მე არ მქონია ზოია კოსმნოდემიანსკობის პრეტენზაცია, ვარ ჩვეულებრივი ქალი, დედა და ადამიანი, როცა ადამიანს დააპატარავებ, გამოფიტავ, ეს დავიანხე ჩემს აღიარებით ჩვენებაში. პროკურატურაში სარჩელი იმიტომ შევიტანე, რომ მეთქვა, ეს ადამიანები მართლები იყვნენ. უნდა დაისაჯოს ამ სიტემის და რეჟიმის შემქნელი. დგებუაძემ მითხრა, მერაბიშვილის და სააკაშვილის დონეზეა შეთანხმებულიო.

***— ის ადამიანები, რომლებიც თქვენი აღიარების შემდეგ ციხეში წლებს ითვლიდნენ, თქვენზე გულდაწყვეტილები არიან, რბილად რომ ვთქვათ.***

— რა თქმა უნდა, მათი მესმის, საქმე აღიძრა გარკვეული პირების განცხადების საფუძველზე. რამდენიმე ადამიანმა მიმართ კუდს, რომ მზადდება სახელმწიფო გადატრიალება.

***— ეს ადამიანები სამართალდამცავები იყვნენ?***

— არ ვიცი, მე მათ არ ვიცნობდი. მე მაია თოფურიას და სხვებს თვალებში ევრ ჩავხედე, უბრალოდ, ვუთხარი, ვლოცულობ, რომ თქვენი სიმართლე დაასაბუთოთ-მეთქი. მე ვიცოდი, რომ რაც ვაღიარე, ეს იყო აბსოლუტური სიცრუე, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. ექვსი წელი რა პრესის ქვეშ ვიყავი, ეს მე ვიცი და ჩემმა ოჯახმა. იქნებიან ეს ადამიანები ჩემზე გულდაწყევტილები, როგორ არა, როდესაც მე ერთი გავტყდი. მე მაქვს აბსოლუტური ალიბი, მე იმ დღეს შევხვდი ენდიაის წარმომადგენელს საქართველოში. არათუ შეთქმულება, შეკრებაც კი არ ყოფილა. ირინა სარიშვილს ჰქონდა ინფორმაცია გავრცელებული, მაია ნიკოლეიშვილი ამერიკაში გადამალესო, არსად წავსულვარ, ეს ექვსი წელი ამ სახლში გავატარე. ალბათ, ეს იყო მიზანმიმართული, რომ ჩემს და იმ თორმეტ ადამიანს შორის დაპირისპირება გაღრმავებულიყო. მე არ მქონდა ცხოვრების და მუშაობის უფლება, მქონდა მხოლოდ არსებობის უფლება. მე არ მქონია ზეადამიანის ილუზია, რომ ყველაფერს გავუძლებდი.



## საბაჟო გამშვებ პუნქტებზე არადეკლარირებული ოქრო დააკავეს

გუგუთისა და ნინოწმინდის საბაჟო გამშვებ პუნქტებზე, დღეს, სომხეთიდან საქართველოში ოქროს ნაკეთობების უკანონო გზით შემოტანის ფაქტები გამოვლინდა.

შემოსავლების სამსახურის პრესცენტრის ინფორმაციით, სომხეთიდან მომავალმა, სომხეთის მოქალაქე ქ. გ-მ, საბაჟო გამშვებ პუნქტ გუგუთის გავლით, საბაჟო პროცედურების გვერდის ავლით, ქვეყანაში ოქროს ნაკეთობების შემოტანა სცადა.

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის ოფიცრებმა აღურიცხავი საქონელი დააკავეს.

კიდევ ერთი ფაქტი კი დღეს, საბაჟო გამშვებ პუნქტ ნინოწმიდაში დაფიქსირდა.

სომხეთიდან ოქროს ნაკეთობების შემოტანა სომხეთის მოქალაქე მ.შ-მ სცადა.

ოქროს ნაკეთობების ღირებულების დადგენის მიზნით, ნინოწმინდასა და გუგუთში გამოვლენილი არადეკლარირებული საქონელი, საბაჟო გამტარ პუნქტს აეროპორტის ექსპერტიზის განყოფილებაშია გადაგზავნილი.

ნიუსპრესი

## გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხე არ არსებობს

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ, მიმდინარე წლის 14 თებერვლიდან 21 თებერვლამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხე არ არსებობს.

კითხვაზე „თქვენი აზრით, არის თუ არა დღეს საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხე“, გამოკითხულთა 53,8 პროცენტმა უპასუხა, რომ ამის საფრთხე არ არსებობს, 38,5 პროცენტს კი ეს საფრთხე რეალურად მიაჩნია.

ამასთან, დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა, გამოკითხვაში მონაწილეთა 7,7 პროცენტს გაუჭირდა.

ნიუსპრესი

## პოლიციამ ინტერპოლის მიერ ძებნილი საბერძნეთის მოქალაქე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის და მცხეთა მთიანეთის მთავარი სამმათველოს თანამშრომლებმა თბილისში, რაზმაძის ქუჩაზე, ათენის ინტერპოლის მიერ ძებნილი, 1965 წელს დაბადებული ოდისეას იორდანიდისი (იორდანოვი) დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, აღნიშნულ პიროვნებას წინასწარი განზრახვით, სხვა პირებთან შეთანხმებით, გარკვეული გასამრჯელოს საფასურად, საბერძნეთის ტერიტორიაზე შეყვანისა და საცხოვრებლის უზრუნველყოფის მიზნით, უკანონო მიგრანტები გადაყავდა.

დაკავებული ათენის ინტერპოლის მიერ 2011 წლის 22 დეკემბრიდან იძებნებოდა.

დაკავების შემდეგ, აღნიშნული პიროვნება დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანეს, ხოლო 2013 წლის 18 თებერვალს, მის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამმართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის განჩინებით, საექსტრადიციო 3 თვიანი პატიმრობა შეეფარდა და იგი სასჯელაღსრულების დეპარტამენის №8 დაწესებულებაში მოათავსეს.

ნიუსპრესი

## რა ჩვენება მისცა ოქრუაშვილმა ბუტა რობაქიძის საქმეზე



შს ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ბუტა რობაქიძის საქმესთან დაკავშირებით 2013 წლის 16 იანვარს დაიკითხა. ამის შესახებ „ივერონს“ გურამ დონაძის ადვოკატმა დავით ხაჟალიამ განუცხადა.

როგორც „ივერონს“ ხაჟალიამ განუმარტა ირაკლი ოქრუაშვილმა გენერალურ პროკურატურაში ბუტა რობაქიძის საქმის გამოძიებას მწირი ჩვენება მისცა.

„ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეზე იარაღის შესახებ ინფორმაცია მედია-საშუალებებით შევიტყვე. ამის შემდეგ, შს სამინისტროს თანამშრომლებისგან მოვიძიე იარაღზე ინფორმაცია, მათ მითხრეს, რომ მანქანაში მყოფ პირებს ნამდვილად ჰქონდათ იარაღი. კონკრეტულად ვისგან შევიტყვე ეს ინფორმაცია აღარ მახსოვს“ — ასეთი სახის ჩვენება მისცა ირაკლი ოქროაშვილმა გამოძიებას.

შეგახსენებთ, რომ ბუტა რობაქიძის მკვლელობის დროს, 2004 წელს, ნოემბერში, შს მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი იყო.

ივერონი

# საქართველოში გუბერნატორის ინსტიტუტი უქმდება

ნათია ხურცილავა

**ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ყოფილი შენობა, რომელიც ყოფილი პრემიერის ვანო მერაბიშვილის რეზიდენცია უნდა გამხდარიყო, ივანიშვილის გადაწყვეტილებით, მთავრობას აღარ მოემსახურება.**



როგორც ცნობილია, აღნიშნული შენობის მშენებლობა ვანო მერაბიშვილის პრემიერობის დროს გრიფით "საიდუმლო,, მიმდინარეობდა. გუშინ, მთავრობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ინფორმაციის განსაიდუმლოება მოხდა. ასევე გუშინ ცნობილი გახდა, რომ ბიუჯეტს აღნიშნული შენობის რეკონსტრუქცია 26 მილიონი დაუჯდა.

ივანიშვილი მთავრობის კანცელარიის უკვე არსებულ შენობაში დარჩება, წინა ხელისუფლების მიერ მთავრობისთვის დაწყებული ახალი შენობის მშენებლობა კი შეწყდა.

– პრემიერი ამ შენობაში მუშაობს. ჩვენ ახლა არ გვაქვს ფუფუნება, ის ახალ რეზიდენციაში გადავიდეს, ამიტომ ამერიკის საელჩოს ყოფილი შენობა, რომლის რეკონსტრუქციაც იგეგმებოდა, შეწყდა. ახლა ვმსჯელობთ, თუ რა განთავსდება უკვე განახლებულ შენობაში. აქვე უნდა გითხრათ, რომ ამ შენობის უკან შეძენილი იყო მიწის ნაკვეთი, სადაც კანცელარიისთვის შვიდსართულიანი შენობა უნდა აშენებულიყო, თუმცა მისი მშენებლობა დაწყებულიც არ არის. გეტყვით, რომ ახალი კანცელარია პრემიერის აპარატს უნდა გადასცემოდა 2012 წლის 1 სექტემბერს, თუმცა ვადამ გადაიწია და გადაწყდა, რომ 1 იანვარს მომხდარიყო ახალ რეზიდენციაში გადასვლა, თუმცა ეს შეუძლებელი გახდა, რადგან შენობის მშენებლობა დასრულებული არ არის, – განუცხადა ჟურნალისტებს ცქიტიშვილმა.

კანცელარიის უფროსის განცხადებით, პროექტს შპს „არტესი“ ახორციელებდა და მისი საერთო ღირებულება 26 მილიონ ლარამდე იყო.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით ვლადიკავკაზში არანაირი დელეგაცია არ ჩასულა.

– თუ იქ იყო დელეგაცია ჩასული და ლექციების ჩატარებას აპირებდა, მაშინ რატომ არ არის ცნობილი მათი გვარები? სასაცილო და უსაფუძვლოა მათი ასეთი განცხადებები. მე ნამდვილად ვიცი, რომ საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით, ვლადიკავკაზში არანაირი დელეგაცია არ ჩასულა. აბსოლუტურად გულწრფელად გეუბნებით, რომ თიბილოვის განცხადება არ მესმის. ქართველ ექსპერტთა იქ ჩასვლა ისედაც შეუძლებელი იყო, თუ ეს ყველაფერი რუსულ მხარესთან არ იყო შეთანხმებული. აშკარაა, რომ თიბილოვი ეძებს საბაბს, საქართველოს მთავრობა გააკრიტიკოს, – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის განცხადებით, ფინანსთა სამინისტრომ საზოგადოებრივი მაუწყებლის შემოწმების შუალედური დასკვნები ტელევიზიის ადმინისტრაციას უკვე გადასცა.

– შესაბამისად, ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას და საზოგადოებრივი მაუწყებლის შემოწმებას. ეს პროცესი არ დასრულებული, თუმცა შუალედური დასკვნები გაკეთებულია და ის საზოგადოებრივი მაუწყებლის ადმინისტრაციას უკვე გადაეცა, – განაცხადა ხადურმა.

მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სასამართლო დარბაზების ტელეკამერებით აღჭურვის მიზნით 3 მილიონ 550 ათასი ლარი გამოიყო.

შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, პირველ რიგში, ბუტა რობაქიძის მკვლელობასთან დაკავშირებული ახალი კადრების ავთენტურობა უნდა დადგინდეს.

– პირველ რიგში, ამ კადრების ავთენტურობაა დასადგენი და კადრების შესაბამისი შესწავლა აუცილებლად მოხდება, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

როგორც ცნობილი გახდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს 10 თვის ბარბარე რაფალიანცის გარდაცვალებასთან დაკავშირებით არანაირი ვიდეომასალა არ მიუღია.

ცნობილი გახდა, რომ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების შემდეგ გუბერნატორის ინსტიტუტის გაუქმება იგეგმება.

დავით ნარმანიას განცხადებით, მთავრობის სხდომაზე წარდგენილი „საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები 2013-2014 წლებისთვის“ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ მოიწონა.

დავით ნარმანიას თქმით, უკვე 25 თებერვალს, აღნიშნული პროექტის სახალხო განხილვები არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან დაიწყება.

დოკუმენტის თანახმად, მოხდება სამხარეო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების ფორმირება.

– სამხარეო დონეზე დაინერგება სამხარეო თვითმმართველობის ძირითადი ელემენტები, რაც წარმომადგენლობითი ორგანოს შექმნას გულისხმობს, არა ისე, როგორც დღესაა, არამედ ეს ორგანო იქნება ფორმირებული პირველ დონეზე არჩეული ადმინისტრაციული თვითმმართველობის წარმომადგენლობისგან. მხარეს აღმასრულებელი ხელისუფლება ეყოლება, რომლის მეთაურიც მხარის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იქნება. ამ თანამდებობაზე სამხარეო საბჭო სამ კანდიდატს მთავრობას წარუდგენს და მხარის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს მთავრობა დაამტკიცებს, – განაცხადა ნარმანიამ.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის განცხადებით, როცა ჩატარდება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და შესაბამისი კანონმდებლობა ძალაში შევა, გუბერნატორის ინსტიტუტი გაუქმდება და მის ნაცვლად „გაცილებით უფრო დემოკრატიული ინსტიტუტი იქნება შემოთავაზებული“.

ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ განცხადება გააკეთა. მისი თქმით, ჰიდროელექტროსადგური „ხახვი 3“ ექსპლუატაციაში 1 სექტემბრისთვის შევა.

როგორც ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ მთავრობის სხდომის დაწყებამდე განაცხადა, სხდომაზე მინისტრთა კაბინეტი საქართველოს მთავრობასა და შპს „ხახვი ჰიდრო ფაუერი“ შორის 2009 წლის 14 მაისს დადებულ მემორანდუმში ცვლილებების შეტანის საკითხს განიხილავს.

– „ხახვი 3-ის“ მშენებლობის დროს მეწყერი ჩამოწვა, ამიტომ ინვესტორი მშენებლობას დროულად ვერ ასრულებს, ვთანხმდებით, რომ ჰესის ექსპლუატაციის ვადამ 1 სექტემბრამდე გადაიწიოს, – განაცხადა კალაძემ.

ჯანდაცვის მინისტრმა კომენტარი სოციალური დახმარების შეჩერების შესახებ გააკეთა. მინისტრმა ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა.

დავით სერგეენკოს განმარტებით, 16 000-ზე მეტი ადამიანისთვის სოციალური დახმარების შეჩერება მათ საკუთრებაში არსებული სხვადასხვა ძვირადღირებული ქონების გამო მოხდა.

მინისტრის განმარტებით, საქართველოს მასშტაბით 16 000-ზე ცოტა მეტ ადამიანს, რომელიც სოციალურ დახმარებას იღებდა, მაღალი შემოსავლები, ძვირადღირებული მანქანები და სხვადასხვა ქონება დაუფიქსირდათ.

– ამის გამო მათ სოციალური დახმარების მიღება შეუწყდათ. ჩვენ მათ დავუკავშირდით, მათი დიდი ნაწილი ამბობს, რომ ამ თანხას მიხდიდნენ და რატომ უნდა მეთქვა უარიო. – განაცხადა სერგეენკომ.

კიდევ ერთი ახალი იდეის შესახებ ჟურნალისტებს გიორგი მარგველაშვილმა განუცხადა. მარგველაშვილი ამბობს, რომ ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების პროექტის კვალდაკვალ შეიქმნება სასკოლო უბნებიც.

როგორც მარგველაშვილი ამბობს, იქნება სტრუქტურა სასკოლო უბანი, რომელშიც შევა რამდენიმე სკოლა. სასკოლო უბნებს დაეკისრებათ ბევრ ისეთ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება, რაზეც აქამდე მხოლოდ განათლების სამინისტრო წყვეტდა.

მარგველაშვილის განცხადებით, განათლების სამინისტრო სისტემის დეცენტრალიზაციის პროცესში დაეყრდნობა ნარმანიას უწყების მიერ შემოთავაზებულ კონცეფციას და გაზაფხულის სემესტრში დაიწყებს მის საპილოტე პროექტების განხორციელებას სხვადასხვა სკოლაში.

მინისტრის თქმით, სასკოლო უბნები იქნება იგივე ტიპის ტერიტორიული ერთეულები, რომელსაც შექმნის ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ოღონდ ეს უბნები კონცენტრირებული იქნება კონკრეტულ ტერიტორიულ ორგანოზე არსებული სკოლების განვითარებაზე.

მარგველაშვილის განცხადებით, ეს პროექტი პილოტირებას დაიწყებს თვითმმართველობის არჩევნებამდე და შემდეგ გავრცელდება მთელი საქართველოს ტერიტორიაზე.

მინისტრის თქმით, სასკოლო უბანში შევა რამდენიმე სკოლა და ბევრი საკითხი, რომლის შესახებაც გადაწყვეტილებას დღეს სამინისტრო იღებს, შემდეგ სასკოლო უბნის გამგეობის დონეზე გადაწყდება.

როგორც ცნობილია, ამ უბნების ფორმირების პროცესი უახლოეს მომავალში დაიწყება, თუმცა გაზაფხულიდან მისი პილოტირება მოხდება.

– პილოტირების შემდეგ ეს მოდელი საქართველოს მასშტაბით ამუშავდება, ეს იქნება ის მოდელი, რომლითაც ქართული სასკოლო სისტემა იმართება და ეს იქნება ანალოგი იმისა, რაც ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებს, – განაცხადა მინისტრმა.

# ფანჯიკიძეს მერაბიშვილზე ეღიმება

ნათია ხურცილავა

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის განცხადებას ღიმილისმომგვრელს უწოდებს.**

ამის შესახებ მაია ფანჯიკიძემ ვანო მერაბიშვილის მიერ გაკეთებული განცხადების კომენტირებისას განაცხადა, რომლის თანახმადაც, ნაციონალური მოძრაობა 19 აპრილს თბი-



ლისში, ძველი პარლამენტის შენობასთან ,,საქართველოს პატრიოტებს“ იწვევს ქვეყნის საგარეო კურსის უცვლელობის მოთხოვნით.

საგარეო უწყების ხელმძღვანელის განცხადებით, ის, ზოგადად, ხალხის აზრის თავისუფლად გამოხატვას მიესალმება.

– მთავრობა სწორედ ამ თავისუფლებას ჰპირდებოდა ხალხს, რომ მათ ექნებოდათ დემოკრატიული ცხოვრებისა და აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალება და მათ პოლიტიკური შეხედულებისთვის არავინ დასჯიდა. ამის გარანტიას იძლევა ეს მთავრობა და, აქედან გამომდინარე, ვერაფერს ვხედავ განსაკუთრებულს იმაში, რომ რომელიმე პოლიტიკურმა ძალამ ხალხს აქციისკენ მოუწოდოს. დემონსტრაციის, მიტინგის, აზრის გამოხატვის უფლება საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს და ყველა პარტიულ ძალას აქვს უფლება, მოსახლეობას მოუწოდოს, ამა თუ იმ აზრის გამოსათქმელად შეიკრიბონ. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ და მათ აქციის მოწყობაში წარმატებას ვუსურვებ. რაც შეეხება საქართველოს საგარეო კურსს, ცოტა გაუგებრობასა და ღიმილს იწვევს ჩემში განცხადება, რომ ეს დემონსტრაცია უნდა შედგეს იმისთვის, რათა საქართველო არასწორი მიმართულებით არ წავიდეს. საქართველო სწორი მიმართულებით მიდის. საგარეო პოლიტიკის კუთხით ჩვენთვის ევროპული გზა არის ერთადერთი. რაც საგარეო საქმეთა მინისტრი ვარ, დღე არ გასულა, ეს არ დამედასტურებინა არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც, ამიტომ არ ვიცი, ამ მოწოდებას რამდენი ადამიანი გამოეხმაურება, მაგრამ, ზოგადად, ხალხის აზრის თავისუფლად გამოხატვას მივესალმები. ჩვენი მთავრობა საკუთარ მოსახლეობას სწორედ ამ თავისუფლებას ჰპირდებოდა, აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ რომელიმე პოლიტიკურმა ძალამ ხალხს აქციისკენ მოუწოდოს, – განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

# ნიკოლოზ მჟავანაძე: „ბუტა რობაქიძის საქმეზე წარმოდგენილი ვიდეომასალა გაყალბებულია!“

## რას აცხადებენ ექსპერტები

გულიკო ბალაძე

სამი დღის წინ ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეში ბრალდებულ ირაკლი ფირცხალავას მიერ ე.წ. სპეცოპერაციად მონათლული ფაქტის ამსახველი ფირის გამოჩენამ უამრავი კითხვა გააჩინა.

სხვათა შორის, რაღაც ფირის მოძიებასა და შესაძლო წარმოდგენაზე საუბრობდა საქართველოში დაბრუნებული დონაძე. მას შემდეგ, რაც ის სასამართლომ გარკვეული თანხის სანაცვლოდ წინასაგამოძიებო პერიოდში გაათავისუფლა, ის აცხადებდა, რომ აქტიურად დაიწყებდა ფირის ძებნას, ხოლო ფირცხალავას მიერ წარმოდგენილი ვიდეოკადრების სატელევიზიო ეთერში გასვლის მეორე დღეს თვით ფირცხალავასთან ერთად ჟურნალისტების წინაშე წარდგა და ირწმუნებოდა, რომ ეს იყო მისი უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი.

არ არის გამორიცხული, თავის მართლების გარკვეული სქემა რომ იყოს შემუშავებული და ამ სქემის ნაწილი იყოს ფირცხალავას მოქმედება, უშუალოდ ფირი დონაძეს გადაეცა ფირცხალავასთვის.

იქიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, რომ ამ ფირის გამოჩენის შემდეგ ერთ-ერთმა მოწმემ ის ჩვენება გადათქვა, რომ მას შემთხვევის ადგილზე იარაღი არ უნახავს, ხოლო ის, ვინც რეალურად იღებდა მომხდარ ფაქტს, თავიდანვე თამაშგარე მდგომარეობაშია გადაყვანილი, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ საქმის გაყალბებით დაინტერესებული პირები გარკვეული გეგმით მოქმედებენ და მოწმეებზე ზემოქმედებენ.

ახლა, გარდა კონკრეტული პირებისა, სააკაშვილი და მისი ნაციონალური მოძრაობა აშკარად დაინტერესებულია დამტკიცდეს, თითქოს ისინი კრიმინალებს ებრძოდნენ და გადაცდენაც კი არ ჰქონიათ.

აშკარად იკვეთება, რომ გამოყენებულია სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩვევა ყველაფრის უარყოფისა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სააკაშვილი იძლეოდეს მითითებას, უარყავით ყველაფერი, თუნდაც ისიც კი, რაც აშკარაა, არ მისცეთ საშუალება შესაბამის სტრუქტურებს, სიმართლე დაამტკიცონ. ეს პოზიცია იქიდანაც ჩანს, რომ მას შემდეგ, რაც ციხის კადრები გავრცელდა, სააკაშვილის



ხელისუფლება რეალური მტკიცებულებების განადგურებით იყო დაკავებული.

„უფლებადამცველთა გაერთიანებამ“ დამოუკიდებელი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრ „ვექტორის“ ექსპერტ ალექსანდრე გეჯაძესთან და ამავე ცენტრის აუდიოვიდეო ჩანაწერების ექსპერტ მარიკა ტოკლიკიშვილთან ერთად პრესკონფერენცია გამართა. პრესკონფერენციაზე ისაუბრეს ბუტა რობაქიძის მკვლელობასთან დაკავშირებით ნაჩვენები კადრების თაობაზე.

ნიკოლოზ მჟავანაძის თქმით, ფირცხალავას წარმოდგენილი ფირი ფალსიფიცირებული ჩანს და, როდესაც ეს დამტკიცდება, მტკიცებულების ფალსიფიცირებისთვის გარკვეული პირები პასუხისგებაში უნდა მიეცნენ.

– რამდენიმე დღის წინ გავრცელდა კადრები ბუტა რობაქიძის მკვლელობის თაობაზე. ჩვენ გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს კადრები არის გაყალბებული, დამონტაჟებული და შემოგდებულია სააკაშვილის ხელისუფლების ნარჩენების მხრიდან, იმისთვის, რომ რეალურად სასამართლოს ჰქონდეს საშუალება, შემდგომში გაითვალისწინოს მტკიცებულებებიდან ის, რომელიც იქნება მისთვის დღეს სასურველი, – განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ.

ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, ფირცხალავას და დონაძეს ჰგონიათ, რომ ახლა წარმოდგენილი ფირი მათ პასუხისმგებლობას გამორიცხავს, არადა, პირიქითაა.

– ფირცხალავასა და დონაძის აზრით, როდესაც დაიდება ფირცხალავას მიერ წარდგენილი მტკიცებულება, ეს მათ პასუხისმგებლობას გამორიცხავს. სასამართლო კი გაითვალისწინებს ახლა წარმოდგენილ მტკიცებულებას. ამიტომ უნდა ჩატარდეს ფონესკოპიური ექსპერტიზა. პირიქით, ნათლად გამოჩნდა, რომ რეალურად მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის წრე იზრდება ანუ იქ, გარდა იმ ბაშალეიშვილისა, რომელმაც იარაღიდან ისროლა, იკვეთება პატრულის სხვა პოლიციელების დანაშაული, ვინაიდან ამ ადამიანს, რომელსაც ესროლეს, კარგა ხანს არ აღმოუჩინეს დახმარება. აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობა იზრდება, – აცხადებს ნიკოლოზ მჟავანაძე.

წარმოდგენილი ვიდეოფირიდან აშკარად ჩანს, რომ დაჭრილი, ფაქტობრივად, განსაცდელში მიატოვეს და არ ცდილობენ მის გადარჩენას. მთელი ხმით გაჰყვირიან და აფიქსირებენ, რომ არის იარაღი. შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამას სპეციალურად აკეთებენ და სპეციალურად აფიქსირებენ იარაღებს.

ნიკოლოზ მჟავანაძე აღნიშნავს, რომ, მისი დაკვირვებითა და შეფასებით, ბუტა რობაქიძე კარგა ხანი იწვა დაჭრილი.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# აქვს თუ არა საქართველოს აგრარული პოლიტიკა

როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

საქართველო ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანია, რომელსაც მცირე მიწის ფონდი აქვს. ის ბევრად ჩამორჩება ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა კანადა, ავსტრალია და არგენტინა. არსებობს მოსაზრება, რომ ერთ სულ მოსახლეზე 0,14 ჰა ფართობის მიწა მოდის, თუმცა ამის დათვლა და დაზუსტება არც ისე ადვილია იმ პირობებში, რომელშიც ჩვენ გვიწევს ცხოვრება. არ გვაქვს ზუსტი დემოგრაფიული მონაცემები და ამას ემატება ისიც, რომ საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებულია და ამიტომ პირობითად შევთანხმდეთ, რომ საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა. სამწუხარო რეალობაა, რომ ყოველწლიურად მიმდინარეობს აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ ტერიტორიაზე გაუდაბნოების პროცესი უწყვეტად და დასავლეთ საქართველოში კი სასოფლო-სამეურნეო მიწების ეროზირებაც მასიურ ხასიათს ღებულობს. ტყიანი ფართობების შემცირების გამო მეწყრული ზონები ან იმატებს, ან კატასტროფულად აქტიურდება.



2004 წლის მონაცემებით, 3025,8 ათას ჰექტარს შეადგენდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი, შემდეგ ბევრად შემცირდა რუსეთის ოკუპაციის გამო, რასაც დაემატა ნიადაგების გამოფიტვა, ეროზია, გაუდაბნოება, დამეწყვრა, დაჭაობება.

აღარავის უკვირს, რომ მიწის რესურსებით მდიდარ ქართლსა და კახეთში საირიგაციო სისტემის მოშლის გამო მოსახლეობა კაპიკებად ჰყიდდა მიწას. სატირალი ფაქტია, რომ კახეთში ერთი ჰექტარი ზოგჯერ 500 ლარადაც გაყიდულა, რადგან მორწყვის გარეშე მისი დამუშავება მხოლოდ წაგება იყო და ხარჯებსაც ვერ უზრუნველყოფდა ის მწირი მოსავალი, რომელიც შეიძლება მოურწყველობის პირობებში მიეღო გლეხს ან ფერმერს.

მიწას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბუნებრივ რესურსებს შორის, რადგან მის გარეშე არ არსებობს არცერთნაირი საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების წინაპირობა. ეს ძალიან კარგად მოეხსენება ქართულ საზოგადოებას და სახელმწიფო ღალატის ტოლფასია, როცა დედოფლისწყაროსა თუ გორში გლეხმა ან მიწა მიატოვოს, ან სულაც გაყიდოს.

არც ისე დიდი ხნის წინ, როცა საქართველოში გაჩნდა იდეის დონეზე ქართული სოფლის აღორძინების იმედი, რუსეთში მცხოვრებმა ჩემმა ნაცნობმა იქაური ქონება მთლიანად გაყიდა და 30 ჰექტარი შეიძინა დედოფლისწყაროში. იქიდან გამომდინარე, რომ ეს რაიონი იძლევა ბევრნაირი მოსავლის მიღების საშუალებას, ამიტომ თბილისშიც გაყიდა სახლი და თავისი აზრით, დროებით ქირით დაიწყო ცხოვრება. ფერმერული მეურნეობის მოსაწყობად დედოფლისწყაროს 30 ჰექტარი საკმაოდ კარგი დასაწყისია. ბროწეულის ნერგის ჩაყრით დაიწყო მემცენარეობის განვითარება, თუმცა რგვის დასრულებისთანავე მიხვდა, რომ წყლის მოწოდებას ხელოვნურად უფერხებდნენ და მიწის მოხვნა-კულტივირება მართლაც წყალში გადაყრილი შრომა იყო. დარგული ბროწეულის აბსოლუტური უმრავლესობა გახმა, ხოლო ძალიან მცირე რაოდენობით გახარებულმა ბროწეულმა უწყლობის გამო სასაქონლო პროდუქცია ვერ გამოიღო. საცხოვრებლის დაკარგვის პარალელურად ფერმერი იძულებული გახდა, რომ მიწა კაპიკებად გაეყიდა, რადგან ყოველდღიურად ეზრდებოდა ხარჯები.

ქართველი ხალხის ტრადიციულ-ორგანულმა კავშირმა მიწასთან მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქართული სახელმწიფოებრიობა, მისი ეთნოფსიქოლოგია და ეთნოკულტურაც. სამკვიდროს სიყვარულის გამო ქართველს იარაღის გვერდით საპატიო ადგილად ედო სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

ქვეყანას უნდა გააჩნდეს აგრარული პოლიტიკა, რადგან სოფლის მეურნეობის გარეშე საქართველოს განვითარება წარმოუდგენელია. აქამდე, ყველას კარგად მოეხსენება, რომ ქართული აგრარული პროდუქცია იაფფასიანი და უხარისხო იმპორტული პროდუქტების კონკურენციის გამო უკანა პლანზე იყო გადაწეული. ამის გამო ქართველი ფერმერი სასაქონლო ქართულ პროდუქციას არ აწარმოებდა და ძირითადად იყენებდა თავისი, პირადი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მეცხოველეობისა თუ მემცენარეობის ძირითად დარგებს. საზღვარგარეთიდან შემოტანილი კვების პროდუქტების უვნებლობის ხარისხის კონტროლი არ მიმდინარეობდა და ქართველები ,,წარმატებულად“ ვითვისებდით კუბალლინჯოიან ფქვილს, ნიტრატებით გაჯერებულ ბაღჩეულსა და ხილს. დაბალი საგემოვნო თვისებებით გამორჩეული იმპორტული ფრინველისა და ცხოველის ხორცით საქართველოს მეცხოველეობას საფუძველი ეცლებოდა. უკვე აღარავის აღარ აინტერესებდა ხევსურული ძროხის მოშენება, არც კახური ღორის პოპულაციას აქცევდნენ ყურადღებას. ბუნებრივ პირობებთან ადაპტირებული აბორიგენული მცენარისა და ცხოველის ჯიშები ან გაქრობის გზაზე დადგა, ან შემცირდა რაოდენობრივად.

სოფელში არსებული უმძიმესი, კრიზისული სიტუაცია განპირობებულია მთავრობის პასიური მონაწილეობით აგრარული საკითხების გადაწყვეტის საკითხში. დამოუკიდებლობის მერე საქართველოს მოსახლეობას უფასოდ გადაეცა მიწა, რომელიც ეკონომიკური კეთილდღეობის საფუძველი ვერ გახდა. წვრილმესაკუთრეთა ინტერესების გაუთვალისწინებლობის გამო ზოგჯერ მიწა არა მოგების, არამედ წაგების საფუძველიც ხდებოდა. მართალია, მიწაზე გადასახადები მოხსნეს, რაც სტიმულატორი უნდა ყოფილიყო აგროსფეროსთვის, თუმცა იმერეთის ზოგიერთ რეგიონში ჰექტარზე 9 ლარიანი წლიური გადასახადი მოხსნეს, სამაგიეროდ სამჯერ და მეტჯერ გაიზარდა შხამ-ქიმიკატების ფასი, რამაც თითქმის ხელმიუწვდომელი გახადა აგრარული პერსპექტივა. არსებობს გონივრული ეჭვი, რომ მიწის მესაკუთრეთა დისკრედიტაცია იყო მიზანმიმართული პოლიტიკა, რათა საქართველოს მიწის ფონდი გაყიდულიყო იაფად დაინტერესებულ პირებზე.

აგროსაკრედიტო პოლიტიკა იმდენად კაბალური იყო, რომ ფრთხილი ადამიანი მას გვერდს უვლიდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მინიმუმ, მიწას კარგავდა. არ არსებობდა დაზღვევის პრაქტიკა, არადა აგროსექტორი უამრავ რისკს შეიცავს და მისი დაზღვევა აუცილებელია.

არ არსებობს სარწმუნო ინფორმაცია მიწის შესახებ. ალბათ ახალი მთავრობა იზრუნებს მიწის კადასტრის აღორძინებაზე, მოსახლეობა უნდა იყოს ინფორმირებული მიწის ფონდის, ხარისხის, ნაყოფიერებისა და რეკულტივაციის საკითხებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ქართული სოფლის განვითარება ისევ წარმოუდგენელი იქნება.

ერთი პოზიტიური ინფორმაცია მინდა დავურთო სტატიას: ქართულ მარკეტინგულ სივრცეში მიწის გაყიდვის შესახებ განცხადებებმა მოიკლო, რაც აიხსნება იმით, რომ ქართველი ფერმერი ელოდება 1 მილიარდიან ფონდის ამოქმედებას, რომელიც იაფი კრედიტის საშუალებით განდევნის ქართული ბაზრიდან იმპორტულ პროდუქტს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ერთმა პატარა დასავლეთევროპულმა მონარქიულმა სახელმწიფომ ეკონომიკის სწრაფი განვითარება დაიწყო, რისი საფუძველიც დედოფლის მიმართვა-თხოვნა იყო მოსახლეობისადმი, არ ეყიდათ უცხოური წარმოების პროდუქცია, ოდნავ მეტი გადაეხადათ სამამულო წარმოების საქონელში, თუ უნდოდათ ეკონომიკური წინსვლა. ახლა იგივეს განცხადება ასე თუ ისე პოლიტიკურად წამგებიანი იქნება, თუმცა სახელმწიფოს მატერიალური თვალსაზრისით ზედმიწევნით წაადგება.

# სკოლა ერთადერთი მოსწავლით

**ბაჩო ნიკლაური მაქართის დაწყებითი სკოლის მესამე კლასში სწავლობს. არა მხოლოდ კლასში, ის სკოლაშიც ერთადერთი მოსწავლეა. ბიჭუნას არც კლასელი ჰყავს, არც – სკოლელი. სამაგიეროდ, ჰყავს ორი მასწავლებელი: მუსიკასა და ინგლისურს ინგა მასწავლებელი ასწავლის, ყველა სხვა საგანს – ლია მასწავლებელი.**



გუდამაყარსა და ბაჩოს ოჯახში დეკემბერში ვიყავით. მაშინ კვირა დღე იყო, სემესტრის მიწურული. უქმე დღის მიუხედავად, ბიჭუნა არ დაგვზარდა, გამოგვყვა სკოლამდე, ეზოში ფოტოებიც გადავიღეთ. ლია მასწავლებელი შეუძლოდ იყო. „ხომ არ ავიდე გასაღების ჩამოსატანად?“– შემოგვთავაზა ბაჩომ. ჩვენ დავპირდით, რომ არდადეგების მერე აუცილებლად ვესტუმრებოდით მის სკოლას. რამდენიმე დღის წინ დანაპირები ავასრულეთ.

ჩვენი სტუმრობა მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა. „ამ სკოლით და ხეობით არავინ ინტერესდებაო“, – გვეუბნება ლია მასწავლებელი.

სკოლა კერძო სახლშია განთავსებული. გვეუბნებიან, რომ ადრე აქ სოფლის საბჭო იყო, პირველ სართულზე კი – კლასები. შემდეგ შენობის პრივატიზება მოხდა. სკოლა ერთ ოთახში, უფრო სწორად დერეფანში დატოვეს. ერთ მოსწავლეს და ორ მასწავლებელს ეს პატარა ოთახიც ჰყოფნით. წინ კედლებზე დაფაა, უკან – თვალსაჩინოებებია გაკრული. კარის ღრიჭოებიდან უბერავს, თუმცა ახლა რა უშავს, თბილი ზამთარია, ღუმელიც ანთია და არ ცივა.

დილას სკოლაში ჯერ ლია მასწავლებელი მიდის. ის ღუმელს ანთებს, რომ ბაჩოს თბილი ოთახი დაახვედროს. ბაჩო ან დედამისი, როგორც წესი, ფანჯრიდან უყურებენ. „ზემოდან გამოვიხედები ხოლმე და რომ დავინახავ, ლია მასწავლებელი ჩამოდის, მეც ვეშვები, ხან ფეხით, ხან – ციგით“, – გვეუბნება ბაჩო.

ხანდახან დიდი თოვლი თუ არის, ფეხი ცურავს და ბიჭი დედას ჩამოჰყავს.

– ბაჩო ხუთოსანი ხარ? – ტრადიციულად, რატომღაც ასე ვკითხეთ მაშინ, პირველი შეხვედრისას და...

– არა, ათოსანი! – იწყინა ბიჭმა.

კლასში ერთია. ვერც ვერავინ უკარნახებს რამეს და ვერც ვერავისგან გადაიწერს. ყოველდღე ყველაფერს, ყველა გაკვეთილს, მას ეკითხებიან, ამიტომ კარგად სწავლობს. განსაკუთრებით ქართული და ინგლისური უყვარს.

– ბაჩო, აბა, რა გვქონდა გაკვეთილად? – ეკითხება ლია მასწავლებელი. მოსწავლემ ტექსტი ერთხელ უკვე წაიკითხა, ახლა მასწავლებელს შეკითხვებზე პასუხობს.

ქართულის გაკვეთილი აქვთ. ვთხოვთ, გაკვეთილი ისე ჩაატარონ, როგორც სხვა დროს ხდება. ჩვენ არ მოგვაქციონ ყურადღება. მთლად ასე არ გამოდის. ფოტოაპარატის ჩხაკუნზე ბიჭს ყურადღება ეფანტება. ლია მასწავლებელი გვთხოვს, ჩვენი სტუმრობა სკოლის დირექტორსაც ვაცნობოთ. მაქართის სკოლა გუდამაყრის სკოლას ექვემდებარება. ჟუჟუნა წიკლაური გაკვეთილებზე დასწრებაზე უარს არ გვეუბნება. ვთანხმდებით, რომ მოგვიანებით ზანდუკში, სკოლაში შევხვდებით.

ამ დროს მოსწავლე და მასწავლებელი გაკვეთილზე წაკითხულის შესახებ ბჭობენ.

„მესამედ რომ შეუყარა ბუხარში ფული, რატომ დაიწყო შვილმა ბუხარში ძებნა?“

„იმიტომ, რომ ის თავად გამოიმუშავა“.

„მანამდე რატომ არ ეძებდა?“

„იმიტომ, რომ მანამდე დედამ მისცა ფული“.

„რას გვასწავლის ეს მოთხრობა, ბაჩო?“, – ისევ ეკითხება ლია მასწავლებელი.

„გვასწავლის, რომ უნდა ვიშრომოთ, არ ვიზარმაცოთ“, – პასუხობს ბიჭუნა.

შემდეგ რაოდენობით და რიგობით რიცხვით სახელებს არჩევენ და გაკვეთილი მთავრდება კიდეც.

მეორე მათემატიკის გაკვეთილი აქვთ. ასეულებს, ათეულებსა და ერთეულებს გადიან. ბაჩო ჯერ დავალებას კითხულობს და მერე დაფასთან მუშაობს.

– აბა დაწერე 245. რამდენია ასეულია? რამდენი ათეული? ერთეული?

– ორი ასეული, ოთხი ათეული და ხუთი ერთეული.

12 საათისთვის ინგა მასწავლებელიც მოდის. მათემატიკის მერე მესამე, ერთადერთ კლასს ინგლისური აქვს. ინგასთან ერთად სკოლაში ბაჩოს დედაც ჩამოდის. ჩვენ ვსარგებლობთ და ვესაუბრებით მათ.

„კარგია, რომ სოფელში დაწყებითი სკოლა მაინც არსებობს, თორემ ბიჭუნა ძალიან გაწვალდებოდა ფეხით უნდა ევლო“, – ამბობს ლელა წიკლაური, ბაჩოს დედა. ბაჩოს უფროსი ძმა და კიდევ ორი ბავშვი საშუალო სკოლაში დადიან ზემოთ, ზანდუკში, ყოველდღე ფეხით 4 კილომეტრს გადიან ბავშვები თოვლსა და ყინვაში.

ლია მასწავლებელს, ლია წიკლაურს თავადაც ეს სკოლა აქვს დამთავრებული. მაშინ გუდამაყრის ხეობაში რამდენიმე დაწყებითი და ერთი საშუალო სკოლა იყო. „ჩვენ ბევრნი ვიყავით, თუმცა მერე ჩვენც ზემოთ დავდიოდით სკოლაში“, – იგონებს მასწავლებელი. უკვე ათ წელზე მეტია, ამ სკოლაში მუშაობს, ხშირად კლას-კომპლექტებიც ჰქონდათ ხოლმე, 4-5 მოსწავლით. ბაჩო რომ გადავა საშუალო სკოლაში, მეტი ბავშვი არც იქნება...

არადა, ლია მასწავლებელი მარტოხელა დედაა, მშობლების ოჯახში ცხოვრობს და სკოლის ხელფასით ინახავს ერთადერთ ვაჟს, რომელიც წელს, იქვე, ხეობაში ამთავრებს საშუალო სკოლას.

ინგა მასწავლებელი, ინგა ჩოხელიც, გუდამაყრელია, სოფელ ჩოხიდან არის, მაქართაშია გათხოვილი.

– ბაჩო შენ გარდა სოფელში სხვა ბავშვები არ არიან? – ვეკითხებით ბიჭუნას

– კი, როგორ არა, ნუცაა, – გვეუბნება ბაჩო. ნუცა ბაჩოს მეზობელია, ინგა მასწავლებლის შვილი, ის მერვე კლასშია და ბიჭებთან ერთად საშუალო სკოლაში დადის. კიდევ ორი უფროსკლასელი დათო... ეს არის და ეს... ზამთარში მეტი არავინ რჩება.

„ზაფხულობით კარგია გუდამაყარი, ბევრი ხალხია, ბაჩოს კბილა ბიჭები და გოგონებიც ჩამოდიან“, – გვეუბნებიან მასწავლებლები.

„ხან მდინარეზე დავდივართ საბანაოდ, ხან დამალაობანას, დაჭერობანას ვთამაშობთ“, – გვეუბნება ბიჭუნა, რომელსაც ზამთრობით სწყინდება ხოლმე.

„რომელ მდინარეზე? ეს რა ხეობაა ბაჩო?

– გუდამაყრის.

– აქ რომელი მდინარე მოდის?

– არაგვი?

– რომელი არაგვია, ბაჩო? თეთრი თუ შავი?

– თეთრი– გვპასუხობს თავიდან და

– ბაჩო რა ჰქვია ჩვენს მდინარეს? – აზუსტებინებს ლია მასწავლებელი

– შავი არაგვი“.

– მეოთხე გაკვეთილი ბუნება უნდა ჰქონდეს, მაგრამ მანამდე ჩვენი ხათრით მუსიკას „ატარებენ“:

„ტიალო დარიალაო, კლდენი ხარ ცარიალაო“, – მღერის ბაჩო.

ბაჩო ყოჩაღი ბიჭია, ის გვპირდება, რომ გაიზრდება, იშრომებს და იყოჩაღებს: სახლსაც მოუვლის და სოფელსაც.

რედაქციისგან: ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის და მცხეთა – მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის ერთობლივი აქციის ფარგლებში საჩუქრები ჩავუტანეთ მაქართის დაწყებით სკოლას და წიკლაურების ოჯახს. დიდი მადლობა თითოეულ ადამიანს, რომელიც აქციაში ჩაერთო. პატარა ბავშვის ტანსაცმელს გუდამაყრელები უკან გვატანდნენ: „ამ ასაკის ბავშვი მთელ ხეობაში არ არისო“...

თინათინ მოსიაშვილი
მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი

## ამნისტიის კანონით, საპატიმროები კიდევ 89 მსჯავრდებულმა დატოვა

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარე წლის 20 თებერვალს, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებიდან 89 ბრალდებული და მსჯავრდებული გათავისუფლდა.

მთლიანად კი, 2013 წლის 20 თებერვლის მონაცემებით, ამნისტიის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები სულ 7 688 ბრალდებულმა და მსჯავრდებულმა დატოვა.

გათავისუფლებულთა შორის 175 პოლიტპატიმარია, 304 – მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, 18 კი არასრულწლოვანი.

ნიუსპრესი

## სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განთავსებულ მაღაზიებში პროდუქცია გაიაფდება

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, დაწესებულებებში, მაღაზიის ფუნქციონირებისათვის ფართებს გასცემს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მიღება შეეძლებათ იმ საცალო-საბითუმო მაღაზიათა წარმომადგენლებს, რომლებიც მთელი საქართველოს მასშტაბით, მინიმუმ 10 სავაჭრო ობიექტს აერთიანებენ, ან მათი სავაჭრო ობიექტების ფართი მინიმუმ 1000 კვ/მ-ს შეადგენს.

ასევე, მონაწილეებს უნდა გააჩნდეთ საცალო-საბითუმო ვაჭრობის 2 წლიანი გამოცდილება.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განთავსებულ მაღაზიებში დაუშვებელია ვადაგასული პროდუქციის შეტანა, ხოლო გასაყიდი პროდუქციის ფასი მოსარგებლის საკუთრებაში არსებული გარე ქსელის ფასებს არ უნდა აღემატებოდეს.

დაინტერესებული კომპანიებისთვის, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი საკონსულტაციო შეხვედრას, 2013 წლის 25 თებერვალს 17:00 საათზე გამართავს.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებულ სავაჭრო ობიექტებში, პროდუქციის ღირებულება, მის გარე სარეალიზაციო ღირებულებას მნიშვნელოვნად აღემატებოდა.

ნიუსპრესი

# ნიკოლოზ მჟავანაძე: „ბუტა რობაქიძის საქმეზე წარმოდგენილი ვიდეომასალა გაყალბებულია!“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

– ამას ადასტურებენ ჩემი მოწვეული ექსპერტებიც. იქ სისხლის გუბე რომ დგას, სისხლი იმიტომაც იყო იმდენი, რომ ის ადამიანი დიდხანს იყო იქ დაჭრილი. დროზე რომ აღმოეჩინათ სამედიცინო დახმარება, ბუტა რობაქიძე გადარჩებოდა. დახმარების აღმოუჩენლობაა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას და ამ მუხლით პასუხისმგებლობაში უნდა მიეცნენ იმ ეკიპაჟის წევრები, რომლებიც იქ იყვნენ, იმიტომ, რომ ისინი არიან პასუხისმგებლები იმ შედეგებზე, რომელიც მოჰყვა ამ ფაქტს, – ასეთია ნიკოლოზ მჟავანაძის შეფასება.

ნიკოლოზ მჟავანაძე აფასებს ასევე გასროლის მომენტს და იმ რეაქციას, რომელიც უნდა მოჰყვეს გასროლასა და პირის დაჭრას.

– როდესაც ჩვენ მასალა ვიხილეთ, აღმოვაჩინეთ, რომ როდესაც გასროლა ხდება, ნათლად ჩანს, რომ პოლიციელებს რეაქცია არ აქვთ გასროლაზე ანუ ადამიანი როდესაც ისვრის, ან უნდა გაინძრეს, ან რაღაც რეაქცია უნდა ჰქონდეს. რეაქცია არ იყო, ანუ არის მონტაჟი. აშკარად ჩანს, რომ სხვადასხვა ეპიზოდში ხმები არ ისმის, გადაფარულია.

ეტყობა, იმ მომენტში რაღაცაზე იყო საუბარი, ვთქვათ, იარაღი ჩავდოთო. ის ჩანაწერი არ ჩანს, პოლიციელი რომ ამბობს, არაფერი არ აქვთო. ესეც გადაფარულია.

ეს იძლევა საფუძველს ვთქვათ, რომ აღნიშნული ვიდეოკადრები რეალურად დამონტაჟებულია. განლაგებაც სხვაგვარია. აშკარად ჩანს, რომ პოლიციელები კამერაზე მუშაობენ.

ჩვენ ვნახეთ სიტუაცია, რომ იარაღებს უჩვენებენ, გაშმაგებულები არიან, ყვირიან, წივიან. რეალურად დადგმული სპექტაკლია. მოხდა ისე, რომ მივიდა ვიღაც და უთხრა, შენ ეს უნდა თქვა, შენ ის უნდა თქვაო და გაითამაშეს ეს სცენა, რაც ნათლად იკვეთება.

ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, როდესაც დადასტურდება, რომ ეს ფაქტი ფალსიფიცირებულია, სისხლის სამართლის კოდექსის 369-ე პრიმა მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, რომელიც გულისხმობს მტკიცებულებების ფალსიფიკაციას, ამ მუხლით შეიძლება პასუხისგებაში მიეცეს ის პირი, რომელმაც წარადგინა ეს ფირი ანუ ფირცხალავა. ფირცხალავას პასუხისმგებლობა, თუ დადგინდა გამოძიების მიერ, ამითაც იკვეთება.

– ჩვენ ვფიქრობთ, რომ პროკურატურამ პასუხისგებაში უნდა მისცეს პატრულის ის თანამშრომლები, რომლებმაც არ აღმოუჩინეს დახმარება დაჭრილ ბუტა რობაქიძეს. ასევე, როდესაც ექსპერტიზა ჩატარდება, საუბარი უნდა იყოს მტკიცებულებების ფალსიფიკაციაზე. ფიცხალავას მიერ წარმოდგენილი ფირი რომ ფალსიფიცირებულია, ამის დიდი ეჭვი არსებობს, – ასკვნის ნიკოლოზ მჟავანაძე.

# სხვა მილანი და სხვა ბარსელონა

### მილანი – ბარსელონა 2:0

1:0 ბოატენგი (57), 2:0 მუნტარი (81)

**მილანი**: აბიატი, აბატე, მექსე, საპატა, კონსტანტი, ამბროზინი, მონტოლივო, მუნტარი, ბოატენგი, პაცინი (ნიანგი 75), ელ შაარავი (ტრაორე 87)

**ბარსელონა**: ვალდესი, ალვესი, პიკე, პუიოლი (მასკერანო 88), ალბა, ბუსკეტსი, ჩავი, ფაბრეგასი (სანჩესი 62), პედრო, მესი, ინიესტა

მრისხანე „ბარსელონამ“ წააგო – წააგო „მილანთან“, რომლის ბოლოდროინდელი გამოცოცხლება იტალიურ კლუბში მარიო ბალოტელის გადასვლას უკავშირდება. თუმცა, ამ შემთხვევაში სუპერ-მარიო გუნდს ვერ დაეხმარებოდა – მას უკვე ჰქონდა ნათამაშები ჩემპიონთა ლიგაზე „სიტის“ შემადგენლობაში. ამიტომაც წყვილის ფავორიტად, ამასთან „სან სიროზეც“ „ბარსელონა“ მიიჩნეოდა, მაგრამ პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ „მილანში“ ყველაფერი რიგზეა. მასიმილიანო ალეგრის გუნდმა დაუთმო ბურთის კონტროლი „ბარსას“, რომელსაც ეს ისედაც არ ეშლება და იმდენად უკან დაიხია, რომ კონტრშეტევაზე ფიქრიც კი წარმოუდგენელი ჩანდა. ბოატენგი და ელ შარავი კი ცდილობდნენ კარში დარტყმას, მაგრამ ამას საჯარიმომდე მისვლამდე აკეთებდნენ. თითქოს „მილანი“ სტუმრად იყო და უგოლო ფრე აწყობდა, მაგრამ ალეგრის შეგირდებმა მაინც მოახერხეს და ორი ბურთი გაიტანეს – ორივე განელი ფეხბურთელის ანგარიშზეა.

57-ე წუთზე მონტოლივოს შორეული დარტყმის შემდეგ, ბურთი ჯერ ალბას მოხვდა, შემდეგ საპატას და კარის წინა ხაზთან მყოფ ბოატენგს მიუვიდა, რომელმაც გაიტანა. აქ სტუმრები საპატაზე ხელით თამაშს აფიქსირებდნენ, მაგრამ მსაჯმა ეს უნებლიე თამაშად მიიჩნია და გოლი ჩათვალა.

81-ე წუთზე კი ბოატენგმა, ელ შარავიმ და მუნტარიმ ჩინებული კომბინაცია გაითამაშეს და მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირეს, მასპინძელთათვის კომფორტული, მაგრამ მეტოქე „ბარსაა“. ასე რომ ყველაფერი ჯერ კიდევ წინ არის.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – კევინ პრინს ბოატენგი.

ვერ ვიტყვით, რომ მილანელთაგან ვინმე ყველაზე გამორჩეული იყო, რადგან ძირითადად დაცვითი ფუნქციებით იყვნენ დაკავებული, თუმცა ბოატენგმა გოლიც გაიტანა და საგოლე შეტევაშიც მიიღო მონაწილეობა. აქედან გამომდინარე, საუკეთესოდ ჩანდა მოედანზე.

### გალათასარაი – შალკე 1:1

1:0 ილმაზი (12), 1:1 ჯონსი (45)

**გალათასარაი**: მუსლერა, სარიოღლუ (ბულუთი 84), კაია, ნუნკო, რიერა, ალთინთოფი (ებუე 66), მელო, ინანი, სნეიდერი (ამრაბატი 46), ილმაზი, დროგბა

**შალკე**: ჰილდებრანდი, ჰოგერი, ჰიოვედესი, მატიპი, კოლასინაცი, ჯონსი, ნოიშტადტერი, ფარფანი, დრაქსლერი (ბარნეტა 84), ბასტოსი, ჰუნტელაარი (პუკი 75)

მატჩის წინ ფავორიტად „გალათასარაის“ მიიჩნევდნენ. ეს გასაკვირიც არ იყო – „სალკე“ თურქეთს შესუსტებული შემადგენლობით ეწვია, ხოლო „ლომებმა“ ბოლო დროს უესლი სნეიდერი და დიდიე დროგბა დაიმატეს. დროგბამ გაამართლა, სნეიდერმა – ვერა და ამიტომაც შეცვალეს შესვენებაზე.

მატჩი მეტ-ნაკლებად თანაბარი გამოდგა. მართალია, ეს ანგარიში ხელს გერმანელებს აძლევს, მაგრამ მსგავსი სცენარის თამაშში შანსი თურქებსაც ექნებათ.

ანგარიში მე-12 წუთზე გაიხსნა, როდესაც საჯარიმოს წინა ხაზთან მყოფმა ილმაზმა, მეტოქეს ბურთი თავზე ეფექტური მოძრაობით გადაუგდო და ჰილდებრანდს აუღებელი დაურტყა.

მასპინძლებმა მეტოქეს გათანაბრების საშუალება გასახდელისკენ მიმავალს მოახერხებინეს – 45-ე წუთზე „შალკეს“ კონტრშეტევის დროს, ფარფანის გადაცემის შემდეგ საჯარიმოში მარტოდმარტო დარჩენილმა ჯონსმა ზუსტად დაარტყა და გელზენკირხენელთათვის ძალზე საჭირო გოლი გაიტანა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – დიდიე დროგბა.

კოტდივუარელმა ფეხბურთელმა დაამტკიცა, რომ თამაში არც ჩინეთში დავიწყებია. კარგად მუშაობდა მთელი მატჩის განმავლობაში, თვითონაც ცდილობდა დასარტყმელ პოზიციაზე გასულიყო, მაგრამ მარტო ილმაზს იმდენი მომენტი შეუქმნა, „გალათასარაის“ ორი მატჩის ჯამში მოსაგებად რომ ეყოფოდა.

**მ. ჟ.**

# ვინ ანადგურებს ჩაჩავასა და ღუდუშაურის კლინიკებს!

„მსოფლიო მნიშვნელობის სამედიცინო დაწესებულებიდან კლინიკა სოლარიუმად და სილამაზის სალონად გადაიქცა“



მერი ნამორაძე

რატომ დატოვეს პოპულარულმა და წამყვანმა მედიკოსებმა ღუდუშაურისა და ჩაჩავას სახელობის კლინიკები, რა კორუფციული სქემით დაატოვებინეს მათ საკუთარი წილები თუ სამუშაო ადგილები და რატომ მიდის დაუსრულებელი რემონტი ჩაჩავას სახელობის სამეანო კლინიკაში? როგორ განხორციელდა მათი პრივატიზება, რა კორუფციული სქემა იქნა გამოყენებული მათ ხელში ჩასაგდებად? ამ საკითხებთან დაკავშირებით მედიკოსებმა განგაში ერთობ გვიან ატეხეს. თუმცა, არც გაემტყუნებათ, უსამართლობის ზეობის ხანაში სამართალს ვერსად იპოვიდნენ და პირში წყალჩაგუბებულნი შორიდან უყურებდნენ, როგორ ხდებოდა პროფესიონალების დევნა-შევიწროება.

გუშინ „პრიმ-ტაიმის“ პრესკლუბში ღუდუშაურისა და ჩაჩავას სახელობის კლინიკების ყოფილმა თუ დღეს მომუშავე მედიკოსებმა პირველად გააჟღერეს სიმართლე არსებული ვითარების შესახებ. მათ უკვე მიმართეს გენერალურ პროკურორს, რათა გამოძიებულ იქნეს ის ფინანსური მაქინაციები თუ კორუფციული სქემები, რომელიც კლინიკებში ხორციელდებოდა.

როგორც ადვოკატმა გიგა გაბელაიამ აღნიშნა, ორივე კლინიკას ხელმძღვანელობს ერთი და იგივე პიროვნება, ელგუჯა გოცირიძე, რომელიც დაკავშირებულია კლინიკების პრივატიზაციასთან და მართვასთან. აღზევება ამ პიროვნებამ ჩაჩავას კლინიკიდან დაიწყო. მედიკოსებისათვის კარგად არის ცნობილი მისი ფინანსური მდგომარეობა, ადამიანი კლინიკის ხელმძღვანელად დანიშვნის შემდეგ მილიონერი გახდა, რასაც თანამშრომელთა დაშინებით, დაბეზღებით, შანტაჟით, წილებზე იძულებითი უარის თქმით მიაღწია.

– აწ უკვე წარსული ხელისუფლების კარგად ნაცნობი საუბრის ჩაწერის მექანიზმიც იყო გამოყენებული. ეს ყველაფერი გაიარეს ჩაჩავას კლინიკაში მომუშავე ექიმებმა. უკვე ეს აპრობირებული მეთოდი შემდეგ განახორციელა ღუდუშაურის კლინიკაში. ჩვენთვის უცნობი დამსახურებებისათვის ნაციონალურმა მოძრაობამ ბატონ ელგუჯა გოცირიძეს ლანგრით მიართვა ღუდუშაურის კლინიკა, ასევე მე-3 ბავშვთა საავადმყოფო დღეს ჩაჩავას კლინიკის საკონტროლო პაკეტზე მეტს პირადად ეს პიროვნება ფლობს, ასევე მისი მეუღლე და მასთან დაკავშირებული პირები, – აღნიშნა ადვოკატმა.

მისი თქმით, ჩაჩავას კლინიკის ხელში ჩასაგდებად ავადსახსენებელი შრომითი კოდექსის პირობებში აქციონერებს, რომლებიც ამავე კლინიკის თანამშრომლები იყვნენ, გოცირიძე 2-3-თვიან ხელშეკრულებებს უფორმებდა იმ პირობით, რომ მას დაუთმობდნენ ფინანსურ აქციებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ გათავისუფლებით ემუქრებოდა. საბოლოოდ ყველასათვის მაინც ერთი და იგივე შედეგი დადგა, რადგან აქციონერთა უმრავლესობამ დატოვა ჩაჩავას კლინიკა. ეჭვს იწვევს გაუთავებელი რემონტი, რომელიც ამ კლინიკაში წელიწადში 2-3-ჯერ კეთდება და ფულის გათეთრების საშუალებად მოიაზრება.

ეს მაშინ, როცა ჩაჩავას კლინიკა წარმოადგენდა სამეცნიერო-კვლევით ინსტი

ტუტს, სადაც მიდიოდა დიდი სამეცნიერო მუშაობა მეანობის დარგში. ეს ყველაფერი დავიწყებას მიეცა და დღეს კლინიკაში ყველაზე წარმატებული და გაპიარებული ესთეტიკური მედიცინაა – ლაზერული ეპილაცია, კოსმეტოლოგია, სოლარიუმი და სილამაზის სალონი. მოკლედ, ლამის მსოფლიო მნიშვნელობის სამედიცინო დაწესებულებიდან კლინიკა გადაიქცა სოლარიუმად და სილამაზის სალონად. ადვოკატის თქმით, იგივე ემუქრება ღუდუშაურის კლინიკასაც. სტრატეგიული დანიშნულების ობიექტს, რომელმაც 2008 წლის ომის დროს გვაჩვენა, თუ რაოდენ სწრაფად შეეძლოთ კრიტიკულ ვითარებაში რეაგირება, დღეს ნაწილ-ნაწილ იყიდება, მიწის ნაკვეთი უკვე გასხვისებულია. ამ შემთხვევაში მრავალათეულმილიონიანი ქონება ძალიან მცირე თანხად ჩაიგდო ხელში კლანურმა დაჯგუფე-
ბ ა მ .

– კლანური დაჯგუფება ეხება არა მარტო ელგუჯა გოცირიძეს, ეხება იმ სფეროსა და სამთავრობო სტრუქტურებს, რომლებიც დღემდე მოღვაწეობენ და ახალ უმრავლესობას და მთავრობას მოვუწოდებთ, ამ დარგში სერიოზული გამოკვლევები ჩაატარონ, თუ როგორ ხდებოდა ამ დარგში ობიექტების ხელში ჩაგდება. ჩვენს ხელთ არსებულ ყველა ინფორმაციას საჭიროების შემთხვევაში წარვადგენთ, – აღნიშნა გაბელაიამ.

საგამოძიებო ორგანოებს უკვე გადაეცათ წილების დათმობის სქემა, რომელიც ჩაჩავას კლინიკაში განხორციელდა. ასეულობით ადამიანის მიერ დაძალებით, შანტაჟით, იძულებით ხდებოდა წილების დათმობა, რისი დადასტურებაც გამოძიებისთვის შეუძლიათ. ადვოკატი ვარაუდობს, რომ ამ საქმეს მთავრობაში ლობირებდა მაშინდელი პარლამენტის ხელმძღვანელი დავით ბაქრაძე, რომლის მეუღლე ჩაჩავას კლინიკაში ერთ-ერთ მაღალანაზღაურებად თანამშრომელს წარმოადგენდა, ისეთ ანაზღაურებადს, როგორიც დღეს არც ერთ მინისტრს არ აქვს.

რაც შეეხება მაღალპროფესიონალ კადრებს, კადრების ჩანაცვლება ახალბედებით ხდება, თუმცა, ისინი არსად იკარგებიან, იმდენად დიდია კერძო კლინიკებში მათზე მოთხოვნილება.

ღუდუშაურის კლინიკის ქირურგმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა მერაბ კილაძემ განაცხადა, რომ კლინიკა იყო ფლაგმანი სამედიცინო დარგისა – საქართველოს ეროვნული სამედიცინო ცენტრი. მის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი იაპონიის მთავრობას და მოსახლეობას. 5 მილიონის ღირებულების აპარატურა შეიძინა გერმანიის მთავრობამ და აჩუქა საქართველოს. შეერთებულმა შტატებმა 15-მილიონიანი ინვესტიცია განახორციელა, ამას დაემატა საქართველოს მთავრობის ინვესტიცია. სულ ღირებულებით შეადგენდა 30-40 მილიონიან შენობას 7-8 ჰექტარი მიწით. ეს ყველაფერი გაყიდულ იქნა 6 მილიონ ლარად:

– შეუიარაღებელი თვალით ჩანს, რომ ეს არის, რბილად რომ ვთქვათ, არაკეთილსინდისიერი პრივატიზაცია. ყველაფერს რომ თავისი სახელი დავარქვათ, ეს არის კრიმინალური გარიგება. ეს არის წინა ხელისუფლების არა შეცდომა, არამედ დანაშაული. ეს არის დანაშაული ქვეყნის წინაშე, ერის წინაშე, მოსახლეობისა და სამედიცინო საზოგადოების წინაშე, იმიტომ რომ იყო სტრატეგიული ობიექტი, ნატოს სტანდარტებით ერთადერთი სამედიცინო დაწესებულება, რომელსაც ვერტმფრენის ასაფრენი და დასაჯდომი მოედანი ჰქონდა. ახლა არის თუ არა ეს მოედანი, ვერ გეტყვით, მაგრამ ღუდუშაურის ცენტრს სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა ამ ქვეყნისთვის, ის, რაც მან შეძლო 2008 წელს ომი პერიოდში, 5 დღის განმავლობაში, როცა მთელ კოლექტივს ფეხი არ მოუცვლია კლინიკიდან, ეს კმაროდა. ჩვენ გავატარეთ 800-მდე მძიმედ დაჭრილი მოქალაქე თუ სამხედრო პირი. არც ერთი ლეტალური შემთხვევა არ დაფიქსირებულა. ეს ჩვენმა ევროპელმა და ამერიკელმა კოლეგებმა აღიარეს, როგორც უპრეცედენტო შემთხვევა. ასეთი სტრატეგიული დანიშნულების ობიექტი გაიყიდა ჩალის ფასად – 6 მილიონ ლარად. ეგრეთ წოდებული ინვესტორის მოსვლის დღიდან იწყება წამყვანი სპეციალისტების მასობრივი, ჯგუფური გადინება კლინიკიდან, რომლებიც კერძო კლინიკებში გადანაწილდნენ და თავიანთი პაციენტებიც წაიყვანეს. იყო კაბალური პირობები, რომელსაც არ დათანხმდებოდა ის, ვისაც პიროვნული თავმოყვარეობა და ღირსება გააჩნდა. ზოგმა თვითონ დაწერა განცხადება, ზოგი აიძულეს, ზოგს კონტრაქტი არ გაუგრძელეს. დღეს ეს დაწესებულება დაცლილია ამ წამყვანი სპეციალისტებისგან. კვალიფიციური ექთნებიც წავიდნენ ღუდუშაურის ცენტრიდან. მიგვაჩნია, რომ ახალმა ხელისუფლებამ პოლიტიკური ნება უნდა გამოიჩინოს და სათანადო გამოძიების შემდეგ, ალბათ, ყველაფერი ნათელი გახდება. ეს ცენტრი ისევ უნდა დაუბრუნდეს, საზოგადოებას, ქვეყანას, – განაცხადა კილაძემ.

ჩაჩავას სახელობის კვლევითი ინსტიტუტის ყოფილმა მეან-გინეკოლოგმა, მედიცინის დოქტორმა ვახტანგ ბარკალაიამ, რომელიც 30 წლის განმავლობაში მუშაობდა კლინიკაში, აღნიშნა, რომ აკადემიკოს ჩაჩავას სახელობის პერინატოლოგიისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი 1870-იან წლებში აშენდა სპეციალურად ბებიების მოსამზადებლად. შემდგომში საბჭოთა კავშირში სათავო ინსტიტუტი იყო. დიპლომისშემდგომი ამაღლების კურსები აქ ტარდებოდა. ინსტიტუტმა დიდი სახელი მოიპოვა. დადგა პრივატიზაციის დრო და მთელმა კოლექტივმა გამოთქვა სურვილი, ეს გამოცდილება არ დაკარგულიყო, შეესყიდათ ინსტიტუტი, ჩამოყალიბებულიყო სააქციო საზოგადოება:

– თითქმის თანაბრად გადანაწილდა ეს აქციები. ძალიან ხანმოკლე პერიოდში გოცირიძე, რომელსაც ჩვეულებრივი წილი ჰქონდა, დაინიშნა დირექტორად და მისი წილები საკმაოდ გაიზარდა. მას ახლა 58 პროცენტი აქვს, მის მეუღლეს კიდევ – რამდენიმე პროცენტი. ჩაჩავას ინსტიტუტის თანამშრომელთა ნაწილმა გარკვეულ დოკუმენტებში ჩახედვა მოითხოვა. პირველსავე თათბირზე დაისვა კითხვა, რამდენ ხანში დამთავრდებოდა რემონტი. პასუხი იყო ასეთი – რემონტი არასოდეს დამთავრდება. რემონტი დღემდე არ არის დამთავრებული. დღემდე რაღაცები კეთდება და უამრავ თანამშრომელს, რომლებიც დივიდენდებს ითხოვდნენ, რადგან ანგარიშებში უზარმაზარ მოგებებს აჩვენებდა, გოცირიძე პასუხობდა, რომ ყველაფერი განვითარებაში მიდიოდა.

– ეს რამდენად ასეა, არ ვიცი, მაგრამ განვითარდა მისი სააქციო წილი დიდი რაოდენობით. აქედან გამომდინარე, ის გახდა ერთპიროვნული მფლობელი იმ დიდი ინსტიტუტისა, რომელსაც დღეს ჩაჩავას კლინიკა ჰქვია. სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილება თითქმის დაშლილია, სტომატოლოგია და ესთეტიკური მედიცინა განვითარებულია. წამყვანი კადრების უდიდესი ნაწილი დავით გაგუას კლინიკაში მუშაობს, – აღნიშნა ბარკალაიამ.

# ერთი იუმორისტის კონცერტი ფილარმონიაში

ეკა ირემაშვილი



მას შემდეგ, რაც გადაცემა „თქვენი შოუ“ დაიხურა, მისი მსახიობები პირველად უბრუნდებიან მაყურებელს და თანაც დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე. გადაცემიდან ამიკოსა და ფაქოს ბერასთან წასვლის შემდეგ, „თქვენს შოუს“ რეიტინგი საგრძნობლად დაუვარდა, ფაქოს და ამიკოს გზას მოგვიანებით სხვა იუმორისტებიც დაადგნენ და ბერას კაკი ჭანკურიძე, თორნიკე პარუნაშვილი და ზურა დიდებულიძე შეუერთდნენ. გადაცემამ რეიტინგი თანდათან დაკარგა და საბოლოოდ დაიხურა კიდეც, თუმცა ეს ტრაგედია ნამდვილად არ ყოფილა მისი წამყვანებისთვის – გიორი აფციაურისა და სალიტა ჩუბინიძისთვის. მათ ერთმანეთი შეუყვარდათ და დაქორწინდნენ კიდეც.

გიორგი აფციაურმა „სხვა კონცერტების“ ჩატარებისა და „თქვენი შოუს“ დახურვით შემდეგ გადაწყვიტა ისევ დაუბრუნდეს იუმორს და 23 თებერვალს დიდ საკონცერტო დარბაზში კონცერტს გამართავს. „ერთი იუმორისტის კონცერტი“ – ასე ეწოდება საღამოს, თუმცა მასში ძალიან ბევრი ადამიანი მონაწილეობს. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ საზოგადოებისთვის უკვე კარგად ცნობილი იუმორისტები და ასევე ახალი თაობის წარმომადგენლები.

როგორც კონცერტი ორგანიზატორი აღნიშნავს, ქართულ იუმორში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, შემოქმედებითი ჯგუფი „სხვები“ აკეთებს იმას, რაც აქამდე არ გაკეთებული – ერთი იუმორისტის კონცერტს.

საღამოს სპეციალური სტუმრებიც ჰყავს. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ სალიტა ჩუბინიძე, ლაშა ღლონტი, თსუ-სა და სეუ-ს მხიარულთა და საზრიანთა კლუბის წევრები, ჯგუფი „პომადა“, კვარტეტი „ალილო“, ჯგუფი „მირაჟი“, „სეიშენი“, მარკუს მეტრეველი, „თქვენი შოუს“ მსახიობები, ქორეოგრაფიული ანსამბლები „ბორჯომი“ და „პატარა გორდა“. საღამოს მუსიკალურად გააფორმებს ბენდი „რეზო და ბავშვები“.

ერთი იუმორისტის კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 10-15 ლარია.

**გიორგი აფციაური, იუმორისტი:**

– ჩვენ ვემზადებით კონცერტისთვის, რომელიც გაიმართება 23 თებერვალს დიდ საკონცერტო დარბაზში.

***– ეს იქნება „სხვა კონცერტის“ მსგავსი კონცერტი?***

– არა, ეს იქნება სრულიად სხვანაირი კონცერტი.

***– და მასში მარტო თქვენი შოუს მსახიობები იქნებიან?***

– ყველა იქნება ამ კონცერტში, მომღერლებიც, მსახიობებიც, იუმორისტებიც, თქვენი შოუს წევრებიც და მათ შორის ახალი წარმომადგენლები იუმორში.

***– სხვა კონცერტში მონაწილეებს გამოკითხვით არჩევდით.; ახლაც ასე იქნება?***

– რა თქმა უნდა. რიგ შემთხვევაში ხალხის აზრი გავითვალისწინეთ, რიგ შემთხვევაში ახალი თაობა გავითვალისწინეთ და ისინი ჩავსვით ამ კონცერტში.

***– თქვენი შოუს მომავალი როგორია?***

– თქვენი შოუს მომავალს იხილავთ 23-ში.

***– ეს ერთგვარი დაბრუნებაა?***

– არ ვიცი, ვნახოთ.

***– იქნება ეს კონცერტი სისტემატური?***

– არ ვიცით. შევხედავთ, მთავარია 23-ში კარგად ჩაიაროს და მერე აუცილებლად გავიმეორებთ. სავარაუდოდ გაამართლებს.

# მოზარდ მაყურებელთა თეატრში პრემიერაა

ეკა ირემაშვილი

თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი 23 თებერვალს პრემიერას წარმოადგენს. სპექტაკლს ეწოდება „ჩაგავლეთ?!“ და მისი რეჟისორი დავით ბახტაძეა, მხატვარი – გივი მაჭავარიანი, საუნდ ტრეკი ლევან კაპანაძეს ეკუთვნის, ჯგუფი „მძიმე ჯავარი“, სასცენო მოძრაობა – პაატა მხეიძეს, რეჟისორის თანაშემწე კი ინგა კაჭახიძეა. საპრემიერო სპექტაკლში მონაწილეობენ ნინო კიკაჩეიშვილი, ნინო ლეჟავა, კახა გაბელაია, ბადრი გვაზავა, ლაშა გრძელიძე, ვანო დუგლაძე, მერაბ მაისურაძე და პაატა მხეიძე.

თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელი სალომე კალაძე აცხადებს:

– ჩვენს თეატრში 23 თებერვალს მორიგი პრემიერა იგეგმება. ეს არის ერთმოქმედებიანი პიესა უფროსი ასაკის მაყურებლისთვის. თარგმანი და ადაპტირებული ვერსია დავით ბახტაძეს ეკუთვნის. ეს არის ბრიტანელი დრამატურგის ბარი კიფის პიესა „ჩაგავლეთ?!“ სპექტაკლს საფუძვლად უდევს თანამედროვე ბრიტანელი დრამატურგის, წარსულში კოლეჯის მასწავლებლის, ბარი კიფის პიესა „ჩაგავლეთ?!“ იგი დიდი ბრიტანეთის სკოლაში მომხდარ კრიმინალურ ფაქტს ემყარება. სასწავლო წლის ბოლო დღეს, სკოლის საწყობში შესული მოსწავლე, შემთხვევით მასწავლებლის ინტიმური შეხვედრის მოწმე ხდება. პედაგოგი მას ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებს, ბიჭი ძალადობას ძალადობით პასუხობს. მდგომარეობა უკიდურესად იძაბება. თუმცა, ავტორი პიესაში მაინც ე.წ. „ღია“ ფინალს გვთავაზობს, ბიჭსაც და მასწავლებლებსაც დაახლოებისა და ურთიერთგაგების შანსს უტოვებს.

მას შემდეგ, რაც მოზარდ მაყურებელთა თეატრს მმართველი შეეცვალა და მიხეილ ანთაძე რეჟისორმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა შეცვალა, შემოქმედებითმა ჯგუფმა გადაწყვიტა თეატრს ახალი სიცოცხლე დაუბრუნოს. თეატრში წინა კვირას ორი პრემიერა იქნა წარმოდგენილი. 14-15 თებერვალს წარმოდგენილ იქნა თოჯინური სპექტაკლი „მზის სხივი“, რომელიც დაიდგა ანრი პოპესკუს პიესის მიხედვით. ეს არის სპექტაკლი ბალერინასა და წრუწუნას სიყვარულის შესახებ. ამბავი შესანიშნავად აქვს გადმოცემული თითების თეატრის დამაარსებელს ბესო კუპრეიშვილს. მხატვარია ვახტანგ ქორიძე, ქორეოგრაფი – გია მარღანია, მუსიკალური გაფორმება ზურა გაგლოშვილს ეკუთვნის. სპექტაკლში მონაწილეობენ მაია მალხაზიშვილი, მალხაზ გაბუნია, ვამეხ ჯანგიძე, მაია სულხანიშვილი, ელენე მაცხონაშვილი, ნინო პაპიაშვილი და ზვიად გაგლოშვილი. რაც შეეხება მეორე პრემიერას, 16 და 17 თებერვალს გათამაშდა სპექტაკლი „სათაგური“, რომელიც დაიდგა ვაჟა-ფშაველას მოთხრობების მიხედვით. დამდგმელი რეჟისორია ოთარ ბაღათურია, სცენოგრაფია – აივენგო ჭელიძეს ეკუთვნის, კოსტუმების მხატვარია ნინო ჩიტაიშვილი, კომპოზიტორი – მიხეილ ზაქარიაშვილი, ქორეოგრაფი – გიორგი მარღანია, ტექნიკური რეჟისორი – თამაზ ქარაული. მეორე სპექტაკლში 13 მსახიობი მონაწილეობს.

თეატრის ახალმა მმართველმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა განაცხადა, რომ პრემიერას შალვა გაწერელიას წლისთავამდე განახორციელებდნენ. ქართული თეატრალური რეჟისურის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი შალვა გაწერელია შარშან 81 წლის ასაკში აპრილის თვეში გარდაიცვალა. თეატრის ახალმა მმართველმა თავისი სიტყვა შეასრულა და აპრილამდე თეატრში უკვე სამი სპექტაკლის პრემიერა გამართა.

# „ბალადა ვეფხისა და მოყმისა“ – კინომსახიობთა თეატრში

ეკა ირემაშვილი

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი, თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრი და „ვან გოგორი“ 22, 23 და 24 თებერვალს წარმოადგენს პრემიერას ოდა „ბალადა ვეფხისა და მოყმისა“, რომლის რეჟისორიც გიორგი სიხარულიძეა. იდეის ავტორი და მხატვარი – ზურაბ გოგორიკიძე, პროექტის აღმასრულებელი პროდიუსერი – ანდრო კლებანსკი, მუსიკალური გაფორმება – გიორგი სიხარულიძე, ანი მურღულია, ქორეოგრაფი – ვეკა პირმისაშვილი, ნათია მეტრეველი, კოსტიუმების შემქმნელი – ხანა ანდრიაძე, ტექნიკური რეჟისორი – ხათუნა ჯამათაშვილი, პროექტის კონსულტანტები – ფოლკლორისტი ამირან არაბული, ფოლკლორისტი ეთერ თათარაიძე. სპექტაკლში მონაწილეობენ მზია არაბული, გუგა კახიანი, ანა მატუაშვილი, გაგი შენგელია, ვეკა პირმისაშვილი, ნათია მეტრეველი, ნანუკა კუპატაძე, ნინო იაშვილი, ანა-მარია გურგენიშვილი, სალომე დიდიძე, სალომე ცუხიშვილი და გვანცა ენუქიძე. პროექტი თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით განხორციელდა.

სპექტაკლი ხალხური ბალადის მიხედვით არის დადგმული და პრემიერამდე რამდენიმე დღით ადრე წარმოდგენიდან ნაწყვეტების ნახვის საშუალება პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლებს მიეცათ. სპექტაკლი ბალადის სრულ ტექსტს ეფუძნება და მას ცვლილება არ განუცდია. შემოქმედებითი ჯგუფი აცხადებს, რომ ქართული ზეპირსიტყვიერების შედევრი გადავიდა სცენაზე და ეს თითოეული მათგანისთვის განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა. სპექტაკლის რეჟისორი გიორგი სიხარულიძე ამჟამად ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის მმართველია, თუმცა ის უკვე მეოთხედ დგამს სპექტაკლს თუმანიშვილის თეატრში. ქართული ზეპირსიტყვიერების გამორჩეულ ნაწარმოებს კინომსახიობთა თეატრის სცენაზე 13 მსახიობი გაითამაშებს.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## აუდიტი

**გთავაზობთ „C“ და „B“ კატეგორიის ალტერნატიული საგადასახადო შემოწმებას.**

**დაიმახსოვრეთ ტელეფონები:**

**2-52-67-37; 5-99-26-55-85.**

## განცხადება

2013 წლის 12 მარტს, დღის 15 საათზე დანიშნულია სს „ივერიის“ აქციონერთა საერთო კრება. გთხოვთ მობრძანდეთ მისამართზე: ქ.თბილისი, გუდაუთის ქ.№7, სააქციო საზოგადოება „ივერიის“ ადმინისტრაციულ შენობაში.

დღის წესრიგი:

1. 2012 წლის შედეგების განხილვა;
2. გენერალური დირექტორის ანგარიშის დამტკიცება;
3. სს „ივერიის“ ბაზაზე შპს-ს ჩამოყალიბების შესახებ;
4. აუდიტის არჩევა;
5. სხვადასხვა.

*სს „ივერიის“ გენერალური დირექტორი დ.სილაგავა*

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**

**ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425**
**ხობი, სოფ.ნოჯიხევი**
**ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.**
**ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი**
**ბ/კ: LBRTGE22**
**ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000**



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

## SMS-განცხადებები - 3090

● ვყიდი მუხრან-თელეთში ახალაშენებულ (გასაკეთებელია სველი წერტილი) 276 კვ. მეტრის საცხოვრებელ სახლს, მონტერეის გადახურვით, მეტ. პლასტმასის კარფანჯრებით, რკინის ჯალუზებით, საკ. წყლით, ბუნებრივი აირით, 600კვ.მ მიწის ნაკვეთით. სხლი მდებარეობს თბილისიდან 22კმ-ში. ფასი 30000 დოლარი. 15000 დოლარი ხელზე და 15000 დოლარი განვადებით. ტელ.: 577424122. 599722748. გია.

## განცხადებები

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● მოვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 595-471-479.

● **კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს.** სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაზრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

# ქართულ ფეხბურთში მორიგი ბრძოლა დაიწყო

ქართულ ფეხბურთში ისევ მიდის დავა. ვერ გეტყვით სკამისკენ თუ ქართული ფეხბურთის საკითილდღეოდ, რადგან მსგავსი დასკვნების გაკეთება ამ ბოლო დროს გაჭირდა.

„ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგა“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე არჩევნებს ითხოვს. „ქომაგთა ლიგის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ტატო ლასხიშვილმა, ამავე ორგანიზაციის პრეზიდენტმა ზურაბ პეტრიაშვილმა, აღმასრულებელმა დირექტორმა დავით უგრელიძემ და ვიცე-პრეზიდენტმა გია გილიგაშვილმა პრესკონფერენცია გამართეს.

ტატო ლასხიშვილი:

– 15 თებერვალს 23 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ჭადრაკის სასახლეში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა ჩატარდა და ქართული ფეხბურთი საბჭოთას გამოეყო. სამწუხაროა, რომ დღსდღეობით ქართულ ფეხბურთში შექმნილ საგანგაშო მდგომარეობაზე და პრობლემებზე ვსაუბრობთ. კლუბებისა და ნაკრებების საერთაშორისო არენაზე გამოსვლაზე რომ არაფერი ვთქვათ, ეროვნულ ჩემპიონატში დაბალი დონეა. რეგიონებში ფეხბურთი ჩამკვდარია. ქართული ფეხბურთი ღრმა კრიზისშია. კრიტიკული მდგომარეობაა შექმნილი. აქტიური მოქმედებაა საჭირო.

**ზურაბ პეტრიაშვილი:**

– ძალიან მეეჭვება, სიჭინავა ისეთი ანგელოზი იყოს, როგორც სურს თავი წარმოაჩინოს, მაგრამ ჯერ უნდა გაგახსენოთ 2007 წლის 13 მაისის არჩევნები, როდესაც კანონიერად არჩეული ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი ნემსაძე ძველმა ხელისუფლებამ ძალადობრივი გზით გადააყენა და მორალურად მოკლა. ფეხბურთში ჩარევის უხეში მცდელობა მანამდეც დაფიქსირდა, როდესაც მერაბ ჟორდანია დაიჭირეს და აიძულეს, გადამდგარიყო. ნემსაძე 2005 წელსაც გვერდზე გასწიეს, ისევე, როგორც ვოვა გუცაევი. 2007 წელს კი ახალკაცმა ნემსაძეს არჩევა თავად მიულოცა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ნახევარ საათში გადადგომაზე განცხადება გააკეთა. ეს იყო სახელმწიფოს უხეში ჩარევა, რისი მიჩუმათებაც დღეს სურთ, მაგრამ ეს ამბავი ჩვენ კარგად გვახსოვს. 2008 წლის აპრილში ჭადრაკის სასახლეში დიდი შეკრება მოვიწვიეთ, ფეხბურთის ფედერაციისკენ მსვლელობა მოვაწყვეთ და რიგგარეშე არჩევნები მოვითხოვეთ. თითქოს დალაპარაკების მცდელობა ჰქონდათ, მაგრამ აღმასკომის წევრების პირით მალე გვიპასუხეს, რომ ახალკაცი კანონიერადაა არჩეულიო, მაგრამ იგივე ხალხმა ეს „კანონიერად არჩეული“ პრეზიდენტი მალე გაუშვა. ერთი არ მესმის – ახალკაცმა თქვა, რომ სახელმწიფო 55 მილიონით დაეხმარა და სიჭინავას მაინც 11 მილიონამდე ვალი რატომ დაუტოვა. ამდენი ფული სად წაილო და რას მოახმარა?! 2009 წელს ფედერაციაში სიჭინავას მისვლას იმედით შევხვდი, მაგრამ იმედგაცრუებული დავრჩი. მანაც წინამორბედის გზა გააგრძელა, არჩევნები ისევ არადემოკრატიული სისტემით ტარდება, ფინანსური საკითხები კვლავ გაუმჭვირვალეა...

**დავით უგრელიძე:**

– მთელი ამ ხნის განმავლობაში, ფეხბურთის ფედერაციის ცხოვრება გამუდმებულ ძიძგილაობასა და ერთმანეთის ჭამაში წარიმართა. ინვესტორებს ქართული ფეხბურთისადმი ნდობა დაეკარგათ. განვლილ პერიოდში ქართული ფეხბურთი ხელში კლანებს ჩაუვარდა და ერთი კლანის ხელიდან მეორეში გადადიოდა. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ქართულ ფეხბურთს ნდობა დაუბრუნდეს. ფეხბურთის ფედერაციას უმწიკვლო პროფესიონალები უნდა მართავდნენ.

სიჭინავა ხშირად იმეორებს, რომ ფედერაციის საქმიანობაში ჩარევის შემთხვევაში, ფიფა-უეფასგან ზურგი აქვს, საქართველოს კი სანქციები ელის. დიდი ბოდიში, მაგრამ სწორედ სიჭინავას ხელში გახდა ფედერაცია ყველაზე პოლიტიზირებული, ფეხბურთს კი სახელისუფლებო კლანი მართავდა. შარშანდელი ჩემპიონატის სისტემა ყოფილმა პრემიერმა ნიკა გილაურმა შესთავაზა. ეს ფორმატი იყო დანაშაული იმ დროს, როდესაც ტოტალიზატორები მთელ მსოფლიოში გააქტიურებულები არიან. პირდაპირ ვამბობ, რომ თამაშების 70 პროცენტი ჩაწყობილი იყო.

ყველაზე დიდი პოლიტიზებული საქციელი, რაც სიჭინავამ ჩაიდინა, ის იყო, რომ დაპატიმრებულ გიორგი დემეტრაძეს დახასიათება არ მისცა. როდესაც კალაძე ფეხბურთიდან წავიდა, ფეხბურთის ფედერაციას მისი მხარდამჭერი ერთი სიტყვა არ უთქვამს. როდესაც ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენისთვის ხელმოწერების შეგროვება დავიწყეთ, ავთო ქანთარია ეროვნული ჩემპიონატის მატჩების კომისრობიდან გაათავისუფლეს. მერაბ მეგრელაძე პროკურატურაში დაიბარეს და რამდენიმე დღე სახლიდან ვერ გამოდიოდა. ისიც გაათავისუფლეს კომისრობიდან. ზეწოლა იყო თემურ ჩხაიძეზე. მსგავს რამეზე შეიძლება თვალი დახუჭო, როდესაც რაღაც შედეგი არის, მაგრამ არანაირი შედეგი არ არის. ფეხბურთის ფედერაციის მუშაობა მკვეთრად უარყოფითადაა შესაფასებელი. ქართულ ფეხბურთში საგანგებო მდგომარეობაა გამოსაცხადებელი. აქტიურ მოქმედებას ვიწყებთ, რათა ქართულ ფეხბურთში მოღვაწე ხალხის დიდი თუ პატარა ჯგუფები გავაერთიანოთ. სხვათა შორის, ჩვენ ასეთი დევიზი გვაქვს: „ძლიერი რეგიონები – ძლიერი ნაკრები“.

„ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის“ განცხადება:

– როგორც საზოგადოებამ იცის, იმ ხალხმა დავაფუძნეთ, ვინც 1990 წელს ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობისთვის ვიბრძოლეთ და გავიმარჯვეთ. 23 წლის წინ, როდესაც ერისთვის ამ საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებას ვიღებდით, დიდ გამარჯვებებზე ვფიქრობდით, მაგრამ, სამწუხაროდ, სახეზე გვაქვს რეგრესი, რომელიც, თუ კიდევ გაგრძელდა, ქართულ ფეხბურთს კატასტროფას უქადის. დამოუკიდებლობის 23 წლის მანძილზე იყო საქართველოს ეროვნული და სხვა ასაკობრივი ნაკრებების ეპიზოდური გამარჯვება, მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენი ფეხბურთის მშენებლობა საფუძველშივე არასწორადაა დაწყებული, ეპიზოდი ეპიზოდად რჩება და ჩვენი ფეხბურთის სერიოზულ წინსვაზე ლაპარაკი შეუძლებელია. ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობის მანძილზე ჩვენი საფეხბურთო სამყარო ელის ძირითადი პრობლემების გადაჭრას, მაგრამ საქმე განცხადების იქით არ მიდის. განსაკუთრებულად კატასტროფული შედეგები მოუტანა ჩვენს ფეხბურთს ბატონი ნოდარ ახალკაცის (უმცროსის) პრეზიდენტობამ, რომელიც ორჯერვე – 2005 და 2007 წელს ძალადობრივი გზით იყო დანიშნული ნაციონალური მოძრაობის მიერ. სწორეს ამ პერიოდში, სახელმწიფოს მხრიდან ქართულ ფეხბურთში ჩადებულ იქნა საკმაოდ დიდი თანხები, რომლებიც არამიზნობრივად საეჭვო რეპუტაციის უცხოელ მწვრთნელებზე და მათ ქართველ მეწილეებზე დაიხარჯა. ნოდარ ახალკაცის (უმცროსის) მმართველობის პერიოდშივე მოხდა ბევრი სტადიონის დაკარგვა-გასხვისება. 2009 წელს ნაციონალური მოძრაობის ახალი რჩეულის, ბატონი დომენტი სიჭინავას რიხიანი მოსვლა, რეალურად სხვა არაფერი გამოდგა, თუ არა წინა პრეზიდენტის უნიათო და წარუმატებელი საქმიანობის გაგრძელება და ჩვენი ფეხბურთის ყველა ძირითადი პრობლემა ისევ გადაუჭრელი რჩება. ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში შეუძლებელი იყო მათი ფავორიტის წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვა. დღეს, სახალხო ხელისუფლების პირობებში, რომელიც აცხადებს, რომ ქვეყანაში უნდა დამთავრდეს ძალადობა, განუკითხაობა, უსამართლობა და პოლიტიკური ჩარევა სპორტის საქმეებში, იმედი გვაქვს, რომ საფეხბურთო სამყაროს მოგვეცემა შესაძლებლობა, ჩავატაროთ თავისუფალი, რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები და ქართულ ფეხბურთს უხელმძღვანელებს ლეგიტიმური პრეზიდენტი, რომელიც ქვეყნის საფეხბურთო ძალების კონსოლიდაციას მოახდენს და ქართული ფეხბურთი დაიწყებს წინსვლას.

# სეზონი სუპერთასით იწყება

ფეხბურთში, საქართველოს სუპერთასი 1996 წლიდან იმართება და მასში მონაწილეობას ეროვნულ ჩემპიონატში გამარჯვებული და საქართველოს თასის მფლობელი იღებენ. ყველაზე მეტჯერ ეს ტიტული თბილისის „დინამოს“ აქვს მოპოვებული, 2-ჯერ „ამერს“, ხოლო თითო-თითოც ბათუმის „დინამოს, „ვიტ ჯორჯიას“, „ოლიმპსა“ (ახლა უკვე „მეტალურგს“) და „ზესტაფონს“ მოუგიათ.

აღსანიშნავია, რომ სუპერთასის გათამაშება 2000 წლიდან 2004 წლამდე შეწყვეტილი იყო გარკვეული მიზეზების გამო. სულ კი 11 ასეთი სახელწოდების შეხვედრა გამართულა და აქედან ქვეყნის ჩემპიონს 8-ჯერ უმარჯვია, თასის მფლობელს კი ეს ჯილდო მხოლოდ 3-ჯერ დარჩენია.

უკანასკნელი სუპერთასის გამარჯვებული სწორედ იმერული კლუბი გახლავთ, რომელმაც შარშან „გაგრა“ 3:1 დაამარცხა.




„ზესტაფონი“ ტიტულის დაცვას შეეცდება, ხოლო მისი მეტოქე „დილა“, მის პირველად მოპოვებას.

შარშანდელი ჩემპიონატის გამარჯვებული და თასის მფლობელი წელს, დღეს გაარკვევენ სეზონის პირველი ტიტულის მფლობელის ვინაობას. მატჩი „მიხეილ მესხის“ სახელობის სტადიონზე გაიმართება.

ამ გუნდების დაპირისპირება ბოლო პერიოდში დიდ ინტერესს იწვევს, გულშემატკივარი საკმაოდ დაძაბულ შეხვედრას ელის. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, უკანასკნელი თასის ფინალია, რომელშიც „დილამ“ მეტოქეს 4:1 აჯობა.

ამის გარდა კი, ამ თამაშს დაძაბულობას ისიც მატებს, რომ გორის „დილა“ ბოლო პერიოდში საკმაოდ გაძლიერდა და არა მარტო „ზესტაფონს“, არამედ სხვა ძლიერ ქართულ გუნდებს ტოლს აღარ უდებს. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ გორელებმა წლევანდელი ჩემპიონატის პირველი ნახევარი მე-2 პოზიციაზე დაასრულეს და ლიდერთან სხვაობა მხოლოდ 3 ქულას შეადგენს. „დილა“ მწვრთნელმა და რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა, მაგრამ გუნდში მოვიდა ლიტველი სპეციალისტი ვალდას ივანაუსკასი და რამდენიმე ახალი მოთამაშე. სავარაუდოა, რომ ამ კლუბს ისევ მაღალი მზინები ექნება.

საბურთალოზე, „ბენდელას“ სტადიონის საპრესკოფერენციო დარბაზში გორის „დილას“ ახალწვეულების წარდგენა შედგა. კლუბის გენერალურმა მენეჯერმა გია ისიანმა და სპორტულმა დირექტორმა ვანო ხორგუაშვილმა მოკლედ შეაფასეს დღევანდელი მდგომარეობა და მიზნებზეც ისაუბრეს.

ჯერ ახალწვეულები: მეკარე ზურაბ მამალაძე, მცველები ალექსანდრე კვახაძე და ლაშა თოთაძე, ნახევარმცველი ირაკლი მაისურაძე და ფორვარდი ბაჩანა არაბული.

ამასთან, ახალწვეულებად ითვლებიან ლიტველი მთავარი მწვრთნელი ვალდას ივანაუსკასი და ფიზმომზადების გერმანელი სპეციალისტი თომას კლიმეკი, რომელსაც სხვადასხვა გერმანულ კლუბებში უმუშავია და ასევე გახლდათ თურქულ „გაზიანთეფსფორში“.

კამერუნელი ნახევარმცველი ლობე სამშობლოშია და სავიზო საკითხებს აგვარებს, ამდენად, ოფიციალურ წარდგენაზე არ ყოფილა.

რაც შეეხება ლატვიელ მეკარე კასპარს იქსტენსს, აღმოჩნდა, რომ მასთან ჯერ კიდევ მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

ხორგუაშვილმა დადებითად შეაფასა თურქული შეკრება და იმედი გამოთქვა, რომ გუნდი საქართველოს ჩემპიონატსა და თასზეც წარმატებით ითამაშებს. მიზანი ნათელია: ჩემპიონობა და თასისთვის ბრძოლაც.

მანამდე კი, „დილა“ როგორც აღვნიშნეთ, კიდევ ერთი ტიტულისთვის იბრძოლებს – სუპერთასი.

თავის მხრივ, შარშანდელი ჩემპიონი მეტად სახეშეცვლილი ხვდება ამ მატჩს. „ზესტაფონი“ ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა, მწვრთნელი ჩემპიონმაც შეიცვალა. თურქულ შეკრებაზე გუნდი კახა კაჭარავამ წაიყვანა, რომელმაც პირველი ეტაპის ბოლოს ჩაიბარა გუნდი. იმერლების შემადგენლობაში ახალწვეულებიც არიან. ამ დროისთვის გუნდი მხოლოდ მე-5 პოზიციაზეა და ამ ადგილზე მოხვედრისთვისაც საკმაო ჯაფა დაადგა.

რამდენიმე დღის წინათ თურქული შეკრებიდან დაბრუნებული „ზესტაფონი“ საშუასეზონო სამზადისს საკუთარ საწვრთნელ ბაზაზე განაგრძობს. ყველა წინაპირობით, „ზესტაფონი“ მომზადებული უნდა ხვდებოდეს დამდეგ ბატალიებს. გუნდს წვრთნა და ტესტ-მატჩები არ დაუკლია და დასახული მიზნების მისაღწევად ძალა უნდა კმაროდეს. ჰოდა, იმერული კლუბიც იმედიანადაა განწყობილი, ძველი გვარდიით და ახალწვეულებით აპირებს ჩემპიონატის წინასწარ ეტაპზე, ცოტა არ იყოს, შელახული რეპუტაციის აღდგენას.

ახალწვეულები ვახსენეთ და საშუასეზონო პერიოდში დამატებული ფეხბურთელები „ზესტაფონმაც“ წარადგინა. ცერემონია დავით აბაშიძის სახელობის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში შედგა. კლუბის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა სერგო ფუტკარაძემ დამსწრეთ, რომელთა შორის გუნდის წევრები, ფან-კლუბის წარმომადგენლები, რიგითი ქომაგები და ჟურნალისტები იყვნენ, „ზესტაფონის“ ახალი მოთამაშეები გააცნო. ამის შემდეგ კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ვასილ გველესიანმა ახალწვეულებს დანომრილი, სახელობითი მაისურები გადასცა.

იმერულ კლუბს საშუასეზონო პერიოდში შეემატნენ: ესპანელი ცენტრალური მცველი ორიოლ ლოსანო ფარანი, ალჟირელი ფორვარდი მოჰამედ რეკრუკი, ბულგარელი ნახევარმცველი დიმიტარ პეტკოვი თავდამსხმელი ლევან კუტალია და მეკარე რომეო ტურავა.

„ზესტაფონისა“ და „დილას“ ურთიერთშეხვედრებს თუ გადავხედავთ, 2004 წლიდან დღემდე გუნდებმა 17 შეხვედრა ჩაატარეს. უპირატესობა იმერელთა მხარეს არის – 12 მოგება, 5 მარცხის წილ. თუმცა, ბოლო 3 მატჩი გორელებმა მოიგეს.

**სუპერთასის ყველა მატჩი:**

1996: „დინამო“ (თბ) – „დინამო“ (ბთ) 4:0;
1997: „დინამო“ (თბ) – „დინამო“ (ბთ) 4:1;
1998: „დინამო“ (ბთ) – „დინამო“ (თბ) 2:1;
1999: „დინამო“ (თბ) – „ტორპედო“ 1:0;
2005: „დინამო“ (თბ) – „ლოკომოტივი“ 1:0;
2006: „ამერი“ – „სიონი“ 1:0;
2007: „ამერი“ – „ოლიმპი“ 4:1;
2008: „დინამო“ (თბ) – „ზესტაფონი“ 1:0;
2009: „ვიტ ჯორჯია“–„დინამო“(თბ)2-1 (დდ);
2010: „ოლიმპი“ – „ვიტ ჯორჯია“ 2:0;
2011: „ზესტაფონი“ – „გაგრა“ 3:1.

# რუსეთამდე ჰეიგმა ღია ვარჯიში გამართა

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები რუსეთთან დაპირისპირებისთვის ემზადება, რომელიც 23 თებერვალს სოჭში გაიმართება. მილტონ ჰეიგის გუნდმა „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე ღია ვარჯიში გამართა. საქართველოსა და რუსეთის ნაკრებების შეხვედრა 2013 წლის ერთა თასის გათამაშების ეგიდით ჩატარდება, რომელიც ამავდროულად, 2015 წლის მსოფლიოს თასის საკვალიფიკაციო ეტაპია.

ქართველი ბორჯღალოსნები მომავალი თამაშისთვის ინტენსიურად ემზადებიან. ნაკრების ახალზელანდიელმა თავკაცმა რუსეთთან შეხვედრისთვის 25 მორაგბე გამოიძახა, თუმცა შემდეგ ცვლილებების განხორციელება მოუხდა – დავით ხინჩაგიშვილი ზურაბ ჟვანიათი ჩაანაცვლა, ასევე ნაკრებს დაამატა ვიქტორ კოლელიშვილი.

ნაკრების ღია ვარჯიში თითქმის ორ საათს გაგრძელდა და დატვირთული და მრავალმხრივი გამოდგა. მწვრთნელებმა მორაგბეებს სხვადასხვა კომბინაციები დაამუშავებინეს, ორად გაყოფილი გუნდის მოთამაშეები რამდენჯერმე გადაანაცვლეს და თამაშის დროს სწრაფი, ხელდახელ თამაში მოსთხოვეს. ვარჯიშის მეორე ნაწილში შერკინების მოთამაშეებმა სტატიკურ მდგომარეობაში კომბინაციების დახვეწაზე იმუშავეს, უკანა ხაზმა კი დაკიდებული ბურთების სწრაფად დაჭერაზე და კარში დარტყმებზე იზრუნა.

საქართველოს ეროვნული ნაკრები სოჭში 22 თებერვალს გაემგზავრება. რუსეთისა და საქართველოს ეროვნული ნაკრებების დაპირისპირება 23 თებერვალს 15:00 საათზე დაიწყება.

**მილტონ ჰეიგი:**

– რუსეთთან რთული თამაში გველის. მოახლოებული შეხვედრა ყველანაირი თვალსაზრისით პრინციპულია. ინტენსიურად ვემზადებით, ვცდილობთ გუნდში არსებული ხარვეზები აღმოვფხვრათ და მატჩს სათანადო მზადყოფნაში შევხვდეთ. სოჭში რუსეთის ნაკრები კარგად თამაშობს და იოლად არაფერს დათმობს, თუმცა უკან დახევას არც ჩვენ ვაპირებთ.

**ირაკლი მაჩხანელი:**

– ნაკრები მომავალი შეხვედრისთვის კარგად მოემზადა. რუსები ყველასთან მარცხს ეგუებიან, აი ჩვენთან წაგება კი მათთვის ყველაზე მძიმეა. ამიტომ, მორიგ ურთულეს დაპირისპირებას ველით, მითუმეტეს, რომ მატჩი მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპის ეგიდით ჩატარდება. სოჭში შესანიშნავი განწყობით მივდივართ და იმედია ყველაფერი კარგად დასრულდება.

**ირაკლი ნატრიაშვილი:**

– მშვიდად ვემზადებით პრინციპული თამაშისთვის, რომელიც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ვცდილობთ წინა შეხვედრებში დაშვებული შეცდომები გამოვასწოროთ და ქართველი გულშემატკივარი კიდევ ერთხელ გავახაროთ.

**საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა:**

**შერკინება:** ვასილ კაკოვინი (ტულუზა, საფრანგეთი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე, საფრანგეთი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი, საფრანგეთი), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი, საფრანგეთი), ზურაბ ჟვანია (სტად ფრანსე, საფრანგეთი), იური ნატრიაშვილი (ბრივი, საფრანგეთი), შალვა მამუკაშვილი (არმია), გიორგი ჩხაიძე (ტარბი, საფრანგეთი), კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი, საფრანგეთი), ლაშა ლომიძე (მონპელიე, საფრანგეთი), შალვა სუთიაშვილი (მასი, საფრანგეთი), ბექა ბიწაძე (არმია), დიმიტრი ბასილაია (ედინბურგი, შოტლანდია), მამუკა გორგოძე (მონპელიე, საფრანგეთი), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი, საფრანგეთი);

**უკანა ხაზი**: გიორგი ბეგაძე (ბათუმი), ვაჟა ხუციშვილი (ხარები), მერაბ კვირიკაშვილი (სენ-ჟუნიენი, საფრანგეთი), ლაშა ხმალაძე (ლელო), მერაბ შარიქაძე (ჰართპული, ინგლისი), დავით კაჭარავა (როდეზი, საფრანგეთი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო, საფრანგეთი), ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), თამაზ მჭედლიძე (მონ დე მარსანი, საფრანგეთი), ირაკლი ყიასაშვილი (ლელო), ბექა წიკლაური (ლოკომოტივი).

**სატურნირო ვითარება:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რუმინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 48:27 | 8 |
| 2.საქართველო | 2 | 2 | 0 | 0 | 42:25 | 8 |
| 3.რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 27:38 | 4 |
| 4.ბელგია | 2 | 0 | 1 | 1 | 34:38 | 3 |
| 5.ესპანეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 30:34 | 3 |
| 6.პორტუგალია | 2 | 0 | 0 | 2 | 25:44 | 1 |

**დარჩენილი მატჩები:**

**23 თებერვალი:** რუსეთი-საქართველო; ესპანეთი-რუმინეთი; პორტუგალია-ბელგია;

**9 მარტი:** საქართველო-ესპანეთი; პორტუგალია-რუსეთი; ბელგია-რუმინეთი;

**16 მარტი:** რუმინეთი-საქართველო; ესპანეთი-პორტუგალია; რუსეთი-ბელგია.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## ფეხბურთი

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

მილანი-ბარსელონა ........ 2:0
გალათასარაი-შალკე ........ 1:1

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ლიდსი-ბლექპული ........ 2:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რიდი-ვოლფსბურგერი ........ 1:1

## კალათბურთი

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ინდიანა-ნიუ იორკი ........ 125:91
ტორონტო-მემფისი ........ 82:90
შარლოტი-დეტროიტი ........ 99:105
ატლანტა-მაიამი ........ 90:103

# შედეგები

კლივლენდი-ნიუ ორლეანი ... 105:100
მილუოკი-ბრუკლინი ........ 94:97
მინესოტა-ფილადელფია ........ 94:87
ჰიუსტონი-ოკლაჰომა ........ 122:119
დალასი-ორლანდო ........ 111:96
გოლდენ სტეიტი-ფინიქსი ........ 108:98
ლეიკერსი-ბოსტონი ........ 113:99

## ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

პიტსბურგი-ფილადელფია ........ 5:6
კალგარი-ლოს ანჯელესი ........ 1:3
კოლორადო-სენტ ლუისი ...... 1:0(ოტ)

# „რუსთავი“ და „ერისიონი“ მოსკოვში კონცერტებს გამართავენ

ეკა ირემაშვილი

**ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები „ერისიონი“ და „რუსთავი“ გაზაფხულზე კონცერტებს რუსეთის დედაქალაქში გამართავენ. ამის შესახებ რუსული გამოცემები უკვე აქტიურად წერენ და არც იმას მალავენ, რომ დიდი სიხარულითა და ინტერესით ელოდებიან ქართული ანსამბლების მოსკოვში ჩასვლას.**

პირველი კონცერტებს მოსკოვში ანსამბლი „ერისიონი“ გამართავს. 9 და 10 მარტს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი რუსი საზოგადოების წინაშე წარსდგება და ხუთწლიანი პაუზის შემდეგ კონცერტს გამართავს. „ერისიონის“ კონცერტი კრემლის დარბაზშია დაგეგმილი, სადაც ქართველი მომღერლები და მოცეკვავეები საკონცერტო პროგრამას „ქართული საგანძური“ წარმოადგენენ.

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ერისიონი“ 128 წლისაა. იმის გამო, რომ მან უკვე მესამე საუკუნეში შეაბიჯა, ანსამბლს მუზეუმსაც კი უწოდებენ. სხვადასხვა დროს ანსამბლში მოღვაწეობდნენ ქართული კულტურის ყველა დროის ყველაზე გამოჩენილი ადამიანები ლადო აღნიაშვილი, ანსამბლის შექმნის ინიციატორი, პოლიტიკოსი ნოე ჟორდანია, ზაქარია და ივანე ფალიაშვილები, მელიტონ ბალანჩივაძე, ვანო სარაჯიშვილი, ია კარგარეთელი, შალვა მშველიძე, სანდრო და ლადო კავსაძეები, ჯანო ბაგრატიონი, ნიკო ხურცია, ვანო მჭედლიშვილი, ბიჭიკო გველესიანი, ჰამლეტ გონაშვილი, დავით ჯავრიშვილი, ავთანდილ თათარაშვილი, გივი კოჯორაშვილი და სხვები. ანსამბლის დაბადებას, მის პირველ კონცერტებს გაზეთ „ივერიაში“ აღფრთოვანებული რეცენზიები უძღვნა ილია ჭავჭავაძემ. უცხოელი მსმენელი ქართულ ფოლკლორს პირველად სწორედ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის მიერ წარდგენილი საკონცერტო პროგრამებით ეზიარა, რითაც საფუძველი ჩაუყარა ქართული კულტურის ექსპორტს და მის აღიარებას მსოფლიოში. მისი დაარსება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მსგავსი ანსამბლების ჩამოყალიბების დასაბამი გახდა. სახელი „ერისიონი“ სულხან საბას განმარტებით „ცის იერს“, „მთის წვერს ზევით“ ნიშნავს. ეს სახელი ანსამბლს 1999 წელს დაერქვა. ერისიონისთვის განსაკუთრებულია ბოლო წლები. უცხოელი პარტნიორების და ინვესტორების დახმარებით, ანსამბლმა საერთაშორისო ასპარეზზე ისევ გაიტანა თავისი შემოქმედება და ძველი დიდება დაიბრუნა. პარიზში „ერისიონს“ გადაეცა ოქროს დისკი. ერთდროულად 5000-ზე მეტი აფიშა და სხვა სარეკლამო საშუალება იუწყებოდა ანსამბლის „ტრიუმფალურ დაბრუნებას“ პარიზში. სიმღერა „ჩაკრულო“, რომელიც კოსმოსშია გაგზავნილი, სწორედ „ერისიონის“ მიერ არის შესრულებული. ამჟამად ანსამბლის რეპერტუარშია სპეციალური საკონცერტო პროგრამა სახელწოდებით „ქართული საგანძური“, რომელზეც ჯემალ ჭკუასელმა და რეზო ჭოხონელიძემ იმუშავეს.

როგორც ანსამბლის „ერისიონი“ ხელმძღვანელმა ჯემალ ჭკუასელმა „ახალ თაობას“ განუცხადა, მოსკოვში დაგეგმილ კონცერტებთან დაკავშირებით, მას არ აქვს უფლება წინასწარ ამ თემაზე ილაპარაკოს.

**ჯემალ ჭკუასელი:**

– რუსთავი ორს აქვს ექსკლუზივი და ამიტომ არ მაქვს უფლება წინასწარ რამე ვთქვა. მარტო იმას გეტყვით, რომ 27 თებერვალს მივდივარ მოსკოვში.

11 აპრილს მოსკოვში კონცერტს უკვე მეორე ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი გამართავს. „ერისიონს“ „რუსთავი“ ჩაანაცვლებს. ეს ანსამბლი 45 წლის იუბილეს აღნიშნავს და ამ მნიშვნელოვან თარიღს რუსეთის დედაქალაქშიც იზეიმებს. „რუსთავი“ ათწლიანი პაუზის შემდეგ ეწვევა რუსეთს და „კროკუს სითი ჰოლში“ კონცერტს ჩაატარებს. 80 კაციანი ანსამბლი რუსეთში საიუბილეო პროგრამას ჩაიტანს.

ანსამბლი „რუსთავი“ ანზორ ერქომაიშვილმა მეგობრებთან ერთად 45 წლის წინ დააარსა. თავიდან ანსამბლი მხოლოდ მომღერლებისგან შედგებოდა. იმავე წელს მომ-



ღერლებს მოცეკვავეთა გუნდი შეუერთდა და დღემდე ერთიანი სახელით აგრძელებენ მოღვაწეობას. დაარსების დღიდან ანსამბლს გამართული აქვს 4000-ზე მეტი კონცერტი მსოფლიოს 70-მდე ქვეყანაში. ანსამბლის რეპერტუარში შედის საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ცეკვები და სიმღერები. „რუსთავის“ ყოველ წევრს აქვს ძალზე დიდი შემოქმედებითი დატვირთვა. ქართული ხალხური სიმღერის სტრუქტურა განაპირობებს ანსამბლის წევრთა შემოქმედებით თანასწორუფლებიანობას, რაც თითოეული მომღერლისაგან მოითხოვს მაღალ პროფესიონალიზმს, ოსტატობასა და საშემსრულებლო კულტურას. როგორც მომღერალთა, ასევე მოცეკვავეთა წარმოდგენების სტილი ტრადიციულია და ინარჩუნებს ისტორიულ კოლორიტს. ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელის ანზორ ერქომაიშვილისა და მთავარი ქორეოგრაფის ფრიდონ სულაბერიძის ხედვაა, ანსამბლმა შეინარჩუნოს ეთნოგრაფიული გუნდის ფორმა და სტრუქტურა, ამავე დროს გადალახოს კუთხური კარჩაკეტილობა. ამ ხედვის შედეგია, რომ ანსამბლი საფუძვლიანად დაეუფლა მრავალდიალექტიანი ქართული მუსიკალური ფოლკლორული ცეკვისა და სიმღერის სტილსა თუ ჟანრობრივ მრავალფეროვნებას, რითაც აკადემიური საგუნდო კოლექტივის თვისებები შეიძინა. ქართული ხალხური სიმღერების პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, ანსამბლი „რუსთავი“ დაჯილდოვებულია ზაქარია ფალიაშვილის, ალბერტ შვაიცერის და საქართველოს სახელმწიფო პრემიებით.

მოსკოვში დაგეგმილ კონცერტთან დაკავშირებით „ახალი თაობა“ ფრიდონ სულაბერიძეს ესაუბრა.

**ფრიდონ სულაბერიძე:**

– დიახ, ჩვენ 11 აპრილს გვაქვს კონცერტი მოსკოვში.

***– ეს თქვენი საიუბილეო ტურნეს ფარგლებში დაგეგმილი კონცერტია?***

– არა. მხოლოდ ერთ კონცერტს ვატარებთ მოსკოვში 11 აპრილს, ეს არის და ეს, მორჩა!



***– რამდენწლიანი პაუზის შემდეგ ბრუნდებით მოსკოვში?***

– ზუსტად არ მახსოვს რამდენი წელია, მაგრამ ძალიან დიდი ხანია არ ვყოფილვართ მოსკოვში.

**პ.ს.** „ერისიონისა“ და „რუსთავის“ კონცერტების ჩატარების სურვილს მოსკოვში ქართულ სოციალურ ქსელებში საზოგადოების მხრიდან არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მოყვა, ნაწილმა მათი საქციელი გაამართლა, ნაწილმა – არა, ნაწილმა კი ისიც იკითხა, სუხიშვილებმა რა დააშავეს, ბარემ გვითხარით, ისინი როდისღა ჩაატარებენ კონცერტებს მოსკოვშიო.

# არ მისცეთ ხმა ბერლუსკონის!



„როიტერის“ ცნობით, ევროკავშირის პარლამენტის გერმანელი პრეზიდენტი, რომელიც ბერლუსკონიმ ერთხელ ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკის ზედამხედველს შეადარა, იტალიელებს აფრთხილებს ხმა ყოფილი პრემიერის სასარგებლოდ არ მისცენ. მარტინ შულცი იმ პოლიტიკოსებს მიეკუთვნება, რომელიც იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრის სილვიო ბერლუსკონის უკან, პოლიტიკაში დაბრუნებას შიშით შეჰყურებენ.

შეგახსენებთ, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინ ბერლუსკონის კორუფციასა და სექსუალურ დანაშაულში სდებდნენ ბრალს.

„მე დარწმუნებული ვარ, რომ იტალიელი ხალხი მათი ქვეყნისათვის სასიკეთო გადაწყვეტილებას მიიღებს“,-აღნიშნავს შულცი.

2003 წელს ბერლუსკონიმ შულცის შესახებ, რომელიც მაშინდელი პრემიერის პოლიტიკას აკრიტიკებდა, აღნიშნა რომ მისი სურვილია შულცს ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკებზე გადაღებულ ფილმში კაპოს როლი შესთავაზოს. კაპო ბანაკის ბინადარი იყო, რომელიც ბანაკებში მუშათა ჯგუფებს მეთვალყურეობდა.

**გ. მ.**

# „ბალადა ვეფხისა და მოყმისა“ – კინომსახიობთა თეატრში

დასაწყისი მე-8 გვერდზე

– ეს სპექტაკლი საკმაოდ რთულია. ბეწვის ხიდზე სასიარულო მასალაა და აქტუალურია, რადგან კლასიკა ყოველთვის აქტუალურია. მჯერა, რომ ჩვენს მიერ შერჩეული შემოქმედებითი ჯგუფი და ფორმა მაყურებლისთვის იქნება ძალიან საინტერესო და ახლებური. უჩვეულო თეატრალური ექსპერიმენტია და ჰუმანურობით არის სავსე. ჩვენ ჩვენი სათქმელი სცენაზე სპექტაკლის სახით გადავიტანეთ, ახლა მაყურებლის ჯერია, მათ უნდა შეაფასონ ჩვენი ნამუშევარი, – ამბობს რეჟისორი.

სპექტაკლის იდეის ავტორი მსახიობი მზია არაბულია, ის წარმოდგენაში დედის როლს თამაშობს.

– იმდენად ხელშეუხებელი ბალადა იყო და იმდენად მიყვარდა ბავშვობიდან, მეცოტავებოდა მისი მარტო ლექსად წაკითხვა, მინდოდა სპექტაკლის სახე მიეღო და მსურდა ეს ამბავი მსახიობთა პლასტიკით ყოფილიყო გადმოცემული. როგორი გამოვიდა, ამას მაყურებელი შეაფასებს. ვეფხვი და მოყმე ისეთი ბალადაა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა და აქტუალურია. მიმაჩნია, რომ ის არ უნდა იყოს თაროზე შემოდებული და მხოლოდ ერთეულების საკითხავი, არამედ პირიქით, ის ყველა ქართველისთვის განსაკუთრებით ინტერესით საკითხავ მასალას უნდა წარმოადგენდეს, – განაცხადა მსახიობმა.

თუმანიშვილის თეატრმა სულ რამდენიმე დღის წინ წარმოადგინა პრემიერა – „უცნაური სიყვარულის ისტორია“ და მისი დამდგმელი რეჟისორი ნინო ბურდულია. სპექტაკლი პეტერ ჰირჰეს პიესის მიხედვით დაიდგა. თარგმანი, სცენოგრაფია, კოსტიუმები, მუსიკალური გაფორმება და დადგმა ნინო ბურდულს ეკუთვნის, ქორეოგრაფია – მარიამ ალექსიძეს, ტექნიკური რეჟისორი – სოფიო ორჯონიკიძეა, სპექტაკლში კი მონაწილეობენ ქეთი ასათიანი და პაატა ინაური.

– გერმანელი მწერლის პეტერ ჰირჰეს პიესა „მსოფლიოში ყველაზე უცნაური სიყვარულის ისტორია“ დაწერილია XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ადამიანები ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის ტყვეობაში იყვნენ ემოციურად და ფსიქოლოგიურად. ალბათ სწორედ ამიტომ არის ასეთი მძაფრი სიყვარულის მონატრება, სიყვარული ამ პიესაში ნორმალურ, ადამიანურ ცხოვრებაში დაბრუნების სიმბოლოა, ცხოვრების არსი, რომელსაც თავისთავადი მნიშვნელობა აქვს, და არ არის დამოკიდებული სოციალურ და პოლიტიკურ რეალიებზე. პიესა კონცენტრირებულია ქალისა და მამაკაცის მარადიულ ლტოლვაზე სიყვარულისკენ. ეს ლტოლვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თითოეული ცალკე აღებული წყვილის კონკრეტული სასიყვარულო ისტორია. ამიტომ ოცნებობენ ადამიანები სიყვარულზე, რომელიც სინამდვილეში არ ჰგავს ხოლმე მათს ოცნებას, ამიტომ ეძებენ იდეალს და ხშირად გვერდზე მყოფს ვერ ხედავენ. სიუჟეტურად პიესა აგებულია ქალისა და მამაკაცის პარალელურ არსებობაზე. თითოეული მათგანი კონკრეტულ, რეალურ სიტუაციებში იმყოფება და ამავე დროს წარმოსახვით ამყარებს ურთიერთობას თავის „ოცნებასთან“, შესაბამისად კონფლიქტებიც სხვადასხვა სიბრტყეზე ვითარდება. და კონტრასტები ყოფაში ქმნის მიზიდულობას წარმოსახვაში, და პირიქით. რეალისტურად დაწერილი პროზაული დიალოგი პოეტურ-ფილოსოფიურ ზემოქმედებას ახდენს და პერსონაჟების ორ განზომილებაში არსებობა მართლაც „უცნაურ“ ისტორიას ქმნის. ქალი და მამაკაცი – იდეალი თუ რეალური ადამიანი? – მარადიული ოცნება თუ ოცნების ასრულება? – განხორციელებული სიყვარული თუ ლტოლვა სიყვარულისკენ? ყველას თავისი სიყვარულის ისტორია აქვს, ეს პიესაც ისტორიას მოგვითხრობს – ოღონდ ქალისა და მამაკაცის ყოფითი, რეალისტური, ტიპური ურთიერთობების პარალელურად – სიყვარულზე ოცნების, სიყვარულის ძიების ისტორიას, და პროვოკაციულად გვარწმუნებს, რომ მხოლოდ ადამიანზეა დამოკიდებული, დაიჯერებს, რომ იპოვა იდეალი, თუ ძებნას განაგრძობს. სპექტაკლი რეჟისორმა ჩაიფიქრა, როგორც ექსკლუზიური საღამო ქალბატონებისთვის და ბატონებისთვის.

# ნიკო ფიროსმანის ფიალა ლიტერატურის მუზეუმში გამოფინეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

22 თებერვალს ლიტერატურის მუზეუმი საზოგადოებას უკვე 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე იწვევს.

– 1832 წლის შეთქმულება იყო ქართული თავად-აზნაურების ბოლო მცდელობა, თავი დაეღწიათ რუსეთის ბატონობისგან. დამარცხებული შეთქმულების სიკვდილმისჯილი მონაწილეების მიმართ იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა „ლმობიერება“ გამოიჩინა და ისინი იმპერიის შორეულ მხარეებში გადაასახლა. სოლომონ დოდაშვილის და სოლომონ რაზმაძის გარდა, რომელიც გადასახლებაში გარდაიცვალნენ, ყველა მალე დაბრუნდა სამშობლოში და იმპერიის სამსახურში ჩადგა. 1844 წელს კავკასიის მეფისნაცვლად საქართველოში მიხაილ ვორონცოვის დანიშვნით, როგორც ილია ჭავჭავაძე წერდა, დაიწყო „დრო მიძინებისა და ჩვენის გონებრივისა და ეროვნულის მიმძინარებისა, მოქანცულობისა. მწერლობაც ამ გვარის მიმძინარებულის ხასიათისა გახლდათ მაშინ. იგი ზედმიწევნილის სინამდვილით გვიხატავს მაშინდებურს ჩვენს არარობას, ჩვენს სიღატაკეს აზრისას თუ ცხოვრებისას. ამ გვარი გაჭირვებული დრო დადგება ხოლმე ერისათვის ხანგრძლივის და დიდის ხნის მღელვარე ცხოვრების შემდეგ. მაშინ რომ ქართველისათვის გეკითხათ, რას ფიქრობთ, რა გსურთო, სიცოცხლეზედ ვფიქრობთ, სიცოცხლე გვინდაო, გიპასუხებდნენ. მაგის გარდა კიდევაო? კიდევ სიცოცხლე გვინდაო, გეტყოდნენ. რას ეძახით სიცოცხლეს, როგორ თუ სიცოცხლეო? ისეო, გეტყოდნენ, რომ გავლა-გამოვლა შეგვეძლოს, სუნთქვაო, ცით და მთვარით დატკბობა, მზის ცქერაო და ჩვენის ჭიის გახარებაო. გვინდა ვგრძნობდეთ, რომ თავი ისევ მხრებზე გვაბიაო, რომ ჩვენის თავისთვის გვეთქვა, ფიქრი არა გაქვს, ისევ ცოცხალი ხარ, ჯერ არ მომკვდარხარო. ერთის სიტყვით, ხალხს და ერს მხოლოდ ხორციელის ცხოვრების ნატვრა ჰქონდა, მხოლოდ იმაზედ ჰფიქრობდა, რომ უნდა გავფრთხილდე, თორემ, სულს ხომ აღარა ვჩივი, ხორცითაც არ დავილუპოვო“, – აღნიშნულია ლიტერატურის მუზეუმის განცხადებაში.

**ეკა ირემაშვილი**



## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. სპილენძის შენადნობი კალასა და ტყვიასთან; 2. ცხვრის ტყავის ბეწვიანი ქუდი; 3. ჩინელებით დასახლებული ქალაქის უბნების სახელწოდება აშშ-ში; 4. ქართული მულტიპლიკაციის ფუძემდებელი; 5. ავსტრალიის ძველი დედაქალაქი; 7. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 11. მტარვალი, ტირანი, თვითნება ადამიანი; 13. ნაკლოვანება, ხარვეზი; 15. სახელმწიფო აზიაში; 16. იაპონური მოტოციკლეტი; 18. რეგულარული შემოსავალი უძრავი ქონებიდან; 19. სითხის საქაჩი მექანიზმი.

**თარაზულად**: 6. ქალაქის თვითმმართველობის შენობა გერმანიის ქალაქებში; 8. ცხვრის ხორცისგან მომზადებული წვნიანი კერძი; 9. წმინდა ოქრო; 10. გულადი, ყოჩაღი მამაკაცის ძველებური სახელწოდება; 12. იმრე კალმანის ოპერეტა; 14. ქართული ხალხური ზღაპარი; 17. ეგვიპტის დედოფალი; 20. ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი ნაწილი; 21. გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების მშობლიური სოფელი; 22. ტაივანის მთავარი ქალაქი; 23. ტბა ჯავახეთში.

**შეადგინა თ. გოგინაშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „დნიპრო“; 2. ქართუ; 3. დოში; 5. ბლენდა; 6. ოფოფი; 7. მექსიკა; 11. ნუნისი; 13. სტანიცა; 14. „ბარფი“; 15. პოლიცია; 16. კომპასი; 17. ბაკარა; 19. „ელესა“; 20. ქადა.

**თარაზულად:** 1. დუქარდი; 4. ტუმბო; 8. შველი; 9. ევრო; 10. პითონი; 12. ესტრადა; 14. ბაია; 15. პამპლონა; 16. კურსი; 18. ონისე; 21. კაკაო; 22. სურდინა; 23. სორენტო.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პალანგა; 2. კომუნა; 3. ნობელიუმი; 4. „ცერული“; 5. ფოლიანტი; 7. ქოსა; 11. „სალხინო“; 13. კაჭკაჭი; 15. „მწირი“; 16. მოძმე; 18. ნიკეა; 19. ლინზა.

**თარაზულად:** 6. ეფექტი; 8. პორთოსი; 9. „გურიელი“; 10. ნიუანსი; 12. გაუდი; 14. „მიმინო“; 17. „მაჭანკალი“; 20. ბაირონი; 21. ორფოლო; 22. ეფუზია; 23. ხელბურთი.

# ირანმა ურანის გასამდიდრებლად ახალი ცენტრიფუგები დაამონტაჟა

ირანმა თანამედროვე გაზის ცენტრიფუგის მასშტაბური მონტაჟი დაასრულა. ცენტრიფუგი ურანის გასამდიდრებლად გამოიყენება. ეს ინფორმაცია მსოფლიოს ატომური ენერგიის სააგენტოს შტაბბინაში, დიპლომატებმა გაახმაურეს.

სააგენტოს ინსპექტორებმა, რომლებმაც ირანში რამდენიმე დღის წინ ობიექტი მოინახულეს, დააფიქსირეს, რომ იქ უკვე დაყენებულია დაახლოებით ასამდე აი-არ-2მ-ის ცენტრიფუგი, რომელთა მეშვეობითაც ურანის გამდიდრება ორ-ხუთჯერ უფრო სწადი ტემპებით მოხდება.

ნათანზის პროვინციაში გაცილებით თანამედროვე გაზის ცენტრიფუგების დამონტაჟების შესახებ, ირანმა ბირთვულ სააგენტოს 23 იანვარს ოფიციალურად შეატყობინა, ხოლო მსგავსი სამუშაოს დაწყების თაობაზე საჯარო განცხადება 13 თაბერვალს გაკეთდა.

შეგახსენებთ, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადას, რომ ირანის ახალი ცენტრიფუგები, რომლებიც ურანის გამდიდრების პროგრამაშია ჩართული, ბირთვული ბომბის შესაქმნელად საჭირო დროს შეამცირებს.

გასულ თვეში ირანმა გამოაცხადა, რომ ქვეყნის მთავარ ურანის გამამდირებელ ქარხანაში ახალი მანქანების ჩართვა ქვეყანას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის სჭირდებოდა.

„ირანის ბირთვული პროგრამა განვითარებას განაგრძობს. უკანასკნელად გაეროში ყოფნის დროს მე აღნიშნულთან დაკავშირებით ხაზები გავავლე. მათ ჯერ ეს ხაზები არ გადაუკვეთავთ, თუმცა რასაც ისინი აკეთებენ მოწმობს, რომ ამ ხაზების გადასაკვეთად ძალიან მცირე დრო დარჩათ“,-განაცხადა ნეთანიაჰუმ, რომლის თქმითაც მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა „მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის“ თეირანზე ზეწოლა უნდა გააძლიერონ.

მალე ქვეყნის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით ირანისა და ე.წ „ექვსეულის“ შეხვედრაა დანიშნული.

ამ ფონზე, ირანის სულიერი ლიდერი, აიათოლა ალი ჰამენეი, ვაშინგტონთან პირდაპირ მოლაპარაკებებზე, ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით, უარს აცხადებს. აიათოლას განცხადებით, ასეთი მოლაპარაკებები „არაფერს წყვეტს“.

„თქვენ, ამერიკელებს გსურთ მოლაპარაკებების წარმოება, ირანზე სამხედრო თავდასხმის პარალელურად. ირანელი ხალხი ასეთ ქმედებებს არ დაუშვებს და არ შეშინდება. ზოგს უხარია მოლაპარაკებების დაწყება, მაგრამ ეს მოლაპარაკებები ვერაფერს შეცვლის“, – განაცხადა ისლამური რესპუბლიკის უმაღლესმა ლიდერმა.

# ერდოღანის მმართველობის პერიოდში თურქეთში 17 ათასი ახალი მეჩეთი აშენდა



პრემიერ-მინისტრ რეჯეპ ტაიპ ერდოღანის მმართველობის პერიოდში თურქეთში 17 ათასი ახალი მეჩეთი აშენდა. ამის შესახებ ინფორმაციას თურქული გამოცემა „მილიეთი“ ავრცელებს.

ერდოღანის ხელისუფლებაში მოსვლამდე თურქეთში 76 000 მოქმედი მეჩეთი იყო, დღეისათვის კი, ეს რიცხვი 93 000-ს აღწევს. საინტერესოა, რომ ერდოღანის მმართველობის პერიოდში ახალი სკოლები თითქმის არ აშენებულა.

გამოცემის ცნობით, თურქეთის სეკულარული ოპოზიცია ერდოღანს მოსახლეობის ხელახალ ისლამიზაციაში ადანაშაულებს და მიიჩნევს, რომ პრემიერი გარკვეული „საიდუმლო გეგმით“ მოქმედებს.

ცოტა ხნის წინ ერდოღანმა სტამბულში ახალი მეგა-მეჩეთის მშენებლობის დაწყება დააანონსა, რომელსაც, მისი მტკიცებით, ბოსფორის ყველა კუთხიდან დაინახავენ და რომლის მინარეთები მსოფლიოში ყველაზე მაღალი იქნება.

# ლოს ანჟელესში არჩევნები სომხურ ენაზეც ჩატარდება

აშშ-ის ქალაქ ლოს ანჟელესის ადგილობრივ არჩევნების ბიულეტენები შესაძლია სომხურ ენაზეც დაიბეჭდოს. ამის შესახებ ქალაქის საარჩევნო დეპარტამენტის თავმჯდომარემ განაცხადა. თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული ჯერ არ არის.

ამჟამად ლოს ანჟელესის ადგილობრივი არჩევნები ინგლისურის გარდა კიდევ 8 ენაზე ტარდება. ესენია – ჩინური, ინდური, იაპონური, კორეული, ესპანური, ტაგალური, ტაილანდური და ვიეტნამური.

# სამგლოვიარო განცხადებები

ქალთა მე-6 საშუალო სკოლის 1954 წლის გამოშვების XI[2] კლასელები ღრმა მწუხარებით ვიუწყებით

**გულნარა გოზალიშვილის**

გარდაცვალებას.

ძალიან დაგვაკლდები და უზომოდ მოგვენატრები, ჩვენო გულიკო.

იძინე მშვიდად ღვთის ნათელში.

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი იუწყება ღვაწლმოსილი თანამშრომლის

**ზეინაბ სარაჯიშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პორტუგალიაში 380 ათასი ყალბი ევროს ბანკნოტები ამოიღეს



პორტუგალიის პოლიციამ რეკორუდული რაოდენობის ყალბი ევრო-ბანკნოტი ამოიღო. პორტუგალიის პოლიციის ინფორმაციით, ყალბი 380 ათასი ევრო ამოღებულია ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ პორტუში.

ეს უკვე მეორე ოპერაციაა, რომელიც ყალბი ბანკნოტების ამოსაღებად პორტუში მიმდინარე თვეს ჩატარდა.

პორტუგლის პოლიციაში აცხადებენ, რომ ევროს, როგორც საერთაშორისო ვალუტის გამყარება მას მნიშვნელოვნად მიმზიდველს ხდის ყალბი ფულის მომჭრელი დამნაშავეებისთვის.

ევრო ევროპის კავშირის ოფიციალური ვალუტა და ერთადერთი ფულადი ერთეულია 300 მილიონი ევროპელისთვის ევროგაერთიანების შემდეგ ქვეყნებში: ავსტრია, ბელგია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, პორტუგალია, ესპანეთი და ესტონეთი, რომელსაც კოლექტიურად ევროზონასაც უწოდებენ. ორმხრივი შეთანხმებების შედეგად ევრო ასევე ოფიციალური ვალუტაა შემდეგი არა-წევრი ქვეყნებისთვის: მონაკო, სან-მარინო და ვატიკანი. ევრო დე-ფაქტო ვალუტაა ანდორაში, კოსოვოსა და მონტენეგროში.

ევრო მსოფლიო სავაჭრო ბაზრებზე როგორც სააღრიცხვო ვალუტა შემოვიდა 1999 წელს, ფიზიკური ბანკნოტები და მონეტები კი შემოღებულ იქნა 2002 წელს. ევროგაერთიანების ყველა ქვეყანას აქვს უფლება შეუერთდეს ევროზონას იმ შემთხვევაში თუ ისინი პასუხობენ გარკვეულ მონეტარულ მოთხოვნებს, ევროს გამოყენება ვალდებულებაა ევროკავშირის ყველა ახალი წევრისთვისაც.

ევროს მართავს და ადმინისტრირებას უწევს ფრანკფურტში მდებარე ევროპის ცენტრალური ბანკი (ეცბ) და ევროპის ცენტრალურ ბანკთა სისტემა (რომელშიც წევრ ქვეყანათა ცენტრალური ბანკები შედის). როგორც დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკი, ეცბ-ს ერთპიროვნული უფლება აქვს მონეტარული პოლიტიკის განსაზღვრის. ეცბს მონაწილეობს პანკნოტების ბეჭდვაში, მონეტების ჩამოსხმაში და მათ სისტემაში გავრცელებაში ყველა წევრ ქვეყანაში, ისევე როგორც ევროზონის საგადამხდელო სისტემის ფუნქციონირებაში.

# დამასკოში რუსეთის საელჩოსთან მანქანა აფეთქდა

დამასკოს ცენტრში, რუსეთის საელჩოსთან მანქანის აფეთქებამ 31 მშვიდობიანი მოქალაქე იმსხვერპლა. პოლიციამ სავარაუდო ტერორისტის დაკავება შეძლო. დაკავებულს აღმოუჩინეს ხუთი ასაფეთქებელი მოწყობილობა, თითოელი 300 კილოგრამი წონის, იტყობინენა სააგენტო „სანა“.

ტერაქტის მსხვერპლი გახდნენ გამვლელები, მეზობელი მანქანების მძღოლები და მოსწავლეები. „სანას“ მონაცემებით, ჭრილობა მიიღო 200-ზე მეტმა ადამიანმა, მშვიდობიან მცხოვრებლებს შორის არიან ბავშვები. აფეთქება სკოლასთან, ასევე მმართველი პარტიის ოფისთან, ჰოსპიტალთან და ავტობუსების გაჩერებასთან ახლოს მოხდა.

„მაღაზიაში მის შეყვანას ვცდილობდით, მაგრამ ის უკვე გარდაიცვალა. ჩვენ არ შეგვეძლო მისი გადარჩენა, თავში და მუცელში იყო დაჭრილი“, – ერთ-ერთი მოვაჭრის კომენტარს „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.



ავტომობილი, რუსეთის საელჩოდან სულ რაღაც სამას მეტრში ჰაერში აფრინდა, იტყობინება „ინტერფაქსი“ სირიის სახელმწიფო ტელევიზიაზე დაყრდნობით. დიპლომატიური მისიის თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ შენობის მინები ჩაიმტვრა, მაგრამ პერსონალიდან არავინ დაზარალებულა.

თვითმხილველებმა განაცხადეს, რომ ტერაქტის შემდეგ კიდევ ორი აფეთქების ხმა გაიგონეს.

დამასკოს ტერაქტი მაშინ მოხდა, როცა სირიის ოპოზიციის ლიდერები, რესეთის საგარეო მინისტრი სერგეი ლავროვი და არაბული ქვეყნების ლიგა, სირიის კრიზისის გადასაწყვეტად შეხვედრებს მართავს.

# პოდმოსკოვიელი ექსტრასენსი სამი ფოტომოდელის მკვლელობისთვის დააკავეს

„ნიუსრუ.ქომის“ ინფორმაციით, მოსკოვის პოლიციამ დააკავა სერიული მკვლელი გოგონებისა, როლებიც სამოდელო ბიზნესში მუშაობდნენ. ლამაზმანები თავად იწვევდნენ სახლში სავარაუდო ბოროტმოქმედს, რადგან ის „უარყოფითი აურის მოხსნის“ სპეციალისტი იყო. ხოლო გოგონები იმის გამო იტანჯებოდნენ, რომ ესკორტ-მომსახურების და ელიტური პროსტიტუციის სფეროში ფულის შოვნა უწევდათ.

სამი ფოტომოდელის მკვლელობაში ეჭვმიტანილია 42 წლის თბილისური წარმოშობის მემკვიდრეობითი მაგი და მკურნალი გიორგი მარტიროსიანი. ის პოლიციამ ხუთშაბათს პოდმოსკოვიეში დააკავა, რაზეც მოსკოვის პოლიციის ოფიციალური საიტი იტყობინება.

ოპერატიული თანამშრომლების ინფორმაციით, დაზარალებულები თავად მიმართავდნენ მარტიროსიანს მომსახურებისთვის, რადაგან მისი დახმარებით „სულის გასუფთავება“ სურდათ. სამოდელო ბიზნესს მათთვის დიდი შემოსავალი არ მოჰქონდა, ამიტომ ფულს ესკორტ-მომსახურებაში შოულობდნენ. მაგრამ ამასთან ფიქრობდნენ, რომ ცხოვრების ასეთი წესი მათ კარმას უზიანებდა.

აურის გასუფთავებისთვის გოგონები მარტიროსიანს კოროლიოვში აკითხავდნენ, ასევე საკუთარ სახლში იწვევდნენ, წერს „ლაიფ ნიუსი“. მიმნდობ მოდელებს ჯადოქართან დაგროვილი თანხებიც კი მიჰქონდათ, რათა მას ამ თანხებზე „ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების“ რიტუალი ჩეტარებინა.

მარტიროსიანი გოგონებს სთავაზოდა კაპიტალი „დადებითი ენერგიით დაემუხტათ“. მსხვერპლებთან ანგარიშის გასწორებით, მაგი მათ ძარცვავდა. „ყველა შემთხვევის დროს, გოგონებს 1,5-დან სამ მილიონამდე რუბლს ართმევდა“, -ნათქვამია პოლიციის მიერ გავრცელებულ პრეს-რელიზში.

რაიმე ეჭვისგან თავის დასაღწევად, მედიუმი ჰეროინის პერედოზირების, უბედური შემთხვევის ინსცენირებას ახდენდა. „მაგმა იცოდა, რომ რთული სამოდელო ცხოვრების გამო გოგონები „ნელ ნარკოტიკებზე“ დასხდნენ: ჰეროინზე და მეთადონზე. ასეთი მომხმარებლებისთვის ზედმეტი დოზის მიღება ჩვეულებრივი ამბავია“, – განმარტავენ ოპერატიული თანამშრომლები.

თუმცა მორიგი მკვლელობის შემდეგ მედიუმი გასცა ვიდეოკამერამ, რომელიც მსხვერპლის სადარბაზოშია დამონტაჟებული. 23 წლის ნატალია ტრეპეზნიკოვას გვამი მის ბინაში ჯერ კიდევ 2011 წლის 21 სექტემბერს აღმოაჩინეს. გვამი აბაზანაში ესვენა და თავიდან გამომძიებლებმა გადაწყვიტეს, რომ გოგონამ ნარკოტიკის ზედმეტი დოზა მიიღო და დაიხრჩო.

თუმცა ვიდეოჩანაწერების ნახვის მერე პოლიციელები დაეჭვდნენ, რომ გოგონა მოკლული იყო, რადგან მისი გარდაცვალებისთანავე, სადარბაზოდან მამაკაცი გამოვიდა ჩანთით ხელში. გარეგნულად ის კავკასიელ გიორგი მარტიროსიანს ჰგავდა და ექსტრასენსი მალე დააკავეს.

დაკითხვაზე დაკავებულმა განმარტა, რომ ტრეპეზნიკოვა ჯერ კიდეცვ 2010 წელს გაიცნო. „ის ოფიციალურად რომელიღაც ფირმაში იყო გაფორმებული, მაგრამ ეს მხოლოდ შესანიღბად იყო გაკეთებული. რეალურად ის ელიტურ მეძავად მუშაობდა, მას ძალიან მდიდარი კლიენტები ჰყავდა“, – განაცხადა ექსტრასენსმა.

ნატალია მარტიროსიანს მიმართავდა თხოვნითაც კი, მორიგი კლიენტი ფოტოგრაფიით შეეფასებინა და ერჩია, როგორ ემოქმედა მასთან.

„კლიენტებს მეგობრების და ე.წ. მენეჯერების საშუალებით ნახულობდა. ზოგიერთ მათგანს, ოფიციალურად გაფორმებული სამოდელო სააგენტო ჰქონდა“, – განმარტა ეჭვმიტანილმა. თუმცა მარტიროსიანი ამტკიცებდა, რომ ის ვიღაცაში აურიეს და რომ ვიდეოზე ის არ არის ასახული. საპირისპირო რომ დაემტკიცებინათ, გამომძიებლებს ამისთვის წელიწადნახევარი დაჭირდათ.

გიორგი მარტიროსიანი ეჭვმიტანილია კიდევ სამ მკვლელობაში, რომლებიც ტაგანსკში და მოსკოვის ოკრუგის სხვა რაიონებშია ჩადენილი. ერთ შემთვევაში მსხვერპლი გახდა არა მარტო 21 წლის მოდელი, 1972 წელს დაბადებული დედამისიც.

დავამატებთ, რომ გიორგი მარტიროსიანს რუსი მაგების პროფესიულ წრეშივ კარგად იცნობდნენ. მას ცალკე გვერდი აქვს მიძღვნილი საიტზე „ექსტრასენსების სამყარო“. ხოლო „ვკონტაქტეში“ საკუთარ გვერდზე გიორგი მარტიროსიანი საკუთარ თავს „ჯადოქარს“ უწოდებს.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# TV პროგრამა

**პარასკევი 22 თებერვალი**

06.30 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა“ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.30 „მოამბე“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ 15.00 დ/ფ „ეგვიპტიდან“ 17.00 ფეხბურთი. საქართველოს სუპერთასი: „ზესტაფონი“ — „დილა“ (შესვენებისას — „მოამბე„) 19.05 ტ/სერ „სიყვარულის კოცნა“ 21.00 ტ/სერ 22.00 „აქცენტები“ 23.30 „წითელი ზონა“ 00.30 მხ/ფ „ჯო ჰილი“ (ტიტ.)

08.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 18.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო“ 11.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები“ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა“ 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე“ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი“ 5 სერ. 13.00 სერ. „გაქცევა – 4“ 14.40 სერ. „24 – 5“ 15.40 სერ. „დამალული სიმართლე“ 17.50 სერ. „თილისმა“ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება“ 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 თოქ შოუ – ღია ეთერი 00.15 სერ. „ღვინის გზა“ 00.50 მხ/ფ „კასანდრას ოცნება“ (კ.ფარელი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.30 პროფილი (გ/ჩ) 18.45 სერ. „მგზნებარე გული“ 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია“ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 მხ/ფ „ზაზუნას დღე“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ „სანამ წვიმა გადივლიდეს“ 13.40 კონცერტი - ანს.„შვიდკაცა“ 14.50, 18.35, 23.15 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 15.55 დეკორატიული ფლორა 16.05 ნიამორი 16.40 კონცერტი-თენგიზ ამირეჯიბის 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო 18.05 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „ჩვენი ეზო“ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 22.25 მოკ/ფ „სიყვარულის ცეცხლი“ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.15 ირაო

მაესტრო 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 11.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი“ 20.05, 1.40 თოქ-შოუ „არგუმენტები“ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 2.00 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი“ 22.00, 1.20 ყოველდღიური აბები 0.00 3.00, 5.00 6.00, 7.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


22 თებერვალი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6555

ევრო — 2,2284

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5359

100 რუსული რუბლი — 5,5091

**ამინდის პროგნოზი 22 თებერვლისთვის**





# მათთვის, ვინც ვერ მოახერხა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის 4-ტომეულის შეძენა!

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 1
უძველესი დროიდან VI საუკუნემდე

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 2
VI-XI საუკუნეები

22 თებერვლიდან გაიყიდება
**პირველი და მეორე ტომები**
1 მარტიდან
**მესამე ტომი**
5 მარტიდან
**მეოთხე ტომი**

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 4
XVII-XX საუკუნეები

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 3
XII-XVI საუკუნეები

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**ინფორმაციისთვის დარეკეთ 294-02-55**


## ასტროპროგნოზი 22 თებერვლისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**
**წარმატებული დღეა**

**ვერძი** – სიხარული და სიახლე გელით. **კურო** – ყველა საქმე გამოგდით, რასაც კი ხელს მოჰკიდებთ. **ტყუპები** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კირჩხიბი** – სახლში დიდი სიახლე გელით. **ლომი** – საღამო უმშვენიერესი იქნება. **ქალწული** – უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე, საქმე სარფიანია. **სასწორი** – ფულის პრობლემა არ გაქვთ, საერთოდ არ გაქვთ არც სხვა პრობლემა. **მორიელი** – ახალი პერსპექტივა გადაგეშლებათ. **მშვილდოსანი** – სიკეთისთვის დაჯილდოვდებით, თანაც მალე. **თხის რქა** – ყურადღების ცენტრში ხართ და გსიამოვნებთ. **მერწყული** – ჰარმონიული დღეა, საქმეებს აწესრიგებთ. **თევზები** – სანუკვარი ოცნება აგისრულდებათ, ბედი გწყალობთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. ყურძნის კრეფა; 2. ძილის მომგვრელი საშუალება; 3. პეპლების საჭერი ბადიანი მოწყობილობა; 5. პატარა კაფე, სასაუზმე გერმანიაში; 6. კახეთის სამეფოს დედაქალაქი; 7. დებულება, რომელსაც მტკიცება არ სჭირდება; 11. დროის მონაკვეთი კრივში; 13. ამერიკული ფარმაცევტული ფირმა; 14. გარეგნული მომხიბვლელობა, ეშხი; 15. ჰოლანდიური ელექტროტექნიკური კომპანია; 16. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი ქალი; 19. სიგრძის საზომი ერთეული ინგლისურ მეტრულ სისტემაში; 20. სასულე ორკესტრის მიერ შესრულებული მოკლე საზეიმო მუსიკალური მისალმება.

**თარაზულად**: 1. ფლანდრიელი მხატვარი; 4. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 8. მოცარული დარტყმა ბილიარდში; 9. კომბინაცია პოკერში; 10. მდინარე დასავლეთ საქართველოში; 12. ქართული სიგარეტი; 14. დედალი ჯიხვი; 15. მეფის ან დედოფლის საყვარელი; 16. ჩოგბურთის მოედანი; 18. ძაფზე ასხმული სამკაული; 21. გადასატანი მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური; 22. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 23. ირლანდიის დედაქალაქი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა




## პოდმოსკოველი ექსტრასენსი სამი ფოტომოდელის მკვლელობისთვის დააკავეს



მასალა იხ. მე-11 გვერდზე

## ფაჩულიამ ჩემპიონთან სასტარტოში დაიწყო

ნბა-ს ჩემპიონ „მაიამისთან“ მატჩში ზაზა ფაჩულია ატლანტელთა სასტარტო ხუთეულში იყო და ამის მიზეზი არ ყოფილა ვინმეს ტრავმა. ქართველ ცენტრს თავიდანვე ანდეს მოედანზე ადგილი და „ქორებიც“ ბოლო მეოთხედამდე ამარცხებდნენ მრისხანე მეტოქეს, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწიეს – მაიამელებმა ატლანტელები 103:90 დაამარცხა.

ბოლო პერიოდის დაწყებამდე ფაჩულიას გუნდი 10 ქულით იგებდა, მაგრამ გადამწყვეტ 12-წუთეულში მაიამელებმა მეტოქეს, რომ იტყვიან, საკალათბურთო გაკვეთილი ჩაუტარეს – მეოთხედი 40:17 მოუგეს და გამარჯვებაც მოიპოვეს.

ფაჩულიამ 25 წუთი ითამაშა და მოედანი 4 ქულით, 7 მოხსნით, 1 პასით და 1 ჩაჭრით დატოვა. ზაზამ 3-დან 1 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. ატლანტელთაგან 27 ქულით და 9 მოხსნით ალ ჰორფორდი გამოირჩა. ატლანტელებს 29 მოგების წილ 22 მარცხი აქვთ და აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-6 საფეხურზე არიან.

განაცხადში ისევ ვერ მოხვდა თორნიკე შენგელია, რომლის „ბრუკლინმაც“ სტუმრად „მილუოკი“ 97:94 დაამარცხა. ბრუკლინელების მონაგარი მონაგარი 32 მოგება, 22 წაგება და აღმოსავლეთის ცხრილში მე-4 ადგილია.

მ. ჟ.



## ნიკო ფიროსმანის ფიალა ლიტერატურის მუზეუმში გამოფინეს



გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმმა მეტად უჩვეულო გამოფენას უმასპინძლა. ექსპოზიციაზე არც მეტი არც ნაკლები, მხოლოდ და მხოლოდ ერთი ნივთი იქნა წარმოდგენილი და ისიც ნიკო ფიროსმანაშვილის კუთვნილება.

ლიტერატურის მუზეუმში გამოიფინა ღვინის ფიალა, რომლიდანაც მხატვარი თბილისის ერთ-ერთ დუქანში ღვინოს სვამდა. მიუხედავად იმისა, რომ ფიროსმანის შემოქმედება არაერთხელ გამოფენილა არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც და დიმიტრი შევარდნაძის სახელობის გალერეაში ახლაც მიმდინარეობს ექსპოზიცია სახელწოდებით „ფიროსმანი 150“, ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ გამოფენაზე მისი პირადი ნივთი გამოეტანოთ და არა მარტო გამოეფინოთ, არამედ აქამდე მისი არც ერთი ნივთი არ იყო საზოგადოებისთვის ცნობილი.

ფიროსმანის ფიალა ლიტერატურის მუზეუმის ფონდს გასული წლის ბოლოს შეემატა. სწორედ ამ ნივთის უნიკალურობიდან გამომდინარე, მუზეუმმა მიიღო გადაწყვეტილება, ის დამთვალიერებლისთვის წარმოედგინა და ერთი კვირის განმავლობაში საჯარო გაეხადა. ფიალას გარედან წარწერა აქვს, რომელიც სავარაუდოდ თავად მხატვრის მიერ არის შესრულებული – „ღმერთმა გაუმარჯოს პურმარილიან კაცსა ნიკო ფიროსმანაშვილსა“. ეს ფიალა ქართული საზოგადოებისთვის იმითაც არის ძვირფასი, რომ მას ნიკალას გარდა, ქართული პოეზიის მეფის, გალაკტიონ ტაბიძის წარწერაც აქვს. როდესაც ფიალის ისტორია გალაკტიონს უამბეს, პოეტმა ფიალას შიგნიდან პატარა ლექსი წააწერა: „აიტაცე ფიროსმანის ფიალა, აალვინდი ათეთრებულ ღრუბლებს. გ. ტაბიძე“.

– დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს წარწერა და ხელმოწერა გალაკტიონ ტაბიძეს ეკუთვნის, – აღნიშნულია ლიტერატურის მუზეუმის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ერთი ნივთის გამოფენა ლიტერატურის მუზეუმში 23 თებერვლამდე გაგრძელდება.

გაგრძელება მე-10 გვერდზე